

# ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 2 (313)  
თებერვალი  
2023

**09/06/2018**

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური

Gfpaa.ge  
პროფესიული სერტიფიკაციის  
პროგრამების დასახელებები

რუმულის უძლეობა  
მეტი კლავიდაშვილი

**უმაღლესი დონის აუდიტისა და  
მართვანული მოქმედებების გეგმური**

[illegible][illegible][illegible]

ამ სტატისტიკა განვიხილეთ 2017 წლის ივლისის საპროგნოზო სესიის პერიოდში მიმდინარე  
არა წარმოადგენს ავტორიტეტულ რისკებს. რეგულაციული, რომელიც  
მოქმედებს მხოლოდ მედიკამენტების ბაზრის მიმართ. რეგულაციული, რომელიც  
წარმოადგენს განხილვის საფუძველს წარმოადგენს განხილვის საფუძველს წარმოადგენს  
განხილვის საფუძველს წარმოადგენს განხილვის საფუძველს წარმოადგენს



საქართველოს პროფესიონალ  
ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა  
და აუდიტორთა ფედერაცია

# ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი  
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 2(313)  
თებერვალი  
2023

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;  
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;  
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ  
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.



# შინაარსი

|                               |   |
|-------------------------------|---|
| ინფორმაცია ფედერაციიდან ..... | 3 |
|-------------------------------|---|

|                                                                                                                                                                                                                               |          |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|
| ინფორმაცია გულალტერმა საერთაშორისო ფედერაციიდან (IFAC)<br>პროფესიონალთა მომზადება მომავლისთვის.<br><b>გამოწვევების შესაძლებლობად გადაქცევა:</b><br><b>პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესის აღრიცხვის პრაქტიკიდან .....</b> | <b>4</b> |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|

|                                                                                                                                                                        |           |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| პროფესიული სერტიფიცირების კრედიტულთა დასახელებულ<br>რუბრიკას უძღვება გაცი ალკვერდაშვილი<br><b>2023 წლის იანვრის პროფესიული სერტიფიცირების გამოცდების ანალიზი .....</b> | <b>14</b> |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|

|                                                                                                   |           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| <b>კომპანიების საქმიანობის (წლიური) ანგარიშები</b><br>მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“ ..... | <b>32</b> |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|

|                                                                                                                  |           |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| <b>გადახრების გამოთვლა და ანალიზი ნორმატიული დანახარჯების მეშვეობით</b><br>მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“ ..... | <b>37</b> |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|

|                                                                                                                                          |           |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| <b>საერთაშორისო სტანდარტები ხარისხის მართვის შესახებ - ნაწილი 1</b><br>მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე) ..... | <b>49</b> |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|

|                                                                                |           |
|--------------------------------------------------------------------------------|-----------|
| საბა ძაძაძია<br><b>მდგრადობის სტანდარტების საბჭოს შექმნის ინიციატივა .....</b> | <b>30</b> |
| <b>გლობალური ეკონომიკა კვლავ დასუსტებულია.....</b>                             | <b>32</b> |
| ოფიციალური მასალები .....                                                      | <b>58</b> |
| კითხვა-პასუხი .....                                                            | <b>74</b> |
| ინფორმაცია პირუბიდან .....                                                     | <b>80</b> |

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი  
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97  
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“ ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

## ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი  
კორექტურა: თ. ცქიტიშვილი



დამტკიცებულია: 24.02. 2023 წელი  
გამგეობის სხდომის ოქმი #2

## ბაფის მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები 2023 წლისათვის

განმარტება: 1. პროექტში განხილული არ არის გრანტებიდან სხვა, შესაძლო შემოსავლების მიღება, აგრეთვე ხარჯები, რომელიც შეიძლება დამატებით წარმოიქმნას კომიტეტების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ზოგიერთი საქმიანობის დასაფინანსებლად. გათვალისწინებლობის საფუძველი:

- ბიუჯეტის შედგენის დღისათვის საგრანტო პროექტზე ინფორმაციის არ არსებობა;
- მიმდინარე ეტაპზე კომიტეტების სამოქმედო გეგმების დაუმტკიცებლობა და დამატებით დასაფინანსებელ მუხლებზე ინფორმაციის არ ქონა. ასეთი ხარჯების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ბაფის სარეზერვო თანხები.

### 2023 წლის მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები

|   | შემოსავლები                                    | ლარში:           |              |
|---|------------------------------------------------|------------------|--------------|
| 1 | საწევრო შენატანებიდან                          | <b>436,370</b>   | (შენიშვნა 1) |
| 2 | განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან    | <b>448,680</b>   | (შენიშვნა 2) |
| 3 | სხვა შემოსავლები                               | <b>173,600</b>   | (შენიშვნა 3) |
|   | სულ შემოსავლები                                | <b>1,058,650</b> |              |
|   | <b>ხარჯები</b>                                 |                  |              |
| 1 | წევრების მომსახურებასთან დაკავშირებული         | <b>424,680</b>   | (შენიშვნა 4) |
| 2 | განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული | <b>455,690</b>   | შენიშვნა 5)  |
| 3 | სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული               | <b>174,150</b>   | (შენიშვნა 6) |
|   | <b>სულ ხარჯები:</b>                            | <b>1,054,520</b> |              |

**1. შემოსავლები საწევრო შენატანებიდან 436,370 ლარი (1-ელი შენიშვნა)**

|    |                                                                                                                                                                            |                                           |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|
| 1. | ნამდვილი წევრების საწევრო შენატანები, მ.შ:<br>აუდიტორების - 46,080 (320 წევრი x 12 ლ. x 12 თვე) ლარი;<br>პროფესიონალი ბუღალტრების - 35,280 (420 წევრი x 7ლ. x 12თვე) ლარი. | 81,360 ლარი                               |
| 2. | ასოცირებული წევრების შენატანები                                                                                                                                            | 74,016 (3,084 წევრი x 2 ლ x 12 თვე) ლარი  |
| 3. | ასოც./სერტიფიცირების კანდიდატი წევრების                                                                                                                                    | 168,000 (2,000 წევრი x 7 ლ x 12 თვე) ლარი |
| 4. | 2023 წელს მიღებული წევრები                                                                                                                                                 | 8,000 (400 ახალი წევრი x 20ლ) ლარი*       |
|    | <b>სულ შემოსავლები ფიზიკური პირებიდან</b>                                                                                                                                  | <b>331,370 ლარი</b>                       |
| 5. | კორპორაციული საწევრო შენატანები                                                                                                                                            | 105,000 ლარი**                            |
|    | <b>სულ საწევრო შემოსავლები</b>                                                                                                                                             | <b>436,370 ლარი</b>                       |

\* საბიუჯეტო პერიოდში ივარაუდება 400-მდე ახალი წევრის მიღება, რომლებიც გადაიხდიან განწევრიანების ერთჯერად გადასახადს - 20 ლარს.

\*\* კორპორაციული საწევრო წლიური შესატანი დადგენილია ბაფის წევრი კომპანიების შემოსავლების (საბიუჯეტო წლის წინა საანგარიშგებო წლის) მიხედვით.

**2. შემოსავლები განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან 448,680 ლარი (მე-2 შენიშვნა)**

ა) სასწავლო პროგრამებიდან 157,800 ლარი

|   |                                      |                                                                             |
|---|--------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|
| 1 | განგრძობითი სწავლება                 | 140,000 (360 წევრი x 300 ლ) + (150 წევრი x 200ლ) + (20 წევრი x 100ლ) ლარი * |
| 2 | შემოსავალი სემინარებიდან             | 4,800 ლარი**                                                                |
|   | შემოსავალი რეგიონალური ტრენინგებიდან | 13,000 ლარი***                                                              |
|   | <b>სულ შემოსავლები</b>               | <b>157,800 ლარი</b>                                                         |

\* განგრძობითი სწავლების აუდიტორების პროგრამაში მონაწილეობის ღირებულებაა 300 ლარი დღგ-ის გარეშე, სერტიფიცირებული ბუღალტრების პროგრამაში - 200 ლარი, ხოლო განგრძობითის ჩათვლის ღირებულებაა 100 ლარი

\*\* 2023 წელს წევრებისათვის დაგეგმილია სემინარები (24 საათი). ერთ სემინარში (საშუალოდ 4 საათი) მონაწილეობისათვის წევრი გადაიხდის 12 ლარს (დღგ-ს გარეშე). ივარაუდება, რომ ყველა სემინარში (ჯამურად) მონაწილეობას მიიღებს 400 პირი და მიღებული შემოსავალი იქნება 4,800 ლარი.

\*\*\* ბაფის რეგიონალურ ფილიალებში ტრენინგებიდან მისაღები შემოსავლები გათვლილია წინა წლების პრაქტიკიდან.

## ბ) სერტიფიცირების პროგრამებიდან 290,880 ლარი

|   |                           |                                                                            |
|---|---------------------------|----------------------------------------------------------------------------|
| 1 | სერტიფიცირების გამოცდები  | 183,000 (250 კანდ. x 176ლ) + (500 კანდ. x 210ლ) + (100 კანდ. x 340ლ) ლარი* |
| 2 | გამოცდების ჩათვლა         | 22,880 (130 კანდ. x 176ლ) ლარი**                                           |
|   | სერტიფიცირების ლიტერატურა | 85,000 (500 ეგბ. x 80ლ) + (300ეგ. x 100ლ) ლ; (100ეგ. x 150ლ) ლარი ***      |
|   | <b>სულ შემოსავლები</b>    | <b>290,880 ლარი</b>                                                        |

\* საგამოცდო მომსახურების ღირებულება დიფერენცირებულია სერტიფიცირების ეტაპების მიხედვით. ივარაუდება, რომ 2023 წელს ზამთრისა და ზაფხულის გამოცდებზე მონაწილეობას მიიღებს 850 კანდიდატი. მათ შორის, პირველ ეტაპზე 250, მეორე ეტაპზე 500, ხოლო მესამე ეტაპზე 100 კანდიდატი.

\*\* ბიზნესადმინისტრირების პროფილით სერტიფიცირების კანდიდატებს უფლება აქვთ მიიღონ პირველი ეტაპის მოდულებში გამოცდების ჩათვლა. ჩათვლებიდან მოსალოდნელი შემოსავლები დაგეგმილია 2021-2022 წლების ანალოგიით.

\*\*\* სერტიფიცირების ლიტერატურის ღირებულება განსხვავებულია სერტიფიცირების დონეების მიხედვით.

## 3. სხვა შემოსავლები 173,600 ლარი

(მე-3 შენიშვნა)

|   |                                                        |                     |
|---|--------------------------------------------------------|---------------------|
| 1 | შემოსავალი დისტრიბუციიდან                              | 50,000 ლარი*        |
| 2 | საიტარო შემოსავლები                                    | 10,100 ლარი**       |
| 3 | პროცენტიდან შემოსავალი                                 | 51,000 ლარი ***     |
| 4 | მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი (გრანტი) | 62,500 ლარი         |
| * | <b>სულ სხვა შემოსავლები</b>                            | <b>173,600 ლარი</b> |

\* დისტრიბუციიდან შემოსავლები გათვლილია "ბრუტო" პრინციპით, საიდანაც პროგრამების ღირებულების 60% ერიცხება პროგრამის მესაკუთრეს.

\*\* შემოსავალი მიიღება საოფისე ფართობის ნაწილის ქვეყარადან.

\*\*\* საბანკო დეპოზიტზე განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტი.

## ხარჯები

## 1. სანევრო შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები - 424,680 ლარი

(მე-4 შენიშვნა)

|                                                                         |                                                    |                                       |
|-------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------|---------------------------------------|
| ფიზიკური პირი წევრების მომსახურების ხარჯები -- 333,960 ლარი, მათ შორის: |                                                    |                                       |
| 1                                                                       | სანევრო ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში        | 6,750 (2,500 აშშ დოლარი x 2,7) ლარი * |
| 2                                                                       | კონსულტანტების ხელფასი                             | 19,200 (1600 x 12თვე) ლარი            |
| 3                                                                       | წევრებთან ურთიერთობის მენეჯერის და მდივნის ხელფასი | 15,000 (1,250 x 12თვე) ლარი           |

|     |                                                                     |                                    |
|-----|---------------------------------------------------------------------|------------------------------------|
| 4.  | სერტიფიცირების კანდიდატების მხარდაჭერა- მასალების თარგმნა           | 7,000 (600 x12თვე) ლარი            |
| 5.  | ყოველთვიური ჟურნალი წევრებისათვის                                   | 36,000 (3,000 x12თვე) ლარი         |
| 6.  | წევრებთან ონლაინშეხვედრები (პროგრამა Zoom)                          | 5,000 ლარი**                       |
| 7.  | წევრებთან შეხვედრები რეგიონებში                                     | 7,500 (3 რეგიონი x2,500 ლ) ლარი    |
| 8.  | საერთო კრების ხარჯები                                               | 15,000 (250 დელეგატი x60 ლ) ლარი   |
| 9.  | საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა                              | 9,000 (2 ღონისძიება x4,500 ლ) ლარი |
| 10. | დამსახურებული წევრების დაჯილდოება და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები | 5,000 ლარი                         |
| 11. | წევრების ინფორმირება და საქმიანობის გაშუქება სოცქსელებით            | 8,000 ლარი                         |
| 12. | საეტკო მოთხოვნების რეზერვი                                          | 70,000 ლარი***                     |
|     | <b>ხარჯების ჯამი</b>                                                | <b>203,450</b>                     |
| 13. | ადმინისტრაციული ხარჯების განაწილება                                 | 130,510 (421000 x 31%) ლარი        |
|     | <b>სულ ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯები</b>                    | <b>333,960 ლარი</b>                |

**კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯები - 90,720 ლარი, მათ შორის:**

|    |                                                                |                                       |
|----|----------------------------------------------------------------|---------------------------------------|
| 1. | საწევრო ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში                    | 6,750 (2,500 აშშ დოლარი x 2,7) ლარი * |
| 2. | დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება კორპორაციული წევრებისათვის | 3,750 (5კომპ. x750ლ) ლარი             |
| 3. | დისციპლინარული მოკვლევა                                        | 5,000 (2მოკვ. x2,500ლ) ლარი           |
| 4. | საერთო კრების ხარჯები                                          | 3,120 (52 დელეგატი x60 ლ) ლარი        |
| 5. | წევრებთან ონლაინშეხვედრები (პროგრამა Zoom )                    | 3,000 ლარი**                          |
| 6. | წევრებთან ურთიერთობის მენეჯერის და მდივნის ხელფასი             | 15,000 (1,250 x12თვე) ლარი            |
| 7. | წევრების ინფორმირება და საქმიანობის გაშუქება სოცქსელებით       | 4,000 ლარი                            |
| 8. | საეტკო მოთხოვნების რეზერვი                                     | 8,000 ლარი                            |
|    | <b>ხარჯების ჯამი</b>                                           | <b>44,620 ლარი</b>                    |
| 9. | ადმინისტრაციული ხარჯები                                        | 42,100 (421000 x 10%) ლარი            |
|    | <b>სულ კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯები</b>          | <b>90,720 ლარი</b>                    |



- \* ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში წლიური საწევრო გადასახადი არის 5000 აშშ დოლარი. გადასახადის 50% გადახდილი იქნება ფიზიკური პირი წევრების შემოსავლებიდან, ხოლო 50% - კორპორაციული საწევრო შემოსავლებიდან.
- \*\* საანგარიშო წელს დაგეგმილია ყოველკვარტალური საინფორმაციო შეხვედრა და 24-საათიანი ონლაინსემინარები წევრებისათვის, რისთვისაც შეძენილია პროგრამა ZOOM, რომლის ხარჯები მიკუთვნებულია ფიზიკური პირებისა და კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯებს.
- \*\*\* გასული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფიზიკური პირი წევრების მნიშვნელოვანი და კორპორაციული წევრების გარკვეული ნაწილი არ/ვერ ასრულებს საწევრო გადასახადთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და საჭირო ხდება მათზე დარიცხული მოთხოვნების კორექტირება. საბიუჯეტო წელს გათვალისწინებული საეჭვო მოთხოვნების რეგერვის თანხის გაანგარიშება ეფუძნება გასული წლების პრაქტიკას.

## 2. განათლებისა და სერტიფიცირების ხარჯები 455,690 ლარი

(მე-5 შენიშვნა)

### ა) განათლების ხარჯები: 144,510 ლარი;

|          | განათლება                                 |                                                                       |
|----------|-------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|
| 1        | განგრძობითი სემინარების ტრენინგი/მასალები | 33,750 (9 ჯგ. x 3,750ლ) ლარი                                          |
| 2        | განათლების კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი | 21,600 (1,800 ლ x 12თვე) ლარი                                         |
| 3        | განათლების მეთოდისტის ხელფასი             | 12,000 (2,000 ლ x 12/2 თვე) ლარი                                      |
| 4        | სხვა სასწავლო პროგრამები                  | 9,800 (სემინარებსა და რეგიონალურ ტრენინგებზე ლექტორების ხელფასი) ლარი |
| <b>5</b> | <b>ხარჯების ჯამი</b>                      | <b>77,150 ლარი</b>                                                    |
|          | ადმინისტრაციული ხარჯები                   | 67,360 ლარი (421,000 x 16%) ლარი                                      |
|          | <b>სულ სასწავლო პროგრამების ხარჯები</b>   | <b>144,510 ლარი</b>                                                   |

### ბ) სერტიფიცირების ლიტერატურისა და საგამოცდო პროცესის ხარჯები 311,180 ლარი

|    |                                         |                                          |
|----|-----------------------------------------|------------------------------------------|
| 1. | საგამოცდო ტესტების/ამოცანების მომზადება | 14,300 (13 გამ. x 2 ჯერ x 550ლ) ლარი     |
| 2. | საგამოცდო მასალის გამრავლება            | 1,700 (850 პრეტ. x 2ლ) ლარი              |
| 3. | გამოცდებზე ზედამხედველობა               | 9,000 (12დღე x 15 ზედამ. x 50ლ) ლარი     |
| 4. | ნაშრომების შეფასება                     | 7,000 (250 ნ. x 4 ლ.)+(600ნ. x 10ლ) ლარი |
| 5. | გასწორებული ნაშრომების აუდიტი           | 800 (850 ნაშრ. x2% x 50ლ) ლარი           |

|            |                                                              |                                                    |
|------------|--------------------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| 6.         | კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი                               | 24,000 (2,000 ლ x 12თვე) ლარი                      |
| 7.         | განათლების მეთოდისტის ხელფასი                                | 12,000 (2,000 ლ. x 12/2 თვე) ლარი                  |
| 8.         | სერტიფიცირების პროგრამების კოორდინატორის ხელფასი             | 30,000 (2,500 ლ. x 12 თვე) ლარი                    |
| 9.         | საგამოცდო აუდიტორიების იჯარა                                 | 14,000 (16 დღე x 875 ლ.) ლარი                      |
| 10         | საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელფასი                      | 24,000 (2000 ლ. x 12 თვე) ლარი                     |
| 11         | სერტიფიცირების წიგნებზე საავტორო უფლება                      | 5,500 (100ეგზ. x 55ლ. ) ლარი*                      |
| 12.        | სახელმძღვანელო ლიტერატურის განახლება                         | 35,000 (1000გვ. x 35ლ.) ლარი**                     |
| 13.        | სახელმძღვანელო ლიტერატურის გამოცემა                          | 16,000 (100ეგზ. x 60ლ. ) + (200ეგზ. x 50ლ. ) ლარი* |
| <b>14.</b> | <b>ხარჯების ჯამი</b>                                         | <b>193,300 ლარი</b>                                |
|            | ადმინისტრაციული ხარჯი                                        | 117,880 ლარი (421,000 x 28%) ლარი                  |
|            | <b>სულ ლიტერატურისა და სერტიფიცირების გამოცდების ხარჯები</b> | <b>311,180 ლარი</b>                                |

**3. სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები 174,150 ლარი**  
(მე-6 შენიშვნა)

|          |                                                        |                             |
|----------|--------------------------------------------------------|-----------------------------|
| 1        | საბუღალტრო პროგრამების ღირებულება                      | 30,000 (50,000 x 60%) ლარი  |
| 2        | პროგრამის დისტრიბუტორის ხელფასი                        | 10,000 (20,000/2) ლარი      |
| 3        | ქველმოქმედება                                          | 1.500 ლარი                  |
| 4        | ქონების გადასახადი                                     | 1,000 ლარი                  |
| 5        | 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი                | 6.000 ლარი                  |
| 6        | მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი (გრანტი) | 62,500                      |
| <b>7</b> | <b>ხარჯების ჯამი</b>                                   | <b>111,000 ლარი</b>         |
|          | ადმინისტრაციული ხარჯი                                  | 63,150 (421,000 x 15%) ლარი |
|          | <b>სულ სხვა ხარჯები</b>                                | <b>174,150 ლარი</b>         |

**4. განაწილებული ადმინისტრაციული ხარჯები - 421,000 ლარი \***

ა) სათავო ოფისი - 386,900 ლარი

|           |                                       |                               |
|-----------|---------------------------------------|-------------------------------|
| 1         | ხელფასი                               | 269,400 (22,450ლ.×12თვე) ლარი |
| 2         | ოფისის იჯარა                          | 69,600 (5,800ლ.×12თვე) ლარი   |
| 3         | კომუნიკაციის ხარჯები                  | 6,500 ლარი                    |
| 4         | საკანცელარიო ხარჯები                  | 6,000 (500ლ.×12თვე) ლარი      |
| 6         | ტექნიკური აღჭურვილობის რემონტი        | 1,000 ლარი                    |
| 8         | ა/მანქანის საწვავი, რემონტი, დაზღვევა | 10,800 (900 ლარი ×12თვე)      |
| 9         | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი         | 16,000 ლარი                   |
| <b>10</b> | <b>ადმინისტრაციული ხარჯების ჯამი</b>  | <b>379,300 ლარი</b>           |
| 11        | წარმომადგენლობითი ხარჯები             | 3800 (379,300 ×1%) ლარი       |
| 12        | სხვა, გაუთვალისწინებელი ხარჯი         | 3,800 (379,300 ×1%) ლარი      |
|           | <b>სულ: სათავო ოფისის ხარჯები</b>     | <b>386,900 ლარი</b>           |

ბ) ფილიალები - 34,100 ლარი

|    |                                 |                    |
|----|---------------------------------|--------------------|
| 1. | ხელფასი                         | 23,000 ლარი        |
| 2. | ოფისის იჯარა                    | 8,000 ლარი         |
| 3. | კომუნალური ხარჯები (ტელ. ფაქსი) | 2,100 ლარი         |
| 4. | საკანცელარიო ხარჯები            | 200 ლარი           |
| 7. | სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები  | 800 ლარი           |
|    | <b>სულ ხარჯები</b>              | <b>34,100 ლარი</b> |

\* ადმინისტრაციული ხარჯები განაწილებულია მომსახურების სფეროების მიხედვით, დაგეგმილი შემოსავლების პროპორციულად.

**ლავრენტი ჭუმბურიძე**  
**აღმასრულებელი დირექტორი**  
**20.01.2023**

## პროფესიონალთა მომზადება მომავლისთვის

# გამონვევების შესაძლებლობად გადაქცევა: პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესის აღრიცხვის პრაქტიკიდან

მონიკა ფოერსტერი, ქრისტოფერ არნოლდი  
2022 წლის 8 დეკემბერი

### შესავალი

IFAC-ის მცირე და საშუალო პრაქტიკის მრჩეველთა ჯგუფმა (SMPAG) ახლახან განიხილა მცირე და საშუალო ბიზნესის პრაქტიკის (SMPs) გამონვევები, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე ეკონომიკურ გარემოსთან და ახალ შესაძლებლობებთან და წარმოიქმნება სწრაფად ცვალებად სამყაროში.

### SMP-ების მიმდინარე გამონვევები

ეს ეკონომიკური გაურკვევლობა გავლენას ახდენს თითქმის ყველა ბიზნესზე, მათ შორის, SMP-ებზე და მათ მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების (SME) კლიენტებზე. SMPAG-ის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს SMP-ების წინაშე მთელს მსოფლიოში არსებულ რამდენიმე თანამედროვე გამონვევაზე, როგორიცაა:

- მემკვიდრეობის დაგეგმვა;
- შრომითი კრიზისი და პერსონალის მაღალი როტაცია;
- სამუშაოზე გადატვირთვა და პერსონალის გადანაცვლის მართვა;
- მილსადენის თანამშრომელთა შრომითი პრობლემები, სადაც უფრო და უფრო ნაკლები კურსდამთავრებული საქმდება პროფესიით;
- საოფისე გარემოში დაბრუნების წინააღმდეგ ბრძოლა სრული ორი ან მეტი წლის ვირტუალურ პირობებში ყოფნის შემდეგ;
- ფირმის დიგიტალიზაციის და კიბერრისკების მართვა;
- სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესებზე;
- გარემოსდაცვითი კრიზისი;
- ინფლაცია და მზარდი ხარჯები, მათ შორის, გაზრდილი გადასახადების განაკვეთები;
- მიწოდების ჯაჭვის პრობლემები;
- ფულის გათეთრება და კორუფცია;
- პოლიტიკური არასტაბილურობა;

- უფრო მეტ საკონსულტაციო სერვისებზე გადასვლა და კლიენტების მომსახურების სწორი უნარების უზრუნველყოფა;
- მაღალი საკომისიო ბენოლა და დაბალი მოგება სადაზღვევო მომსახურებაში;
- მცირე ფირმები იღებენ იმაზე მეტ სამუშაოს, რომელთა შესრულების კვალიფიკაციაც შესაძლოა მათ არ ჰქონდეთ;
- პროგრამული უზრუნველყოფის მაღალი ხარჯები მცირე ფირმებს ტექნოლოგიურად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

SMPAG-მა უპასუხა შეხვედრის დროს სწრაფ გამოკითხვას და აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების მოძიება და შენარჩუნება, სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვა, ტექნოლოგიების ცვლილებების დაცვა და მასთან დაკავშირებული ხარჯების მართვა არის მთავარი საკითხები, რომელთა წინაშეც დღეს SMP-ები დგას.

## გამონვევების შესაძლებლობად გადაქცევა

მცირე ჯგუფის სესიებზე SMPAG-მა განიხილა, თუ როგორ გადაექცია ზოგიერთი ძირითადი გამონვევა შესაძლებლობად.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო ნიჭის მოზიდვა და შენარჩუნება, რომელზეც IFAC-მა გაამახვილა ყურადღება სტატიაში, კადრებით უზრუნველყოფის ტენდენციებზე სამსახურის მასობრივი მიტოვების დროს. წევრების აზრით, პერსონალის გასაუბრება ადგილობრივ სკოლებში და/ან ვაკანსიების გამოფენებზე დასწრება შეიძლება დაეხმაროს მათ დასაქმებაში. ზოგიერთი ფირმა იყენებს საზაფხულო სტაჟირების პროგრამებს, რათა დაეხმაროს ნიჭიერი ადამიანის ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და ახალი პერსონალის წინასწარ ჩამოყალიბებას. პანდემიის ამ ეტაპზე ზოგიერთი საოფისე საქმიანობის განახლებით ზოგიერთმა ფირმამ აღმოაჩინა, რომ მოქნილი სამუშაო გრაფიკის შექმნა განსაკუთრებით ახალგაზრდა ნიჭიერი პერსონალის შესანარჩუნებლად კარგი საშუალებაა. დღეისათვის ფირმებში უფრო გავრცელებულია ფორმალისებული მენტორული პროგრამები, რომელიც ეფექტურია პერსონალის შესანარჩუნებლად. ზოგიერთ ქვეყანაში, შრომის დეფიციტის ფონზე მაღალმა დატვირთვამ უფრო დიდი ოფშორინგი და აუტსორსინგი გამოიწვია. ფირმები უფრო კრეატიულები ხდებიან თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიებით, იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს და სოციალურ მედიას - თანამშრომელთა შესარჩევად.

ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც ეკონომიკური დახმარების მნიშვნელოვან პროგრამებს გვთავაზობენ. სამთავრობო ანგარიშგება უფრო მოსახერხებელ სერვისად ითვლება SMP-ებისთვის, რაც დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს შესაბამისობისა და საკონსულტაციო სერვისების მიწოდების დროს როგორც სამთავრობო უწყებებს, ასევე - იმ ერთეულებს, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ.

საკონსულტაციო სერვისების მნიშვნელოვანი ზრდა გრძელდება. ეს უზარმაზარ შესაძლებლობებს სთავაზობს SMP-ებს, რადგან ისინი დარჩნენ სანდო ბიზნესმრჩეველებად არაჩვეულებრივად რთული პერიოდის განმავლობაში. ერთ-ერთი წევრის აზრით, სერვისების დასრულების შემდეგ ფირმებს უნდა შეეძლოთ კითხვარის გაგზავნა თავიანთი არსებული კლიენტებისთვის, რათა დაინახონ, რა დამატებითი საჭიროებები შეიძლება გაუჩნდეთ მათ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი საკონსულტაციო სერვისების განხილვის შესაძლებლობა. ბოლო სტატია მოიცავდა სპეციალიზაციას და ტენდენციებს ამ სფეროში.



ზოგიერთი ფირმა კავშირს ამყარებს ქსელის სხვა ფირმებთან და სპეციალისტებთან, მათ შორის არაბულალტრებთან, რათა შეძლონ დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. დამატებითი შეთავაზებული სერვისები მოიცავს:

- ქონების დაგეგმვას;
- საწარმოთა რესურსების დაგეგმვის (ERP) სერვისებს;
- ქონების შეფასებას და სასამართლო ექსპერტიზას განქორწინების საქმეებში;
- პარტნიორობას სხვა ფირმებთან, რათა დაეხმაროს კლიენტებს უფლებამოსილების გადახედვაში და სამთავრობო საგრანტო და სასესხო პროგრამებზე განაცხადის შეტანაში;
- ვირტუალური ფინანსური დირექტორის მომსახურებას;
- საბუღალტრო და საგადასახადო სწავლებას, როგორც მომსახურებას;
- ბიზნესპროცესის აუთსორსინგს და რეინჟინერინგს;
- შესაბამისობას Covid-თან დაკავშირებულ ნებისმიერ ახალ წესთან და რეგულაციასთან;
- M&A-ს და რესტრუქტურზაციას;
- ციფრულ სასამართლო ექსპერტიზას.

მდგრადობა SMP-ებს აძლევს შესაძლებლობას, კლიენტებს შესთავაზონ მომსახურება ამ სფეროში. ზოგიერთმა ფირმამ დაიწყო პროფესიონალების დაქირავება და ტრენინგი ამ სფეროში, რათა შეძლონ ამ სერვისების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში ქირაობენ არაბულალტრებს, როგორც საგნის ექსპერტებს. კლიმატის ცვლილების შედეგები, მათ შორის, უფრო ხშირი და დესტრუქციული ამინდის მოვლენები მზარდ ფიზიკურ რისკებს ქმნის მთელს მსოფლიოში - მაგრამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს მდგრადობის სერვისების განვითარებას. 2021 წელს IFAC-მა გამოაქვეყნა „მდგრადობის ინფორმაცია მცირე ბიზნესისთვის: შესაძლებლობები პრაქტიკოსებისთვის“, რათა ხაზი გაუსვას მდგრადობის სერვისების სპექტრს, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს SMP-ების მიერ. ეს შეიძლება მოიცავდეს რჩევებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მდგრადი და პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის ოპტიმიზაცია, საოჯახო ბიზნესში ძლიერი მმართველობა ან მიწოდების ჯაჭვის რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

ინფლაციამ და მზარდმა ხარჯებმა შეიძლება მოგვცეს კლიენტებთან საფასურის შესახებ საუბრის შესაძლებლობა. ზოგიერთი ფირმა ხედავს დაბალ ზღვარს შესაბამის სამუშაოზე - და ამან შეიძლება ისინი აიძულოს, გადახედონ საკუთარი ბიზნესის შესაბამის მოდელს. ავტომატური ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენებამ შეიძლება შექმნას აუდიტის გამარტივების და ხარჯების შემცირების შესაძლებლობა. ზოგიერთი ფირმა ასევე განიხილავს ღირებულების ფასის მოდელს, როგორც ეს განხილულია IFAC-ის სტატიაში.

ზოგიერთ იურისდიქციაში SMP-ებს შორის კონსოლიდაციის ტენდენციას აქვს მნიშვნელოვანი შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ეს განვითარება იდეალურზე ნაკლებად შეიძლება მიიჩნიოს, ამ შერწყმამ შეიძლება გამოიწვიოს საერთო საოპერაციო ხარჯის შემცირება და ფირმის მომსახურების შეთავაზების გაფართოების შესაძლებლობა.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ არსებული მარეგულირებელი და ეკონომიკური გარემო კვლავ გამოწვევად რჩება, ზოგიერთი SMP მიესაღმება ცვლილებას და ცდილობს, ამ გამოწვევების ნაწილი შესაძლებლობად აქციოს. ფირმები, რომლებსაც ამროვნების ამ ცვლილებების გათავისება შეუძლიათ, აღმოაჩენენ, რომ მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ ზრდა და მნიშვნელოვნად განვითარება.

## დამატებითი რესურსები

IFAC-ს აქვს პრაქტიკის ტრანსფორმაციისთვის გამოყოფილი ვებგვერდი, რომელშიც მცირე და საშუალო ბიზნესის სანდო მრჩევლები SMP-ებისთვის წარმოდგენენ სტატიებს, რესურსებსა და ამროვნების სახელმძღვანელოს, საკვანძო სფეროებისა და ინიციატივების შესახებ. აუდიო ჩანაწერების ახალ სერიაში წარმოდგენილია ინოვაციური პრაქტიკოსები, რომლებიც დიგიტალიზაციისა და ტექნოლოგიებში ინვესტირების შესახებ საკუთარ ისტორიებს ამიარებენ.

## 2023 წლის იანვრის პროფესიული სერტიფიცირების გამოცდების ანალიზი

**F1/ბბ „ბუღალტერი ბიზნესში“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - საგამოცდო მასალა დაყოფილია ორ ნაწილად: ა ნაწილი მოიცავს ორმოც არჩევითპასუხიან (ათი 1-ქულიანი და ოცდაათი 2-ქულიანი) დავალებას, ხოლო ბ ნაწილი - ხუთ 6-ქულიან მრავალდავალებიან ამოცანას. ყველა დავალების ამოხსნელად კანდიდატს ეძლევა 2 საათი და 15 წუთი.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ იანვრის გამოცდაზე გამოსული კანდიდატების უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღო გამსვლელი ქულა.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- ბიზნესორგანიზაცია და სტრუქტურა;
- დაინტერესებული მხარეები ბიზნესორგანიზაციაში;
- პროფესიული ეთიკა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ბიზნესში;
- კადრების მოზიდვა და შერჩევა;
- ფინანსური სისტემები და პროცედურები;
- ინდივიდებისა და ჯგუფების მოტივაცია;
- წვრთნა და სწავლება სამუშაო ადგილზე;
- კომუნიკაცია ბიზნესში.

მაგრამ იყო ისეთი თემებიც, რომლის კითხვებზე კანდიდატებს გაუჭირდათ სწორი პასუხის გაცემა:

- ბიზნესორგანიზაცია;
- მართვა და სოციალური პასუხისმგებლობა;
- ორგანიზაციული კულტურა ბიზნესში;
- გარე ფაქტორების ანალიზი - პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები;
- კონკურენციის ფაქტორები;
- აუდიტი და ფინანსური კონტროლი;
- ლიდერობა, მართვა და ზედამხედველობა;
- ინდივიდუალური მიღწევების განხილვა და შეფასება.

ბ ნაწილის ამოცანები ეხება შემდეგ თემებს:

- პირველი ამოცანა - *ბიზნესორგანიზაცია, მისი დაინტერესებული მხარეები და გარემო;*

- მეორე ამოცანა - ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემები, კონტროლი და შესაბამისობა;
- მესამე ამოცანა - ინდივიდებისა და გუნდის ლიდერობა და მართვა;
- მეოთხე ამოცანა - პერსონალური ეფექტურობა და კომუნიკაცია ბიზნესში;
- მეხუთე ამოცანა - პროფესიული ეთიკა ბუღალტერიასა და ბიზნესში.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად უპასუხა ყველა ამოცანას, თუმცა ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეოთხე ამოცანის ამოხსნა.

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი ა და ბ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა, იყო შემთხვევები, როცა ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. ასეთი მიდგომა მცდარია - თუ არ იცით, რომელი პასუხია სწორი, გამორიცხეთ მცდარი პასუხები და მონიშნეთ ის, რომელიც თქვენი აზრით სწორია. ჩვენი დაკვირვებით, გამოცდის დრო - 2 სთ და 15 წუთი - საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. **F1/ბბ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 35 წუთში, ხოლო ბ ნაწილი – 40 წუთში.**

გარდა ამისა, მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ ყველა დავალების პირობა ცხადად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, ამიტომ კითხვებზე პასუხის გაცემისას დიდხანს ნუ ფიქრობთ, ნუ დაკარგავთ დროს. თუ გაგიჭირდათ კითხვაზე პასუხის გაცემა, ყურადღებით წაიკითხეთ ყველა სავარაუდო პასუხი და გამორიცხეთ ცალსახად მცდარი ვარიანტ(ებ)ი; შემდეგ კი ორი პასუხიდან აირჩიეთ ისეთი, რომელიც თქვენი აზრით, სწორია. მაგრამ ნუ გაჩერდებით და ნუ დაკარგავთ ბევრ დროს ისეთი დავალების ამოხსნაზე, რომლის თეორია ცუდად იცით ან დაგავიწყდათ. გადადით შემდეგ დავალებაზე.

### F1/ბბ „ბუღალტერი ბიზნესში“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 70 |
| მინიმალური ნიშანი                      | 25 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 96 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 14 |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 1  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 95%               | 93%            | 93%             | 100%           | 97%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 84%               | 88%            | 84%               | 85%            | 79%               |

**F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა: ა ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას, ხოლო ბ ნაწილი - ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 2 საათი და 15 წუთი.

ა ნაწილის ჩვიდმეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდასამი - თეორიული. კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- დანახარჯების კლასიფიკაცია - დანახარჯის ერთ-ერთი ელემენტის ქცევა;
- დანახარჯების კლასიფიკაცია - მინი-მაქსის მეთოდი;
- მარაგების აღრიცხვა;
- შრომითი დანახარჯების აღრიცხვა;
- ბედნადები ხარჯების აღრიცხვა;
- კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით;
- სტატისტიკური მეთოდები.

კანდიდატებმა შედარებით ცუდას უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მმართველობითი აღრიცხვა - ცენტრების პასუხისმგებლობა;
- ინფორმაციის წარდგენა;
- შეკვეთის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი;
- გადახრების კალკულაცია და ანალიზი;
- შედეგიანობის შეფასების გამოყენება.

ბ ნაწილი მოიცავს ორ ამოცანას, რომელიც შედგენილია შემდეგი თემების მიხედვით:

პირველი ამოცანა - **დაგეგმვა;**

მეორე ამოცანა - **შედეგიანობის შეფასება.**

კარგად მომზადებული კანდიდატების უმრავლესობამ ამომწურავი პასუხი გასცა ბ ნაწილის პირველ ამოცანას, თუმცა ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა, კერძოდ, მათ გაუჭირდათ:

- გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის გამოთვლა;
- ლევერიჯის გამოთვლა.

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი ა და ბ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა, იყო შემთხვევები, რომ ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. გამოცდის დრო - 2 სთ და 15 წუთი - საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. **F2/მა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათ 45 წუთში, ხოლო ბ ნაწილი - 30 წუთში.**



## F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 54 |
| მინიმალური ნიშანი                      | 22 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 91 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 4  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 3  |

| ბაფი | 2021 წ.<br>თებერვალი | 2021 წ.<br>ივლისი | 2022 წ.<br>იანვარი | 2022 წ.<br>ივლისი | 2023 წ.<br>იანვარი |
|------|----------------------|-------------------|--------------------|-------------------|--------------------|
|      | 82%                  | 76%               | 94%                | 89%               | 75%                |

| ACCA<br>Global | 2020 წ.<br>დეკემბერი | 2021 წ.<br>ივნისი | 2021 წ.<br>დეკემბერი | 2022 წ.<br>ივნისი | 2022 წ.<br>დეკემბერი |
|----------------|----------------------|-------------------|----------------------|-------------------|----------------------|
|                | 69%                  | 68%               | 65%                  | 64%               | 61%                  |

**F3/ფა „ფინანსური აღრიცხვა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა: ა ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითასუხიან დავალებას, ხოლო ბ ნაწილი - ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევა 2 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის ცხრაშეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდაერთი - თეორიული.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- კონტექსტი და ფინანსური ანგარიშგების მიზანი;
- ორადი ჩაწერისა და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების გამოყენება;
- ბუღალტრული ანგარიშები, პირველადი გატარების წიგნები და ჟურნალები;
- შესყიდვებსა და გაყიდვებზე დარიცხული დღგ;
- მარაგი;
- ბასს 38 „არამატერიალური აქტივები“;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები;
- ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია.

კანდიდატებს გაუჭირდათ შემდეგი თემების მიხედვით შედგენილი დავალებების ამოხსნა:

- დარიცხვები და წინასწარგადახდები;
- საცდელი ბალანსის მომზადება;
- შეცდომების კორექტირება და დამხმარე ანგარიშები;
- არასრული ჩანაწერები;

- ფინანსური მდგომარეობის და მოგები და ზარალის და სხვა სრული შემოსვლების ანგარიშების მომზადება;
- შენიშვნები/ჩანაწერები გასაჯაროებული ინფორმაციის შესახებ;
- ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

ბ ნაწილი მოიცავს ორ ამოცანას, რომლებიც შედგენილია შემდეგი თემების მიხედვით: პირველი ამოცანა - **კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მომზადება;**

მეორე ამოცანა - **საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშების და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მომზადება.**

კარგად მომზადებული კანდიდატების უმრავლესობამ ორივე ამოცანა დაწერა, თუმცა, ბევრს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა. სუსტად მომზადებულმა კანდიდატებმა ან საერთოდ არ დაწერეს ამოცანები, ან ბევრი შეცდომა დაუშვეს.

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი ა და ბ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა, იყო შემთხვევები, რომ ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. გამოცდის დრო - 2 სთ და 30 წუთი - საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. **F3/ფა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 2 საათში, ხოლო ბ ნაწილი - 30 წუთში.**

### F3/ფა „ფინანსური აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 55 |
| მინიმალური ნიშანი                      | 90 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 22 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 8  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 3  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 77%               | 63%            | 80%             | 68%            | 82%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 73%               | 74%            | 71%               | 69%            | 68%               |

**F4/ქბ „ქართული ბიზნესსამართალი“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო ოცდახუთი 4-ქულიანი კაზუსი, რომლებიც ეხებოდა ყველა გავლილ თემას.

კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კაზუსებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 21;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 242;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 329;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 245 და 243;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 12 და 18.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 25;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 310;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 339;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 15;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 46;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 64.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა კაზუსს გასცა პასუხი. **ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი, ანუ თითო კაზუსის პასუხი კანდიდატმა უნდა დაწეროს 8 წუთში.**

#### **F4/ქბ „ქართული ბიზნესსამართალი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 62 |
| მინიმალური ნიშანი                      | 88 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 42 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 9  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 85%               | 85%            | 82%             | 77%            | 92%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 86%               | 86%            | 83%               | 82%            | 82%               |

**F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევით-პასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამო-სახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის შვიდი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო რვა - თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვ-ლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- გამოსავლიანობის აღრიცხვა;
- რელევანტური დანახარჯები;
- ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების შეფასება და შიდა გადაცემის გასაღდგენა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი;
- დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით;
- საქმიანობის შედეგების შეფასება არაკომერციულ ორგანიზაციებსა და კერძო სექ-ტორის საწარმოებში.

**ბ ნაწილის** პირველი სცენარი იყო შედგენილი თემა „დანახარჯთა კალკულაციის თა-ნამედროვე მეთოდები“, მეორე - „ბიუჯეტის შედგენა“, ხოლო მესამე - „საქმიანობის შედეგების შეფასება და კონტროლი“.

**გ ნაწილის პირველი ამოცანა** ეხებოდა თემას „გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა ფასდადგენა“.

**გ ნაწილის მეორე ამოცანა** ეხებოდა თემას „ბიუჯეტის შედგენა“.

კარგად მომზადებულმა კანდიდატებმა მაღალი ქულა მიიღეს პირველი ამოცანის ამოხ-სნისთვის, მაგრამ ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი. **F5/სშმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა, ბ და გ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, ბ ნაწილი - 65 წუთში, ხოლო გ ნაწილი - 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.**

**F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 55 |
| მინიმალური ნიშანი                      | 82 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 31 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 1  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 65%               | 68%            | 82%             | 68%            | 79%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 40%               | 41%            | 43%               | 41%            | 43%               |

**F6/სდ „საგადასახადო დაბეგვრა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო ოცი 2-ქულიანი არჩევითი პასუხიანი დავალება და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის რვა დავალება თეორიული იყო, ხოლო თორმეტი - საანგარიშო. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითი პასუხიანი დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- მუხლი 202. ქონებაზე გადასახადის განაკვეთი;
- მუხლი 201. ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი;
- მუხლი 280. გადასახადის უკანონო ჩათვლა;
- მუხლი 282. დღგ-სათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მუხლი 82. გადასახადისგან გათავისუფლება;
- მუხლი 189. აქციის ჩათვლა;
- მუხლი 198. გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი.

ბ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „საშემოსავლო გადასახადი“, მეორე ამოცანა - „მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი), ხოლო მესამე ამოცანა - „დამატებული ღირებულების გადასახადი“.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად დაწერა პირველი ამოცანის პასუხი, თუმცა ცუდად მომზადებულ კანდიდატებს გაუჭირდათ დეკლარაციის შევსება. სამი ამოცანიდან განსაკუთრებულად ცუდად დაწერეს მეორე ამოცანა, ბევრმა კარგად მომზადებულმა კანდიდატმაც ვერ შეასრულა მოთხოვნილი გაანგარიშებები და ვერ შეავსო დეკლარაცია.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი. **F6/სბ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 25 წუთში, ხოლო ბ ნაწილი - 2 საათსა და 5 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 41-42 წუთში.**

## F6/სბ „საგადასახადო დაბეგვრა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 58 |
| მინიმალური ნიშანი                      | 80 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 22 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 8  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 1  |

| ბაფი | 2021 წ.<br>თებერვალი | 2021 წ.<br>ივლისი | 2022 წ.<br>იანვარი | 2022 წ.<br>ივლისი | 2023 წ.<br>იანვარი |
|------|----------------------|-------------------|--------------------|-------------------|--------------------|
|      | 85%                  | 88%               | 85%                | 71%               | 86%                |

| ACCA<br>Global | 2020 წ.<br>დეკემბერი | 2021 წ.<br>ივნისი | 2021 წ.<br>დეკემბერი | 2022 წ.<br>ივნისი | 2022 წ.<br>დეკემბერი |
|----------------|----------------------|-------------------|----------------------|-------------------|----------------------|
|                | 51%                  | 50%               | 49%                  | 52%               | 52%                  |

**F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევით-პასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოხსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის რვა დავალება საანგარიშო იყო, ხოლო შვიდი - თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- საინვესტიციო ქონების შეფასება;
- კონცეპტუალური საფუძვლები;
- ბასს 41 სოფლის მეურნეობა;
- ბასს 16 ძირითადი საშუალებები;
- ბასს 33 შემოსავალი აქციაზე.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ფასს 5 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;
- ბასს 8 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები;
- ბასს 23 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.

ბ ნაწილის რვა დავალება საანგარიშო იყო, ხოლო შვიდი - თეორიული. პირველი სცენარი შედგენილი იყო თემის - **„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“**, მეორე - „ამონაგები“, ხოლო მესამე - „ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები“ მიხედვით. ბ ნაწილის დავალებების ამოხსნისას კანდიდატებს გაუჭირდათ მესამე სცენარის დავალებების ამოხსნა.



გ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „კონსოლიდირებული მოგებისა და ბა-  
რალის ანგარიშგების მომზადება“, ხოლო მეორე – „ფინანსური ანგარიშგების ინტერ-  
პრეტაცია“. კანდიდატების უმრავლესობამ მეორე ამოცანა უკეთესად დაწერა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების  
შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. **F7/ფა მოდულის  
შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა, ბ და გ ნაწილებს შორის დრო უნდა  
განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა  
ამოხსნას 1 საათში, ბ ნაწილი - 65 წუთში, ხოლო გ ნაწილი - 1 საათსა და  
25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.**

### F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 58 |
| მინიმალური ნიშანი                      | 83 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 34 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 4  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ.<br>თებერვალი | 2021 წ.<br>ივლისი | 2022 წ.<br>იანვარი | 2022 წ.<br>ივლისი | 2023 წ.<br>იანვარი |
|------|----------------------|-------------------|--------------------|-------------------|--------------------|
|      | 67%                  | 57%               | 80%                | 57%               | 84%                |

| ACCA<br>Global | 2020 წ.<br>დეკემბერი | 2021 წ.<br>ივნისი | 2021 წ.<br>დეკემბერი | 2022 წ.<br>ივნისი | 2022 წ.<br>დეკემბერი |
|----------------|----------------------|-------------------|----------------------|-------------------|----------------------|
|                | 48%                  | 51%               | 50%                  | 51%               | 49%                  |

**F8/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“** მოდულის გამოცდის პროგრა-  
მა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო სამი ათქულიანი სცენარი  
(თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას), ერთი 30-ქულიანი  
და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს  
ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის პირველი სცენარი შედგენილი იყო თემის – „აუდიტორული მტკიცებულება“,  
მეორე – თემა „შიდა კონტროლი“, ხოლო მესამე – თემა „აუდიტის საფუძვლები“ მი-  
ხედვით. ა ნაწილის დავალებების ამოხსნისას კანდიდატებს გაუჭირდათ მეორე სცენარის  
დავალებების ამოხსნა.

ბ ნაწილის პირველი ამოცანა ამოწმებდა თემის „დაგეგმვა და რისკის შეფასება“ ცოდნას,  
მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „შიდა კონტროლი და აუდიტორული მტკიცებულება“,  
ხოლო მესამე ამოცანა – თემას „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“. კანდიდატების  
უმრავლესობამ კარგად დაწერა პირველი და მეორე ამოცანის პასუხი, მაგრამ მესამე  
ამოცანის პასუხი ხშირად შედარებით სუსტი იყო.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი. **F8/ამმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, ბ ნაწილის პირველი ამოცანა (30-ქულიანი) - 65 წუთში, ხოლო გ ნაწილის მეორე და მესამე ამოცანები - 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.**

### F8/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 53 |
| მინიმალური ნიშანი                      | 90 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 22 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 1  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 1  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 80%               | 70%            | 84%             | 81%            | 77%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 39%               | 39%            | 38%               | 39%            | 40%               |

**F9/ფმ „ფინანსური მართვა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის ხუთი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ათი - თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- ინვესტიციების შეფასება – უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე;
- კაპიტალის სტრუქტურა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება;
- კომპანიების შეფასებები და ბაზრის ეფექტურობა;
- დაფინანსების წყაროები.

ბ ნაწილის ხუთი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ათი – თეორიული. პირველი სცენარი იყო შედგენილი თემა „საბრუნავი კაპიტალის მართვა“, მეორე – „კომპანიების დაფინანსება და კაპიტალის ღირებულება“, ხოლო მესამე – „ბიზნესის (კომპანიის) შეფასება“. კანდიდატებმა კარგად ამოხსნეს პირველი და მეორე სცენარის დავალებები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მცდარი პასუხი გასცეს მესამე სცენარის კითხვებს.

გ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „ინვესტიციების შეფასება“, ხოლო მეორე ამოცანა თემას – „რისკის მართვა“. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად დაწერეს პირველი ამოცანის პასუხი, მაგრამ ბევრმა სუსტი პასუხი გასცა მეორე ამოცანის კითხვებს.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. **F9/ფმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი ნესია, რომ ა, ბ და გ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, ბ ნაწილი - 65 წუთში, ხოლო გ ნაწილი - 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.**

#### F9/ფმ „ფინანსური მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 56 |
| მინიმალური ნიშანი                      | 75 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 37 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 1  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 69%               | 60%            | 88%             | 92%            | 91%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 45%               | 53%            | 50%               | 52%            | 51%               |

**P2/სსა „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ოთხი ამოცანა - ერთი 30-ქულიანი, ერთი 20-ქულიანი და ორი 25-ქულიანი. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

**პირველი ამოცანა** ეხებოდა თემას „საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება“ და მოიცავდა სამ ნაწილს.

„1“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა მშობელი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს შედეგების ასახვა კონსოლიდირებულ მოგებისა და ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

პირველი ამოცანის „2“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა მშობელი საწარმოს მიერ მეორე შვილობილი საწარმოს შედეგების ასახვა კონსოლიდირებულ მოგებისა და ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

პირველი ამოცანის „3“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა აუცილებელი მაკორექტირებელი გატარებების ახსნა.

ბევრმა კანდიდატმა ძალიან კარგი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის კითხვებს და მიიღო მაღალი ქულა.

**მეორე ამოცანა** ეხებოდა თემას „ანგარიშგება და ეთიკა“ და შედგებოდა 18 ქულიანი სცენარისგან და ასევე გათვალისწინებული იყო 2 პროფესიული ქულა.

18-ქულიანი სცენარი, თავის მხრივ, შედგებოდა ორი ნაწილისგან.

პირველი ნაწილი ეხებოდა ძირითადი საშუალებების წარმოებლურობის დაცემას (5 ქულა), მეორე ნაწილი - შვილობილი საწარმოს გაყიდვას (6 ქულა). მოითხოვებოდა აღნიშნული ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომების შესახებ და ერთიკურ საკითხებზე მსჯელობა (7 ქულა).

ბევრმა კანდიდატმა სრულყოფილი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის ყველა კითხვას და მიიღო მაღალი ქულები.

მესამე ამოცანა შედგებოდა ხუთი „ა1“, „ა2“, „ა3“, „ბ1“ და „ბ2“ ნაწილებისგან.

„ა1“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა არამატერიალური აქტივების აღიარების კრიტერიუმების ჩამოთვლა და იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული კრიტერიუმები „კონცეპტუალურ საფუძვლებს“.

„ა2“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა საცდელ-საკონსტრუქტორო პროექტის აღიარების კრიტერიუმების შესახებ.

„აპ“ ნაწილში (4 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა საცდელ-სკონსტრუქტორო პროექტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ასახვის შესახებ.

„ბ1“ ნაწილის კითხვაში (7 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა პოტენციურ პრობლემებზე.

„ბ2“ ნაწილის კითხვაში (4 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ინტეგრირებულ ანგარიშგებას არამატერიალური აქტივების მიმდინარე საანგარიშგებო მოთხოვნების გაუმჯობესება.

კანდიდატების უმრავლესობას გაუჭირდა ამოცანის ამოხსნა, განსაკუთრებით სუსტად დაწერეს ამოცანის „ბ“ ნაწილი.

**მეოთხე ამოცანა** მოიცავდა სამ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს ასევე გათვალისწინებული იყო 2 პროფესიული ქულა.

„ა“ ნაწილის კითხვაში (4 ქულა) მოითხოვებოდა იმის შესახებ მსჯელობა, თუ რატომ იქცა მდგრადობა ინვესტორის მიერ კომპანიების ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტად.

„ბ“ ნაწილის კითხვაში (3 ქულა) მოითხოვებოდა იმ მოვლენებების განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

„გ“ ნაწილის კითხვაში (16 ქულა) მოითხოვებოდა მსჯელობა ოთხი საკითხის ასახვის შესახებ.

ბევრმა კანდიდატმა ძალიან სუსტად დაწერა ამ ამოცანის პასუხი ან საერთოდ არ უპასუხა.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს იძლევათ 3 საათი და 30 წუთი. **P2/სსა მოდულის**

შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილის პირველი ამოცანა უნდა ამოხსნას 1 საათში, ა ნაწილის მეორე ამოცანა - 45 წუთში, ხოლო ბ ნაწილის მესამე და მეოთხე ამოცანები - 1 საათსა და 45 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 52-53 წუთში.

**P2/სსა „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“** მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 47 |
| მინიმალური ნიშანი                      | 69 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 10 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 0  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 1  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 70%               | 54%            | 75%             | 70%            | 71%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 47%               | 44%            | 48%               | 49%            | 47%               |

**P4/ფაუდ „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ორი 20-ქულიანი და ორი 30-ქულიანი. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

**პირველი ამოცანა** ეხება თემას „ინვესტიციების შეფასება“.

ა ნაწილში (12 ქულა) მოითხოვებოდა პროექტის დაბეგვრის შემდგომი ფულადი ნაკადების ნომინალური ღირებულების პროგნოზის განხილვა.

ბ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების შეფასება.

გ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასება.

გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო 2 ქულა მოხსენებითი ბარათის ხარისხისა და წარდგენის ფორმატისთვის.

ყველა კანდიდატმა სცადა ამოცანის ამოხსნა და უმრავლესობამ მაღალი ქულა მიიღო ყველა კითხვაზე პასუხისთვის.

**მეორე ამოცანა** ეხება თემას „კორპორაციული რესტრუქტურირება და რეორგანიზაცია“.

ამოცანაში (20 ქულა) მოითხოვებოდა იმ საკითხების განხილვა, რომელთა გათვალისწინება უნდა მოხდეს კომპანიის ქვედანაყოფის გაყიდვისას.

კანდიდატების უმრავლესობამ განიხილა მხოლოდ რამდენიმე საკითხი და მიიღო საშუალო ქულა.

*მესამე ამოცანა* ეხება თემას „შესყიდვა და შერწყმა“.

ამ ამოცანაში (30 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის შეფასება მისი საოპერაციო თავისუფალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ მიმდინარე ღირებულებაზე დაყრდნობით.

*მეოთხე ამოცანა* ეხება თემას „როლი და პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეთა მიმართ“.

ამ ამოცანაში (20 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიასთან დაკავშირებული ბიზნესრისკების ახსნა და რეკომენდაციების მომზადება, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი მართვა.

ბევრმა კანდიდატმა კარგი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის ყველა კითხვას.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი. **P4/ფაუდ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა და გ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა 20-ქულიანი ამოცანა 40 წუთში უნდა ამოხსნას, 30-ქულიანი - 1 საათსა და 5 წუთში, ხოლო 25-ქულიანი ამოცანები, თითოეული 52-53 წუთში.**

**P4/ფაუდ „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 69 |
| მინიმალური ნიშანი                      | 73 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 50 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 0  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 29%               | 88%            | 67%             | 75%            | 100%            |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 42%               | 39%            | 41%               | 41%            | 41%               |



**P7/აპმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 50-ქულიანი და ორი 25-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

**პირველი ამოცანა** მოიცავდა ოთხ - „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ნაწილებს და 4 პროცესიულ ქულას.

„ა“ ნაწილში (26 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტის რისკის შეფასება ჯგუფის აუდიტის პროცესის დაგეგმვისას.

„ბ“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა ძირითადი აუდიტორული პროცედურების შემუშავება, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების ამონაგების ინფორმაციასთან მიმართებაში.

„გ“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა იმ საკითხების განხილვა, რომლებიც კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ვიდრე გადაწყვეტს ჯგუფის სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებზე დამატების საკონსულტაციო გარიგებას.

„დ“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტორულ მონაცემთა ანალიტიკის ახსნა. კანდიდატების უმრავლესობამ კარგად უპასუხა ამოცანის ყველა კითხვას და შედარებით კარგი ქულა მიიღო.

პროფესიული ქულები (4 ქულა) განკუთვნილი იყო ტექსტის წარდგენის, გარვევით ახსნისა და ლოგიკური თანმიმდევრობისთვის. როგორც წესი, სუსტმა კანდიდატებმაც მიიღეს 2-2 პროფესიული ქულა ანგარიშის დასათაურებისა და მოკლე შესავლისთვის.

**მეორე ამოცანა** მოიცავდა ორ - „ა“ და „ბ“ ნაწილებს.

„ა“ ნაწილში (15 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის აუდიტის დაგეგმვისა და პროცედურების ხარისხის შეფასება.

„ბ“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა იმ საკითხების შეფასება, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს აუდიტორმა ჯგუფის აუდიტის გარიგებაზე დათანხმებამდე.

კანდიდატების უმრავლესობამ შედარებით კარგად დაწერა მეორე ამოცანის სამივე ნაწილის პასუხი და მიიღო საშუალო ქულები.

**მესამე ამოცანა** მოიცავდა ოთხ - „ა1“, „ა2“, „ბ1“ და „ბ2“ ნაწილებს.

„ა1“ და „ა2“ ნაწილში (15 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტის დასრულების ეტაპზე გამოვლენილ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება და წამოჭრილი საკითხების აუდიტის დასკვნაზე გავლენის შეფასება.

„ბ1“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტორის პასუხისმგებლობის აღწერა ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ სხვა ინფორმაციასთან მიმართებით.

„ბ2“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა აუდიტის დასრულების ეტაპსა და აუდიტორის დასკვნაზე გამოვლენილი საკითხების გავლენის შეფასება.

კანდიდატებმა შედარებით კარგად უპასუხეს ამოცანის ყველა კითხვას.

**P7/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 51 |
| მინიმალური ნიშანი                      | 61 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 41 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 0  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 53%               | 50%            | 86%             | 71%            | 60%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 35%               | 32%            | 34%               | 31%            | 32%               |

**სბლ „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა - გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 100-ქულიანი სცენარი, რომელიც მოიცავდა ოთხ დავალებას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 4 საათი და 30 წუთი.

**პირველი დავალების ა ნაწილში** (10 ქულა) მოითხოვებოდა ბიზნესგარემოს ფაქტორების ანალიზის გაკეთება, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის მობილური კომუნიკაციების ინდუსტრიაზე. პროფესიულ უნარებში (4 ქულა) ქულები იწერებოდა ბიზნესგარემოს ანალიზის დროს ანალიზის უნარის გამოვლენისას. კანდიდატების უმრავლესობამ დამაკმაყოფილებლად უპასუხეს ამ კითხვას.

**პირველი დავალების ბ ნაწილში** (6 ქულა) მოითხოვებოდა მობილური კომუნიკაციების ინდუსტრიაში კონკურენტული გარემოს შეფასება. პროფესიულ უნარებში (4 ქულა) ქულები იწერებოდა კონკურენტული გარემოს შეფასების დროს შეფასების უნარის გამოვლენისას. კანდიდატების უმრავლესობამ სწორად და სრულყოფილად შეაფასა აღნიშნული ინდუსტრიის კონკურენტული გარემო.

**მეორე დავალებაში** (6 ქულა) მოითხოვებოდა მთავარი აღმასრულებლისთვის წერილის მიწერა, რომელშიც ურჩევდით მას, თუ როგორ უპასუხოს ინსტიტუციური ინვესტირის მიერ წამოჭრილ საკითხებს. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა მთავარი აღმასრულებლისთვის წერილის მიწერის დროს კომუნიკაციის უნარის გამოვლენისას. ბევრმა კანდიდატმა კარგი პასუხი გასცა ამ კითხვას.

**მესამე დავალების ა ნაწილში** (9 ქულა) მოითხოვებოდა შიდა აუდიტის მნიშვნელობის განხილვა.

**მესამე დავალების ბ ნაწილში** მოითხოვებოდა (1) (6 ქულა) აუდიტის კომიტეტის საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და (2) (8 ქულა) იმის განმარტება, თუ რატომ არის აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელი შიდა აუდიტის ზედამხედველობაზე.

პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა კომერციული ალღოს უნარის გამოვლენის დროს. ბევრ კანდიდატს გაუჭირდა აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

**მეოთხე დავალებაში** (10 ქულა) მოითხოვებოდა მთავარი აღმასრულებლის მიერ ჩამოთვლილი კონტექსტური შემადგენლების გამოყენებით ანგარიშის მომზადება, რომელშიც კანდიდატი შეაფასებდა შესაძენ კომპანიაში განსახორციელებელ სტრატეგიულ ცვლილებებს. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა შესაძენ კომპანიაში განსახორციელებელი სტრატეგიული ცვლილებების შეფასებისას შეფასების უნარის გამოვლენაში. კანდიდატების უმრავლესობას გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

**მეხუთე დავალებაში** (14 ქულა) მოითხოვებოდა ბიზნესგეგმისთვის ჩანაწერების მომზადება, რომელიც უნდა წარედგინოს სტრატეგიული დაგეგმვის კომიტეტს. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა ბიზნესგეგმისთვის ჩანაწერების გაკეთების დროს კომერციული ალღოს უნარის გამოვლენაში. კარგად მომზადებულმა კანდიდატებმა სწორი და სრულყოფილი პასუხი გასცეს ამ კითხვას.

**მეექვსე დავალების ა ნაწილში** (5 ქულა) მოითხოვებოდა გაყიდვების დირექტორის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მთავარი აღმასრულებლის მოსაზრების კრიტიკულად შეფასება. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა ანაზღაურებასთან დაკავშირებით მთავარი აღმასრულებლის მოსაზრების გაკრიტიკების დროს სკეპტიციზმის უნარის გამოვლენაში. ბევრ კანდიდატს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

**მეექვსე დავალების ბ ნაწილში** (6 ქულა) მოითხოვებოდა ინსტიტუციური ინვესტორის შეხედულებების შეფასება ორი არააღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა ინსტიტუციონალური ინვესტორის შეხედულების შეფასების დროს სკეპტიციზმის უნარის გამოვლენაში. კანდიდატების უმრავლესობამ შედარებით სუსტად უპასუხა ამ კითხვას.

**სბლ „სტრატეგიული ბიზნეს ლიდერი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

|                                        |    |
|----------------------------------------|----|
| საშუალო ნიშანი                         | 53 |
| მინიმალური ნიშანი                      | 65 |
| მაქსიმალური ნიშანი                     | 34 |
| კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში  | 0  |
| კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში | 0  |

| ბაფი | 2021 წ. თებერვალი | 2021 წ. ივლისი | 2022 წ. იანვარი | 2022 წ. ივლისი | 2023 წ. იანვარი |
|------|-------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|
|      | 47%               | 75%            | 67%             | 67%            | 88%             |

| ACCA Global | 2020 წ. დეკემბერი | 2021 წ. ივნისი | 2021 წ. დეკემბერი | 2022 წ. ივნისი | 2022 წ. დეკემბერი |
|-------------|-------------------|----------------|-------------------|----------------|-------------------|
|             | 49%               | 46%            | 51%               | 50%            | 49%               |

## კომპანიების საქმიანობის (წლიური) ანგარიშები

### მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“

საქმიანობის ანგარიშების სტრუქტურისა და ფორმატის ცოდნა რეგულარულად მოწმდება საქმიანობის შედეგების მართვის მოდულის გამოცდებზე. ჩვენი სტატიის მიზანია, რამდენიმე რჩევა მივცეთ კანდიდატებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბონ ამ ტიპის კითხვების პასუხი.

ბოლო წლების რამდენიმე საგამოცდო კითხვის მაგალითები:

2018 წლის დეკემბერი, კ1(ა): **შეაფასეთ საქმიანობის ანგარიშის მომზადების სისტემა მოთხოვნის შესაბამისად. (13 ქულა)**

2019 წლის მარტი/ივნისი, კ 1(i): **შეაფასეთ 1-ელ დანართში მოცემული საქმიანობის ანგარიში მოთხოვნის შესაბამისად. (20 ქულა)**

2021 წლის სექტემბერი/დეკემბერი კ1(i): **შეაფასეთ, 1-ელ დანართში მოცემული საინფორმაციო პანელმა რატომ დაიმსახურა ჯილდო აღმასრულებელი დირექტორის თხოვნით. (8 ქულა)**

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ორგანიზაციისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს საქმიანობა, ამიტომ სავსებით ცხადია, რომ შეუძლებელია არსებობდეს საქმიანობის შედეგების გაზომვის ან წარმოდგენის ერთადერთი სწორი მეთოდი. მაგალითად, კომერციული ორგანიზაციები აუცილებლად დაინტერესებულნი არიან გაყიდვებითა და მოგებით, მაგრამ საქველმოქმედო ორგანიზაციებს არც გაყიდვები აქვთ და არც მოგება. გარდა ამისა, ერთი ორგანიზაციის ფარგლებშიც კი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა აუდიტორიისთვის შესაძლოა ორგანიზაციის საქმიანობის განსხვავებული ასპექტები იყოს უფრო დეტალურად განხილული ანგარიშში.

### მისია და მიზნები

ორგანიზაციის მისია და ქვემიზნები/ამოცანები უნდა განსაზღვრავდეს მის დანიშნულებას/მთავარ მიზანს, ხოლო საქმიანობის ანგარიშში შეფასებული უნდა იყოს მისიაში მითითებული მიზნები და სხვა ქვემიზნები იმგვარად, რომ ორგანიზაციის მთავარმა აღმასრულებელმა პირმა დაინახოს, მიიღწევა თუ არა მისი მისია და ა.შ.

### 2019 წლის მარტი/ივნისი კ1 (Chiven) მოიცავდა შემდეგ განცხადებას:

კომპანიის საერთო მიზანია: „გახდეს ბილენდის ტანსაცმლის საცალო ვაჭრობის სექტორში უმსხვილესი გამყიდველი და თავისი აქციონერებისთვის შექმნას განსაკუთრებული ღირებულება“.

აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ ამ საერთო მიზნის მიღწევას აპირებს „ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდით და ასევე ინტერნეტსივრცეში ჩვენი ამჟამინდელი მცირე ცნობადობის მასშტაბის გაზრდით“. კომპანიას აქვს ორი სხვა მიზანიც, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა მასივების გამოყენებასა და მიწოდების ჯაჭვის გამარტივებასთან.

მაგალითისთვის განვიხილოთ 2019 წლის მარტი/ივნისის 1-ელი საგამოცდო კითხვა. აქ, პირველ რიგში, გასარკვევი ისაა, საქმიანობის ანგარიშში განხილულია/აღწერილია თუ არა მისია. ასეთ ვითარებაში სასარგებლოა იმის დადგენა, მისიას აქვს თუ არა რამდენიმე ნაწილი, როგორც Chiven-ის შემთხვევაშია. Chiven-ის მისია ორი ნაწილისგან შედგება – გახდეს ტანსაცმლის საცალო ვაჭრობის სექტორში უმსხვილესი გამყიდველი და „განსაკუთრებული ღირებულება“ შექმნას თავისი აქციონერებისთვის.

ორგანიზაციის მისიის სტრუქტურის დადგენის შემდეგ, აუცილებელია, რომ მისი თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე განვიხილოთ, იმის გათვალისწინებით, რამდენად ადეკვატურად არის შეფასებული საქმიანობის ანგარიშში მისიაში მითითებული მიზნები.

მას შემდეგ, რაც მისიას განვიხილავთ, უნდა შეაფასოთ თითოეული „ქვემიზანი“. კიდევ ერთხელ ყურადღება უნდა გაამახვილოთ იმაზე, ანგარიშში შეფასებულია თუ არა თითოეული ეს ძირითადი სფერო/ამ მიზნის მიღწევის მდგომარეობა/ხარისხი.

## ზოგადი მოსაზრებები და ფორმატი

საქმიანობის ანგარიშების აუდიტორია, როგორც წესი, იქნება დირექტორთა საბჭო, მენეჯერები, კომპანიის მესაკუთრეები, მთავრობა, ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები.

სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ ანგარიშში გამოყენებული დეტალიზაციის დონის, მისი სტრუქტურისა და ტერმინოლოგიის შეფასებისას, რათა ანგარიშის მომხმარებლებმა სწორად გაიგონ მიწოდებული ინფორმაცია. გასათვალისწინებელია ისიც, ანგარიში ხომ არ მოიცავს ძალიან ბევრ ინფორმაციას. საქმიანობის ანგარიშებთან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კრიტიკული შენიშვნა არის ის, რომ ანგარიშში ხშირად ძალიან ბევრი ინფორმაცია არის წარმოდგენილი და ძალიან გადატვირთულია ამგვარი ანგარიშისთვის შეუფერებელი არასაჭირო დეტალებით. შესაძლოა ანგარიში მოიცავდეს მეტად ღირებულ ინფორმაციას, მაგრამ მისი პოვნა/გამორჩევა და ინტერპრეტაცია თითქმის შეუძლებელი ხდება ზემოაღნიშნული მიზეზის გამო. ასეთ ვითარებაში ყოველთვის ჩნდება ეჭვი, რომ განზრახ არის წარმოდგენილი დიდი მოცულობის ინფორმაცია რეალური ფაქტების გასაბუნდოვნებლად/მომხმარებლების დასაბნელებლად და გზავნილის დასაჩრდილად.

გარდა ამისა, უნდა განვიხილოთ ანგარიშში წარსადგენი ინფორმაციის დონე, ე.ი. დირექტორთა საბჭოსთვის განკუთვნილ ანგარიშში, რომელიც მიმართული უნდა იყოს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მაჩვენებლებზე, აუცილებელი არ არის ბევრი ოპერატიული დეტალის გათვალისწინება.

ანგარიშის სტრუქტურა მომხმარებლებს უნდა დაეხმაროს წარმოდგენილი ინფორმაციის გაგებაში და მნიშვნელოვანი თანხების, ტენდენციების, შედეგებისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების სწრაფად დანახვაში/აღქმაში. საქმიანობის შედეგების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის აღქმის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად შესაძლებელია გრაფიკული გამოსახულებების გამოყენება.


მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად და მათი მნიშვნელობისა თუ მიზეზების ასახსნელად ანგარიშში ასევე აუცილებელია წარმოდგენილი ინფორმაციის ნარატიული ახსნის ჩართვა. მაგალითად, ისეთი მარტივი რამეც კი, როგორიც

არის მასალების ფასების არახელსაყრელი გადახრა, საჭიროებს ახსნას, კერძოდ, რამ გამოიწვია ეს. თუ ახსნა მოცემული არ არის, ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ კითხვები მოგვიანებით გაჩნდება. ახსნა-განმარტებები შეიძლება მოიწონონ/მისაღები აღმოჩნდეს ან არა, მაგრამ საკმაოდ უსარგებლოა მართო იმის გაგება, რომ ფასების გადახრას აქვს ადგილი, თუ ანგარიშში მითითებული არ იქნება, რამ გამოიწვია ეს.

შემდეგ, გარდა იმისა, რომ უნდა განიხილოთ, ანგარიშში შეფასებულია თუ არა ორგანიზაციის მისიისა და სხვა ქვემიზნების/ამოცანების მიღწევის ხარისხი, ასევე უნდა განიხილოთ, ანგარიშში გამოტოვებული ხომ არ არის რაიმე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, გარე კრიტერიუმები, როგორიც არის ინფორმაცია კონკურენტების შესახებ.

## ინფორმაციის ტიპები

ინფორმაციის კლასიფიცირება შესაძლებელია შემდეგ კატეგორიებად:



ინფორმაციის ზემოაღნიშნული კატეგორიების მაგალითებია:

**ფინანსური ინფორმაცია:** გაყიდვები/რეალიზაცია, მოგება, დანახარჯები, საერთო მოგების მარჟა, წმინდა მოგების მარჟა, გამოყენებული კაპიტალის უკუგება, აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი, სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი და სხვ.

**არაფინანსური რაოდენობრივი ინფორმაცია:** წუნდებული პროდუქციის პროცენტი, გაყიდვების მოცულობა, საჩივრების რაოდენობა.

**არაფინანსური ხარისხობრივი ინფორმაცია:** რეპუტაცია, ეფექტურობა, მომხმარებლების კმაყოფილება, პერსონალის მორალური მდგომარეობა, ინოვაცია.

არაფინანსური ინფორმაციის საჭიროება უფრო აშკარაა არაკომერციულ ორგანიზაციებში. მართლაც, ამ ორგანიზაციებში არაფინანსური საქმიანობა ხშირად თვითმიზანია და არა მოგების მიღების საშუალება.



ანგარიში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობის ანგარიშის დანიშნულებას. კერძოდ, არაფინანსური შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი საწარმოს გრძელვადიან წარმატებას. ბიზნესის მოკლევადიანი ფინანსური მაჩვენებლები ხშირად შეიძლება გაუმჯობესდეს ხარისხის, ინოვაციებისა და პერსონალის სწავლების/გადამზადების დანახარჯების შემცირების ხარჯზე. თუმცა, ბიზნესი (კომპანია), რომელიც ამ მიდგომებს იყენებს, სავარაუდოდ, ფინანსურად დაზარალებულია გრძელვადიან პერსპექტივაში. საქმე იმაში არ არის, რომ საწარმო დაინტერესებულია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებით. მთავარი ისაა, რომ თუ საწარმო თავის თავს წარადგენს მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელ კომპანიად, მან ნამდვილად უნდა მიაწოდოს ბაზარს მაღალი ხარისხის პროდუქცია და, შესაბამისად, უნდა ახორციელებდეს ხარისხის მონიტორინგს. თუ საწარმო ცნობილია, როგორც „იაფი და სასიამოვნო“ მომწოდებელი, მისთვის ხარისხის გამოშვა გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება, სამაგიეროდ, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯები უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

არაფინანსური ხარისხობრივი ინფორმაცია, სავარაუდოდ, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რაოდენობრივი ინფორმაცია, მაგრამ უფრო რთულია მისი განსაზღვრა. ტექნიკურად, ხარისხობრივი ინფორმაცია პროდუქციის ისეთ მახასიათებლად, ატრიბუტად მიიჩნევა, რომლის პირდაპირ გამოშვა შეუძლებელია, როგორც არის, მაგალითად ენთუზიაზმი და თანაგრძნობა. ორივე ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, მაგრამ მათი პირდაპირი გაზომვის მეთოდი არ არსებობს. ჩვეულებრივ, ინფორმირების, შეფასებისა და შედარების მიზნებისთვის აუცილებელია ხარისხობრივი ინფორმაციის რაოდენობრივ ინფორმაციად გარდაქმნაზე ზრუნვა. მაგალითად, საავადმყოფოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, პაციენტებმა იგრძნონ, რომ მათ ფაქიზად და ღირსეულად ეპყრობიან. თუ ვივარაუდებთ, რომ ხელმძღვანელობა ამას მნიშვნელოვან თვისებად მიიჩნევს, აუცილებელია შესაბამისი მიზნების დასახვა და შედეგების შეფასება. უდავოა, რომ ეს გაკეთდება რაიმე ტიპის რიცხვითი შეფასების სისტემის შექმნით, რათა ხარისხობრივი ინფორმაცია გარდაიქმნას რაოდენობრივ ინფორმაციად.

ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან რაოდენობრივ მაჩვენებლებზე გადასვლამ შეიძლება ინფორმაციის დამახინჯება გამოიწვიოს. მაგალითად, გაჩნდება კითხვა: რეალურად ბოშავს თუ არა ეს რაოდენობრივი მაჩვენებელი იმას, რისი შეფასებაც საწარმოს სურს? ვთქვათ, ორგანიზაციამ ენთუზიაზმის გაზომვის მიზნით გადაწყვიტა შეაფასოს, როდის ცხადდება პერსონალი სამსახურში დილით. თუმცა, ადამიანი, რომელიც ყოველთვის ადრე მოდის სამსახურში, შეიძლება უბრალოდ მატარებლის მოძრაობის საათობრივი განრიგის მსხვერპლი იყოს: მოვიდეს 40 წუთით ადრე ან 20 წუთით დაგვიანებით. ასე, რომ დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ხარისხობრივი ინფორმაციის რაოდენობრივ ინფორმაციად გარდაქმნისთვის შესაფერისი მაჩვენებლების შერჩევისას/განსაზღვრისას.

## დასკვნა

როდესაც გამოცდაზე გთხოვენ კომპანიის საქმიანობის ანგარიშის შეფასებას, გახსოვდეთ:

- პირველ რიგში, უნდა შეამოწმოთ ანგარიშის სტრუქტურა/ფორმატი;
- ანგარიშს უნდა ჰქონდეს სახელწოდება/სათაური, საზოგადოდ, ამ შემთხვევაში კი „საქმიანობის ანგარიში“;
- ვისთვისაა განკუთვნილი ანგარიში;
- მითითებული უნდა იყოს ანგარიშის თემა/საკითხი;
- უნდა იწყებოდეს შესავლით (რამდენიმე სტრუქტურირებული აბზაცი, რომელიც მოიცავს ანგარიშის ძირითადი შინაარსის ანალიზს/შეფასებას);
- უნდა მთავრდებოდეს დასკვნით;
- შემდეგ უნდა დაადგინოთ, ანგარიშში შეფასებულია თუ არა ორგანიზაციის მისიის კომპონენტები;
- დაადგინოთ, ანგარიშში შეფასებულია თუ არა ორგანიზაციის ქვემიზნები და ამოცანები;
- განიხილოთ ანგარიშის ზოგადი შინაარსი, ინფორმაციის მოცულობა და მისი დეტალიზაციის დონე;
- შეფასებისას ნუ შეგეშინდებათ ცვლილებების ან ალტერნატივების შესახებ კომპანიის ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციების მიცემა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს რეკომენდაციები დასაბუთებული იქნება სათანადო არგუმენტებით: რატომ არის საჭირო/აუცილებელი მათი გათვალისწინება.

*სტატია მოამზადა საქმიანობის შედეგების  
მართვის მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა*

# გადახრების გამოთვლა და ანალიზი ნორმატიული დანახარჯების მეშვეობით

## მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“

ნორმატიული დანახარჯების კალკულაციის სისტემაში გადახრების ანალიზი მმართველობითი აღრიცხვის მოდულის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, შესაბამისად, გამოცდისთვის კარგად უნდა მოამზადოთ ეს თემა. გარდა ამისა, ნორმატიული დანახარჯების კალკულაციის მეთოდით გადახრების ანალიზი ერთ-ერთი იმ ინსტრუმენტთაგანია, რომელსაც კარგად უნდა ფლობდეს პროფესიონალი ბუღალტერი თუ მენეჯერი, რომელიც დანახარჯების (და არა მარტო დანახარჯების) ცენტრის საქმიანობაზე პასუხისმგებელი.

ამ სტატიაში განვიხილავთ გადახრების გამოთვლების მაგალითებს, რათა გარკვეული „გაკვეთილები“ ისწავლოთ და აღარ დაუშვათ ისეთივე შეცდომები, როგორსაც ხშირად უშვებენ კანდიდატები გამოცდაზე ამ თემაზე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს.

ტერმინი „**ნორმატივი**“ აღნიშნავს პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისთვის წინასწარ განსაზღვრული დანახარჯებისა და ამონაგების შეფასებულ სიდიდეს. „**ნორმატიულ დანახარჯს**“ ხშირად შემდეგნაირად განმარტავენ: „ნორმატიული დანახარჯი არის პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისთვის დაგეგმილი დანახარჯი, ან პროდუქტის ან მომსახურების ერთეულის ბიუჯეტი“. ნორმატივები, უპირველეს ყოვლისა, გადახრების გამოსათვლელად გამოიყენება. გადახრები, თავის მხრივ, გამოიყენება დანახარჯებსა და ამონაგებზე კონტროლის განსახორციელებლად და კომპანიის საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად. გადახრები გამოითვლება ფაქტობრივი დანახარჯებისა და ამონაგების შედარებით ნორმატიულ დანახარჯებსა და ამონაგებთან.

### 1-ელი მაგალითი

სს „დერმოტი“ საწოლების მწარმოებელი კომპანიაა. კომპანიაში გადახრების ანალიზის, მენეჯერებისა და ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგებზე მონიტორინგის განსახორციელებლად იყენებენ ნორმატიული დანახარჯების სისტემას დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდზე დაყრდნობით. ქვემოთ მოცემულია ნორმატიული დანახარჯების აღრიცხვის ბარათი კომპანიის პროდუქციის ერთ-ერთი მოდელისთვის:

|                                                  | ფუნტი<br>ერთეულზე | ფუნტი<br>ერთეულზე |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სარეალიზაციო ფასი                                |                   | 250.00            |
| პირდაპირი მასალა:                                |                   |                   |
| ხე: 12მ @ მეტრის ფასი 1.50 ფუნტი                 | 18.00             |                   |
| ქსოვილი: 6 კვ.მ @ კვ.მ-ის ფასი 2.00 ფუნტი        | 12.00             |                   |
| პირდაპირი შრომა: 4საათი @ საათი – 6.00 ფუნტი     | 24.00             |                   |
| ცვლადი ზედნადები ხარჯები: 4 საათი @ 15.00 ფუნტი  | 60.00             |                   |
| მუდმივი ზედნადები ხარჯები: 4 საათი @ 10.00 ფუნტი | <u>40.00</u>      |                   |
|                                                  |                   | 154.00            |
| მოგება                                           |                   | <u>96.00</u>      |

საბიუჯეტო წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებელი არის თვეში 1,000 საწოლი. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული მოდელის საწოლის წარმოებისა და რეალიზაციის ბოლო თვის ფაქტობრივი დანახარჯები:

რეალიზაცია: 1,200 ერთეული @ 240 ფუნტი თითოეული

წარმოება: 1,300 ერთეული

ხის მასალა: 16,000 მ @ მეტრი – 1.40 ფუნტი

ქსოვილი: 7,800 კვ.მ @ კვ.მ – 2.10 ფუნტი

პირდაპირი შრომა: 5,000 საათი @ საათი – 7.00 ფუნტი

ცვლადი ზედნადები ხარჯები: 5,000 საათი @ საათი – 15.10 ფუნტი

მუდმივი ზედნადები ხარჯები: 54,600 ფუნტი.

კომპანიას ამ თვეში არ ჰქონდა საწყისი მარაგი.

## ტერმინოლოგია

ამ სტატიაში ტერმინს „არახელსაყრელი გადახრა“ გამოვიყენებთ ისეთი სიტუაციის დასახასიათებლად, როდესაც ფაქტობრივი შედეგები ნორმატიულთან შედარებით გაუარესებულია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოგებაზე (დანახარჯები მეტია ნორმატიულზე, ან ამონაგებია ნაკლები), ხოლო ტერმინს „ხელსაყრელი“ – დადებითი სიტუაციისთვის.

## ცვლადი დანახარჯების გადახრა

როგორც წესი, პირდაპირი შრომითი დანახარჯების გადახრის გამოთვლა ყველაზე მარტივია. პირდაპირი შრომის ფაქტობრივი დანახარჯი იყო 35,000 ფუნტი (5,000 სთ × 7.00 ფუნტი). ეს დანახარჯი უნდა შეუდარდეს ნორმატიულ დანახარჯს. კანდიდატებს ყველაზე მეტად უჭირთ და შეცდომებს უშვებენ შემდეგი სახის შედარებებში:

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი} \\ & > 11,000 \text{ ფუნტი} - \text{შრომითი დანახარჯების} \\ & \text{გადახრა (არახელსაყრელი).} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{საბიუჯეტო საათები} \times \text{ნორმატიული განაკვეთი} \\ &= 1,000 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 24,000 \text{ ფუნტი} \end{aligned}$$

ეს არ არის საბრიანი შედარება. ფაქტობრივი დანახარჯები დაკავშირებულია 1,300 ერთეულის წარმოებასთან, საბიუჯეტო მონაცემები კი – 1,000 ერთეულის წარმოებასთან. ანალიზის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს მსგავსი ციფრები შეედაროს. თუ შრომითი (სამუშაო ძალის) დანახარჯი ცვლადი დანახარჯია, მაშინ ჩვენ მოველით, რომ დამატებითი 300 ერთეულის საწარმოებლად საჭირო იქნება დამატებითი კაცსაათების დანახარჯი.

უფრო საზრიანი და სწორი გამოთვლა იქნება, თუ ფაქტობრივ შრომით დანახარჯებს კორექტირებულ საბიუჯეტო შრომით დანახარჯებს შევუდარებთ, რომელიც საჭიროა 1,300 ერთეულის საწარმოებლად. კერძოდ, შედარება შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს:

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი} \\ & > 3,800 \text{ ფუნტი} - \text{შრომითი დანახარჯების} \\ & \text{გადახრა (არახელსაყრელი)} \\ & \text{ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები} \times \text{შრომის} \\ & \text{ანაზღაურების ნორმატიული განაკვეთი} \\ &= 1,300 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 31,200 \text{ ფუნტი} \end{aligned}$$

## 1-ელი გაკვეთილი

**მნიშვნელოვანია, რომ ცვლადი დანახარჯების გადახრის გამოთვლისას ციფრები თავდაპირველ საბიუჯეტო მონაცემებს კი არ ეყრდნობოდეს, არამედ კორექტირებულ საბიუჯეტო მონაცემებს.**

მთლიანი შრომითი დანახარჯების უარყოფითი გადახრა, 3,800 ფუნტი, შეიძლება პოტენციურად ორი მიზეზით იყოს გამოწვეული: კომპანიამ ხელფასები ნორმატიულისგან განსხვავებული საათობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთით გადაიხადა, ან ნორმატიულისგან განსხვავებული საათები დაიხარჯა პროდუქციის ერთეულზე, ან ორივე ერთად. თუ ანალიზში მესამე გამოთვლასაც ჩავრთავთ, შევძლებთ ამ ორი მიზეზის ერთმანეთისგან გამიჯვნას.

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი} \\ & > 5,000 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ანაზღაურების} \\ & \text{განაკვეთის გადახრა (არახელსაყრელი).} \\ & \text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ნორმატიული განაკვეთი} \\ &= 5,000 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 30,000 \text{ ფუნტი} \\ & > 1,200 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ნაყოფიერების} \\ & \text{გადახრა (ხელსაყრელი).} \\ & \text{ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები} \times \text{ნორმატიული} \\ & \text{განაკვეთი} = 1,300 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 31,200 \text{ ფუნტი.} \end{aligned}$$

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ 3,800 ფუნტის ოდენობის მთლიანი არახელსაყრელი გადახრა ორი მიზეზითაა განპირობებული. პირველი, შრომის ანაზღაურების განაკვეთის (ან უფრო ზოგადად – ღირებულების) გადახრით, რაც გამოიწვია საათში ნორმატიულთან შედარებით უფრო მეტი ხელფასის გადახდამ. მეორე, შრომის ნაყოფიერების გადახრით, რაც გამოიწვია 1,300 ერთეულის გამოშვებამ 5,000 საათში და არა 5,200 საათში, რაც არის კორექტირებული ბიუჯეტი (1,300 ერთეული  $\times$  4 სთ).

## სხვა ცვლადი დანახარჯების გადახრები

ყველა სხვა ცვლადი დანახარჯის გადახრები (პირდაპირი მასალა და ცვლადი ზედნადები ხარჯები) ყველაზე უმარტივესად იმავე გზით გამოითვლება, როგორც პირდაპირი შრომის (დანახარჯების) გადახრები. ყველა სხვა ცვლადი დანახარჯის გადახრების გამოთვლის საერთო წესი შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი გამოყენება} \times \text{ფაქტობრივი განაკვეთი} \\ & = 5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = \\ & > \text{დანახარჯების გადახრაზე} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი გამოყენება} \times \text{ნორმატიული განაკვეთი} \\ & > \text{ეფექტურობის (ნაყოფიერების,} \\ & \text{ათვისების) გადახრაზე.} \end{aligned}$$

ნორმატიული გამოყენება ფაქტობრივი წარმოებისთვის  $\times$  ნორმატიული განაკვეთი.

ცოდნის შემოწმების მიზნით, შეგიძლიათ თქვენ თვითონ გამოიყენოთ ეს მიდგომა „დერმოტის“ სხვა ცვლადი დანახარჯების მიმართ. პასუხები მოცემულია სტატიის ბოლოს.

## მე-2 გაკვეთილი:

**თუ შეგიძლიათ რომელიმე ერთი ტიპის ცვლადი დანახარჯის გადახრის გამოთვლა, უნდა შეძლოთ ყველანაირი ცვლადი დანახარჯის გადახრის გამოთვლა.**

## მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრები

კანდიდატების უმეტესობას არ უჭირს მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრების გამოთვლა. ეს გადახრა გამოსათვლელად მარტივია, რადგან როდესაც მუდმივ დანახარჯს ვაანალიზებთ, ჩვენ არ გვჭირდება ბიუჯეტის კორექტირება მსგავსი მონაცემების საზრიანი შედარების განსახორციელებლად. „დერმოტის“ შემთხვევაში მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრის გამოთვლა შემდეგნაირად ჩატარდება:

$$\begin{aligned} & \text{ფაქტობრივი მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულება} \\ & 54,600 \text{ ფუნტი} \\ & > 14,600 \text{ ფუნტი მუდმივი ზედნადები} \\ & \text{ხარჯების გადახრა (არახელსაყრელი)} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} & \text{საბიუჯეტო მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულება} \\ & = 1,000 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 10.00 \text{ ფუნტი} = 40,000 \text{ ფუნტი} \end{aligned}$$


ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, „დერმოტმა“ დახარჯა 54,600 ფუნტი მუდმივ ზედნადებ ხარჯებზე, როდესაც ბიუჯეტით გათვალისწინებული დასაშვები თანხა იყო 40,000 ფუნტი, რამაც განაპირობა 14,600 ფუნტის ოდენობის არახელსაყრელი გადახრა.



ღირებულების გადახრისგან განსხვავებით, კანდიდატებს უფრო უჭირთ მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის გამოთვლა, ვიდრე სხვა გადახრების. მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის გამოთვლაში მთავარია გავარკვიოთ, ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისს ჰქონდა ადგილი თუ სიჭარბეს.

**1-ელ გრაფიკზე** ნაჩვენებია, როგორ წარმოიშობა გადახრები.


**გრაფიკი 1: მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა**



დიაგონალური წრფე, რომელიც კოორდინატთა სათავიდან გამოდის, გვიჩვენებს ზედნადები ხარჯებს, რომლის შთანთქმაც უნდა მოხდეს ბიუჯეტის თანახმად – 40 ფუნტი ერთეულზე. მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის ეს ნორმატიული განაკვეთი განკუთვნილი იყო საბიუჯეტო მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმისთვის, წარმოების საბიუჯეტო დონეზე. მაშასადამე, თუ კომპანია მუშაობს საბიუჯეტო წარმოების დონის პირობებში და უშვებს 1,000 ერთეულს, მაშინ მოხდება 40,000 ფუნტის ოდენობის ზედნადები ხარჯების შთანთქმა (საბიუჯეტო თანხა). ჩვენს მაგალითში, კომპანიამ, ფაქტობრივად, 1,300 ერთეული გამოუშვა და, მაშასადამე, 52,000 ფუნტის ოდენობის შთანთქმული ზედნადები ხარჯები ( $1,300 \times 40$  ფუნტი ერთეულზე) იწვევს ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბეს საბიუჯეტო დონესთან შედარებით. ფაქტობრივი მოგების გამოთვლისას შთანთქმული ზედნადები ხარჯების სიჭარბის თანხა აისახება მოგება/ზარალის ანგარიშის კრედიტის მხარეს და ეს თანხა იქნება ხელსაყრელი გადახრა.

მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა შეიძლება გაანალიზდეს ორი გამომწვევი ფაქტორის მიხედვით – ათვისება და ეფექტურობა. ამის გაკეთება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმა ხდება კაცსაათების საფუძველზე. **მე-2 გრაფიკზე** სწორედ ამგვარი ანალიზია გამოსახული.

გრაფიკი 2: მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის ორი გამომწვევი მიზეზი



ამ გრაფიკზე დიაგონალური წრფე, რომელიც კოორდინატთა სათავიდან გამოდის, გვიჩვენებს მუდმივ ზედნადებ ხარჯებს, რომელთა შთანთქმაც უნდა მოხდეს მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის ნორმატიული განაკვეთით – 10 ფუნტი ერთ კაცსათზე. თუ კომპანია იმუშავებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ 4,000 საათს (1,000 ერთეული  $\times$  4 სთ ერთეულზე), მაშინ განხორციელდება საბიუჯეტო ზედნადები ხარჯების ანუ 40,000 ფუნტის შთანთქმა. ამ შემთხვევაში, „დერმოტი“, ფაქტობრივად, 5,000 საათს მუშაობს, რც იწვევს 10,000 ფუნტის ოდენობის შთანთქმის სიჭარბეს საბიუჯეტო დონესთან შედარებით. ეს დაკავშირებულია ათვისების ხელსაყრელ გადახრასთან, ვინაიდან კომპანიამ იმუშავა საბიუჯეტო სიმძლავრეზე მეტი და, შესაბამისად, დაფიქსირდა ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე.

ფაქტობრივად წარმოებული 1,300 ერთეული წარმოადგენს 5,200 სთ ნორმატიულ სამუშაოს (1,300 ერთეული  $\times$  4 სთ ერთეულზე). ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში მზა (პროდუქციის) ერთეულების შეფასება ხდება ნორმატიული დანახარჯით, რომელშიც შედის მუდმივი დანახარჯის ელემენტიც, რაც ამ შემთხვევაში იქნება 52,000 ფუნტი (1,300 ერთეული  $\times$  4 სთ  $\times$  10 ფუნტი ერთ საათზე). ეს დამატებით იწვევს 2,000 ფუნტის ოდენობის შთანთქმის სიჭარბეს. ამ შემთხვევაშიც, შთანთქმის სიჭარბე აისახება მოგების ანგარიშში კრედიტის მხარეს და, მაშასადამე, აისახება როგორც ხელსაყრელი გადახრა. აღნიშნული გადახრა გამოწვეულია იმით, რომ 1,300 ერთეულის საწარმოებლად კომპანიამ დახარჯა ნორმატიულთან შედარებით უფრო ნაკლები შრომა (სამუშაო ძალა) და ეს ფაქტი აისახება, როგორც ეფექტიანობის გადახრა.

მუდმივი ზედნადები ხარჯებისგადახრების გამოთვლა შევაჯამოთ შემდეგნაირად:

|                                                              |                                              |
|--------------------------------------------------------------|----------------------------------------------|
| ფაქტობრივი ზედნადები ხარჯები =                               | 54,600 ფუნტი                                 |
|                                                              | ღირებულება > 14,600 ფუნტი<br>(არახელსაყრელი) |
| საბიუჯეტო ზედნადები ხარჯები =                                |                                              |
| 1,000 ერთეული × 4სთ × 10.00 ფუნტი                            | 40,000 ფუნტი                                 |
|                                                              | ათვისება > 10,000 ფუნტი (ხელსაყრელი)         |
| ფაქტობრივი საათები @ ნორმატიული განაკვეთი ერთ სთ-ზე          |                                              |
| 5,000სთ × 10.00 ფუნტი =                                      | 50,000 ფუნტი                                 |
|                                                              | ეფექტურობა > 2,000 ფუნტი (ხელსაყრელი)        |
| ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული ზედნადები ხარჯები |                                              |
| 11,300 ერთეული × 4სთ × 10.00                                 |                                              |
| ფუნტი =                                                      | 52,000 ფუნტი                                 |

**მიაქციეთ ყურადღება:** მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის მონაცემის მიღება შესაძლებელია ათვისებისა და ეფექტურობის გადახრების მონაცემების შეკრებით.

### მე-3 გაკვეთილი:

**მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა (და მისი შემადგენელი ელემენტების ათვისებისა და ეფექტურობის გადახრა) დაკავშირებულია ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბესთან ან დანაკლისთან, საბიუჯეტო დონეებთან შედარებით.**

### რეალიზაციის გადახრა

რეალიზაციის გადახრას ორი მიზეზი იწვევს: საბიუჯეტო რეალიზაციის მაჩვენებლის შეუსრულებლობა (მოცულობის გადახრა) და წარმოებული ერთეულების გაყიდვა საბიუჯეტო ფასისგან განსხვავებული ფასით (ფასის გადახრა).

რეალიზაციის მოცულობის გადახრა გამოითვლება საბიუჯეტო რეალიზებული ერთეულების შედარებით ფაქტობრივად რეალიზებულ ერთეულებთან და მიღებული სხვაობის გავრცელებით ნორმატიულ მოგების მარჯაზე. კანდიდატები ხშირად უშვებენ შეცდომას ამ საკითხში და ზემოაღნიშნული განსხვავების თანხას ავრცელებენ ერთეულის ნორმატიულ ფასზე. ეს არასწორია: მართალია, რეალიზაციის ერთეულების შემცირება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების დანაკარგს გამოიწვევს, მაგრამ ამავე დროს გამოიწვევს დანახარჯების შემცირებასაც. ჩვენ უნდა განვიხილოთ ამ ორი ციფრის განსხვავება (სხვაობა) და, მაშასადამე, რეალიზაციის მოცულობის გადახრა უნდა შეფასდეს მოგების ნორმატიული მარჯით, როგორც შემდეგ ცხრილშია ნაჩვენები.

|                                    |                             |
|------------------------------------|-----------------------------|
| საბიუჯეტო რეალიზებული ერთეულები =  | მოგების ნორმატიული მარჯა    |
| 1,000 ერთეული × 96.00 ფუნტი =      | 96,000 ფუნტი                |
|                                    | > 19,200 ფუნტი (ხელსაყრელი) |
| ფაქტობრივი რეალიზებული ერთეულები = | მოგების ნორმატიული მარჯა    |
| 1,200 ერთეული × 96.00 ფუნტი =      | 115,200 ფუნტი               |

**მე-4 გაკვეთილი:**

**რელიგიაციის მოცულობის გადახრის გამოთვლა უნდა ეყრდნობოდეს მოგების ნორმატიულ მარჯას და არა ნორმატიულ ფასს.**

სარეალიზაციო ფასის გადახრის მეშვეობით შესაძლებელია იმის შეფასება, რა შედეგი მოჰყვება რეალიზაციას, რომელიც არ განხორციელდა ნორმატიული ფასით. იგი გამოითვლება ფაქტობრივი და ნორმატიული სარეალიზაციო ფასების შედარებით და მიღებული სხვაობის გავრცელებით ნორმატიულ ფასზე:

ფაქტობრივი რეალიზაცია = ფაქტობრივი ფასი

$$1,200 \text{ ერთეული} \times 240 \text{ ფენტი} = 288,000 \text{ ფენტი}$$

$$> 12,000 \text{ ფენტი (არახელსაყრელი)}$$

ფაქტობრივი რეალიზაცია = ნორმატიული ფასი

$$1,200 \text{ ერთეული} \times 250 \text{ ფუნტი} = 300,000 \text{ ფუნტი}$$

## მასალის მარაგი

ისეთ სიტუაციაში, როდესაც მასალის შესყიდვის დონე განსხვავდება მასალის მოხმარების დონისგან, შეიძლება შეიცვალოს მასალის ფასის გადახრის გამოსათვლელი ბაზა. თუ მასალის მარაგის შეფასება ნორმატიული დანახარჯით ხდება, მაშინ მასალის ფასის გადახრა დაეყრდნობა შესყიდული მასალის მონაცემებს. თუ შესყიდული ხის მასალა იყო 18,000 მ და ფაქტობრივი გამოყენება \_ 16,000 მ (როგორც „დერმოტის“ შემთხვევაში ხდება), მაშინ მარაგი იქნებოდა 2,000 მ. გადახრა გამოითვლება შემდეგნაირად:

ფაქტობრივი შესყიდვა ფაქტობრივი ფასით

18,000 მ × 1.40 ფუნტი = 25,200 ფუნტი  
ფასი > 1,800 ფუნტი (ხელსაყრელი)

ფაქტობრივი შესყიდვა ნორმატიული ფასით

$$18,000 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} = 27,000 \text{ ფუნტი}$$

ფაქტობრივი გამოყენება ნორმატიული ფასით

16,000 მ × 1.50 ფუნტი = 24,000 ფუნტი  
გამოყენება > 600 ფუნტი  
(არახელსაყრელი)

ნორმატიული გამოყენება ნორმატიული დანახარჯების პირობებში

$$1,300 \text{ ერთეული} \times 12 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფუნტი} = 23,400 \text{ ფუნტი}$$

## მე-5 გაკვეთილი:

**როდესაც მასალის შესყიდვა განსხვავდება მისი მოხმარებისგან და მარაგის შეფასება ნორმატიული დანახარჯით ხდება, მასალის ფასის გადახრის გამოთვლა უნდა დაეყრდნოს ნაყიდი მასალის ერთეულებს.**

### მოცდენილი (გამოუყენებელი) სამუშაო დროის გადახრა

ზოგჯერ მუშების მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა განსხვავდება მათთვის ანაზღაურებული საათების რაოდენობისაგან. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დეფიციტით, მანქანა-დანადგარების გაფუჭებით, ან რაიმე სხვა მიზეზით საწარმოს მუშაობის შეფერხებით. ასეთ შემთხვევაში, შრომის ნაყოფიერების გადახრის გამოთვლა უნდა დაეყრდნოს ნამუშევარ საათებს და არა ანაზღაურებულს. დავუშვათ, „დერმოტის“ შემთხვევაში კომპანიამ ხელფასი გასცა 5,000 საათზე, როდესაც ნამუშევარი იყო მხოლოდ 4,800 სთ. დარჩენილი საათების რაოდენობა იყო მოცდენილი დრო, რომელიც გამოიწვია დაზგის გაფუჭებამ. მაშინ შრომითი დანახარჯების გადახრა იქნება:

ფაქტობრივი საათები, ანაზღაურებული ფაქტობრივი განაკვეთით  
 $5,000 \text{ სთ} \times 7.00 \text{ ფუნტი} = 35,000 \text{ ფუნტი}$   
 $> 5,000 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ანაზღაურების განაკვეთის გადახრა (არახელსაყრელი)}$

ფაქტობრივი საათები, ანაზღაურებული ნორმატიული განაკვეთით  
 $5,000 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 30,000 \text{ ფუნტი}$   
 $> 1,200 \text{ ფუნტი} - \text{მოცდენილი დროის გადახრა (არახელსაყრელი)}$

ფაქტობრივი ნამუშევარი საათები, ანაზღაურებული ნორმატიული განაკვეთით  
 $4,800 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 28,800 \text{ ფუნტი}$   
 $> 2,400 \text{ ფუნტი} - \text{შრომის ნაყოფიერების გადახრა (ხელსაყრელი)}$

ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები ნორმატიული ანაზღაურების განაკვეთით =  $1,300 \text{ ერთეული} \times 4 \text{ სთ} \times 6.00 \text{ ფუნტი} = 31,200 \text{ ფუნტი}$ .

როდესაც შრომის ნაყოფიერების გადახრის გამოთვლა ნამუშევარ საათებს ეყრდნობა, ამით მაღლდება დანახარჯების აღრიცხვის პასუხისმგებლობა. წარმოების მენეჯერი გააკონტროლებს ნამუშევარი კაცსაათების რაოდენობას, თუმცა, ნაკლებად სარწმუნოა, რომ შეძლოს იმ საათებზე კონტროლის განხორციელება, რომლებიც დაიკარგა მანქანა-დანადგარის გაფუჭებით. მოცდენილი დროის გადახრა, როგორც წესი, არაკონტროლირებად მაჩვენებლად მიიჩნევა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კაცსაათებზე დაფუძნებული სხვა გადახრების გამოთვლაც (მაგ., ცვლადი და მუდმივი ზედნადები ხარჯების) ნამუშევარ კაცსაათებს უნდა დაეყრდნოს. ამ გამოთვლების ლოგიკური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ზედნადები ხარჯები მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც სამუშაო ძალა მუშაობს და არა მაშინ, როდესაც მოცდენილია.

## მე-6 გაკვეთილი:

შრომის ნაყოფიერების გადახრა (და ზედნადების ხარჯების გადახრები, შესაბამის შემთხვევაში) უნდა დაეყრდნოს ნამუშევარ კაცსაათებს და არა იმ საათების რაოდენობას, რომლისთვისაც კომპანიამ ფული გადაიხადა.

## კალკულაცია ნორმატიული ზღვრული დანახარჯებით

ჩვენს მიერ აქამდე ჩატარებული ანალიზი ეყრდნობოდა დანახარჯთა სრული (განაწილებით) კალკულაციის სისტემას. ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში ზოგიერთი გამოთვლა სხვანაირად ტარდება. მე-2 მაგალითში მოცემულია „დერმოტის“ ნორმატიული დანახარჯების აღრიცხვის ბარათი.

### მე-2 მაგალითი:

|                                             | ფუნტი<br>ერთეულზე | ფუნტი<br>ერთეულზე    |
|---------------------------------------------|-------------------|----------------------|
| სარეალიზაციო ფასი                           |                   | 250.00               |
| პირდაპირი მასალა:                           |                   |                      |
| ხე: 12 მეტრი @ მეტრის ფასი 1,50 ფუნტი       | 18.00             |                      |
| ქსოვილი: 6 კვ.მ @ კვ.მ-ის ფასი 2.00 ფუნტი   | 12.00             |                      |
| პირდაპირი შრომა: 4სთ @ 6.00 _ ერთი საათი    | 24.00             |                      |
| ცვლადი ზედნადები ხარჯები: 4სთ @ 15.00 ფუნტი | 60.00             |                      |
|                                             |                   | <u>114.00</u>        |
| ზღვრული მოგება                              |                   | <u><u>136.00</u></u> |

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემისთვის ჩატარებული გამოთვლა, პირველ რიგში, იმით განსხვავდება, რომ მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრის გამოთვლა გამარტივებულია. ვინაიდან წარმოებაში არ ხდება მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმა, არ წარმოიშობა ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე ან დანაკლისი. მაშასადამე, გამოსათვლელია მხოლოდ მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა, რაც ზუსტად ისევე გამოითვლება, როგორც დანახარჯთა სრული (განაწილებით) კალკულაციის სისტემაში.

## მე-7 გაკვეთილი:

**ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის (და მისი შემადგენელი ელემენტების ათვისებისა და ეფექტურობის) გადახრის გამოთვლა საჭირო არ არის.**

მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახლა რეალიზაციის მოცულობის გადახრა ეყრდნობა ერთეულის ზღვრულ მოგებას და არა ერთეულის მოგებას. გამოთვლები შემდეგნაირად ჩატარდება:



საბიუჯეტო რეალიზებული ერთეულები

@ ნორმატიული ზღვრული მოგება

$$1,000 \text{ ერთეული} \times 136 \text{ ფენტი} = 136,000 \text{ ფენტი}$$

$> 27,200 \text{ ფენტი რეალიზაციის მოცულობის გადახრა (ხელსაყრელი)}$

ფაქტობრივი რეალიზებული ერთეულები

@ ნორმატიული ზღვრული მოგება

$$1,200 \text{ ერთეული} \times 136 \text{ ფენტი} = 163,200 \text{ ფენტი}$$

## მე-8 გაკვეთილი:

**ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემაში რეალიზაციის მოცულობის გადახრა ერთეულის მოგებას კი არ ეყრდნობა, არამედ ერთეულის ზღვრულ მოგებას.**

## დასკვნა

ზოგჯერ ნორმატიული დანახარჯების გადახრების გამოთვლა რთული ჩანს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად ძალიან მარტივი გამოსათვლელია.

გთხოვთ გაითვალისწინოთ სტატიაში მოცემული რჩევები და შეცდომები, რომლებსაც კანდიდატები ხშირად უშვებენ ხოლმე. მაშინ, თქვენ აღარ გაიმეორებთ იმავე შეცდომებს და გამოცდაზე მაღალ ქულებს მოაგროვებთ.

## პასუხები:

### ხის მასალა

ფაქტობრივი გამოყენება ფაქტობრივი დანახარჯების პირობებში

$$16,000 \text{ მ} \times 1.40 \text{ ფენტი} = 22,400 \text{ ფენტი}$$

ფასი  $> 1,600 \text{ ფენტი (ხელსაყრელი)}$

ფაქტობრივი გამოყენება ნორმატიული დანახარჯების პირობებში

$$16,000 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფენტი} = 24,000 \text{ ფენტი}$$

გამოყენება  $> 600 \text{ ფენტი (არახელსაყრელი)}$

ნორმატიული გამოყენება ნორმატიული დანახარჯების პირობებში

$$1,300 \text{ ერთეული} \times 12 \text{ მ} \times 1.50 \text{ ფენტი} = 23,400 \text{ ფენტი}$$

## ქსოვილი

ფაქტობრივი გამოყენება ფაქტობრივი დანახარჯების პირობებში

$$7,800 \text{ კვ.მ} \times 2.10 \text{ ფუნტი} = 16,380 \text{ ფუნტი}$$

ფასი > 780 ფუნტი (არახელსაყრელი)

ფაქტობრივი გამოყენება ნორმატიული დანახარჯების პირობებში

$$7,800 \text{ კვ.მ} \times 2.00 \text{ ფუნტი} = 15,600 \text{ ფუნტი}$$

გამოყენება > 0 ფუნტი

ნორმატიული გამოყენება ნორმატიული დანახარჯების პირობებში

$$1,300 \text{ ერთეული} \times 6 \text{ კვ.მ} \times 2.00 \text{ ფუნტი} = 15,600 \text{ ფუნტი}$$

## ცვლადი ზედნადები ხარჯები

ფაქტობრივი საათები, ფაქტობრივი განაკვეთით

$$5,000 \text{ სთ} \times 15.10 \text{ ფუნტი} = 75,500 \text{ ფუნტი}$$

ღირებულება > 5,000 ფუნტი  
(არახელსაყრელი გადახრა)

ფაქტობრივი საათები, ნორმატიული განაკვეთით

$$5,000 \text{ სთ} \times 15.00 \text{ ფუნტი} = 75,000 \text{ ფუნტი}$$

ათვისება > 3,000 ფუნტი (ხელსაყრელი)

ნორმატიული საათები, ნორმატიული განაკვეთით

$$1,300 \text{ სთ} \times 4 \text{ სთ} \times 15.00 \text{ ფუნტი} = 78,000 \text{ ფუნტი}$$

*სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა მმართველობითი  
აღრიცხვის მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა*

# საერთაშორისო სტანდარტები ხარისხის მართვის შესახებ - ნაწილი 1

## მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)

იმისათვის, რომ აუდიტის პროფესიამ საზოგადოების ნდობა შეინარჩუნოს, ნებისმიერი აუდიტი იმგვარად უნდა ჩატარდეს, რომ ფირმები და მათი პერსონალი ასრულებდნენ თავიანთ პასუხისმგებლობებს მოქმედი სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. აუცილებელია, რომ აუდიტორულმა ფირმებმა დანერგონ საუკეთესო პრაქტიკის კულტურა ამ სტანდარტების შესაბამისად, რაც აუდიტის პარტნიორებს ადეკვატური აუდიტის დასკვნების გაცემის საშუალებას მისცემს. აუდიტის პარტნიორებზე მზარდი ფინანსური ზეწოლით გამოწვეული ანგარების საფრთხეები ზიანს მიაყენებს დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნებს, ისევე როგორც არადა-მაკმაყოფილებელი დაგეგმვა, რისკების არაადეკვატური შეფასება, არასაკმარისი რესურსები და აუდიტის მტკიცებულებები. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAASB) გამოსცემს ხარისხის სტანდარტებს, რათა ფირმებს დაეხმაროს ამ მიზნის მიღწევაში.

დღეისათვის ამ სფეროს დასარეგულირებლად საბჭოს გამოცემული აქვს ხარისხის მართვის შემდეგი საერთაშორისო სტანდარტები (ხმს): ხმს 1 „*ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს*“, ხმს 2 – „*გარიგების ხარისხის მიმოხილვა*“ და ასს 220 (გადასინჯული) – „*ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა*“.

ამ სტანდარტების ცოდნა შემოწმდება უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის გამოცდაზე. გამომცდელები მოელიან, რომ კანდიდატები **წარმოაჩენენ** სტანდარტების **ძირითადი პრინციპების ცოდნას და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარს**. ხარისხის მართვა ნებისმიერ აუდიტს ეხება და, შესაბამისად, ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა ყველა გამოცდაზე შემოწმდება, ვინაიდან, პოტენციურად, ხარისხის მართვის გარკვეული ასპექტები შესაძლოა რამდენჯერმე შეგხვდეთ ერთი გამოცდის კითხვებში.

ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ხმს 1-ზე, ხოლო მეორე სტატიაში განვიხილავთ ხმს 2-სა და ასს 220 (გადასინჯული). სტატია მოიცავს მაგალითებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შემოწმდეს გამოცდაზე ხარისხის მართვის გარკვეული ასპექტების ცოდნა. თუმცა, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ეს მხოლოდ საილუსტრაციო დანიშნულების მაგალითებია და არ უნდა მიიჩნიოთ ყოვლისმომცველად ან ამომწურავად. გამოცდაზე სხვა მაგალითები და ხარისხის მართვის სხვა ასპექტებიც შეგხვდებათ.

## ხარისხის მართვის სტანდარტების ძირითადი პრინციპები

ხარისხის მართვის სტანდარტები ორიენტირებულია საზოგადოების ინტერესების დაცვაზე, იმ იმედით, რომ აღარ წარმოიქმნება ზოგიერთი ისეთი გარემოება, რომლის გამოც აუდიტი წარუმატებელი აღმოჩნდა. სტანდარტებში განსაკუთრებული ყურადღება

გამახვილებულია იმის აუცილებლობაზე, რომ აუდიტის პარტნიორები და აუდიტის გუნდები უნდა ავლენდნენ პროფესიულ სკეპტიციზმს, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების უნარს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც აუდიტორი აფასებს დამკვეთის მიერ განხორციელებულ განსჯას, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მის მიერ გამოთვლილ სააღრიცხვო შეფასებებს. ამისათვის აუდიტის გუნდებს უნდა ჰქონდეთ სათანადო კომპეტენცია და მხარდაჭერა, რათა არ ეშინოდეთ პოტენციური უარყოფითი შედეგების. ფირმების ხარისხთან მიმართებით ხარისხის სტანდარტებში „შესაბამისობის“ მიდგომის ნაცვლად პროაქტიული და გრადაციამდე დაფუძნებული მიდგომა გამოიყენება (გრადაცია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოებების შესაბამისად მოქმედებას ნიშნავს), ანუ მოქმედი ხარისხის მართვის სტანდარტები მისადაგება ყველა ზომის ფირმას, მათ შორის ფირმების უმსხვილეს ქსელებსაც და ინდივიდუალურ პრაქტიკოს აუდიტორსაც, საჭიროებისამებრ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება/ამაღლება. ხარისხის სახელმძღვანელოში გათვალისწინებული უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ ფირმის პროცესები შეიცვალოს ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმართვის მიდგომების ცვლილების შესაბამისად.

ხარისხის სტანდარტებში ყურადღება გამახვილებულია ასევე ფირმებისა და მათი ქსელების შიდა და გარე მონიტორინგის პროცესების გაუმჯობესებაზე, ასევე კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე როგორც შიდა, ისე გარე მხარეებთან, როგორც არის, მაგალითად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და მარეგულირებელი ორგანოები.

## **ხმს 1 – „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარნშენებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“**

ხმს 1-ში ზემოაღნიშნული მიდგომა ინტეგრირებულია პრინციპებზე ორიენტირებული მოთხოვნის მეშვეობით, რომელიც ფირმას ავალდებულებს, რომ მან ფირმის და მის მიერ შესრულებული გარიგებების ხასიათსა და გარემოებებს (მათ შორის, დამკვეთების ბაზას) მოარგოს თავისი ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება. ამგვარად, გრადაციამდე დაფუძნებული მიდგომა ფირმებს ხარისხის ისეთი სისტემის შექმნისა და დანერგვის საშუალებას აძლევს, რომელიც ითვალისწინებს მათ კონკრეტულ გარემოებებსა და რისკებს.

## **ხარისხის მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს 8 კომპონენტს**

### **1. ფირმის რისკის შეფასების პროცესი**

ფირმებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ რისკის შეფასების პროცესი, რომლის მეშვეობით ფირმა დაადგენს მისთვის შესაფერის ხარისხის მიზნებს და გამოავლენს რისკებს. ზემოაღნიშნული პროცესის შემუშავებისას ფირმამ უნდა გაითვალისწინოს ფირმის სპეციფიკური სიტუაცია და გარემო და მის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები, თავისი ქსელები და ნებისმიერი გარე მომსახურების პროვაიდერი, რომელსაც ის იყენებს. ეს არის მუდმივი, უწყვეტი მონიტორინგის პროცესი და არა რაიმე ერთჯერადი აქტი, რაც ფირმას საშუალებას აძლევს, ხარისხის მართვის სისტემა გარდაქმნას და ნებისმიერ ცვლილებას მოარგოს.

ამგვარი მიდგომა ფირმას მისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ რისკებზე რეაგირების საშუალებას მისცემს, რადგან რისკები განსხვავებული იქნება აუდიტორული ფირმის ზომისა და მათი დამკვეთების პორტფელის/ბაზის მიხედვით.

რისკებზე და მათ შემცირებაზე მორგებული ორიენტაციის შენარჩუნებით, ფირმამ უნდა შეძლოს ყურადღების კონცენტრაცია იმაზე, რომ თითოეული გარიგებისთვის ადეკვატური აუდიტის/აუდიტორის დასკვნა გაიცეს. სხვასთან ერთად ეს შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ უფრო კომპეტენტური და კარგად მომზადებული პირები ჩაატარებენ რთულ ან რისკიან აუდიტს, აუდიტის პარტნიორებს უფრო მეტი უფლებამოსილება ექნებათ იმისთვის, რომ გასცენ მოდიფიცირებული აუდიტორის დასკვნები, ვინაიდან დამკვეთებსა და გარიგებებზე დათანხმების პროცედურების ჩატარების შედეგად ფირმა სრულად გამოავლენს დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილ საფრთხეებს და გაატარებს სათანადო დამცავ ზომებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ეს მიდგომა კონკრეტულ ფირმებში წარმოქმნილ კონკრეტულ რისკებზე რეაგირებისთვის არის განკუთვნილი და მოსალოდნელი არ არის, რომ ეს რისკები ერთი და იგივე იქნება ყველა აუდიტორული ფირმისთვის, მათი ზომის ან დამკვეთების პორტფელის მიუხედავად.

### საგამოცდო რჩევა

გამოცდაზე კანდიდატებს შეიძლება მოსთხოვონ ფირმის რისკის შეფასების პროცესის ახსნა ან/და შეფასება და ამ პროცესის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების მომზადება.

## 2. მმართველობა და ხელმძღვანელობა

ფირმებმა ისეთი გარემო უნდა შექმნან, რომელიც თავისი კულტურის მეშვეობით წარმოაჩენს ხარისხისადმი ფირმის ერთგულებას და აღიარებს ხარისხის როლს საზოგადოების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. ეს პასუხისმგებლობა მთელ ფირმაზე ვრცელდება და არა მარტო ინდივიდუალურ აუდიტზე. ამასთან, მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ან მმართველ პარტნიორს ეკისრება პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემაზე. ეს უნდა იყოს იმის გარანტია, რომ ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობის „ტონი“ მთელ ფირმაში უზრუნველყოფს ხარისხისა და ეთიკური ღირებულებების მიმართ ერთგულებას.

ფირმაში უნდა არსებობდეს სათანადო სისტემები და პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს და ხელს უწყობს ხარისხისადმი ერთგულების შეგნების განვითარებას და დამკვიდრებას მთელ ფირმაში, ნაცვლად იმისა, რომ ფირმა მხოლოდ დამკვეთების შენარჩუნებასა და მომგებიანი გარიგებების შესრულებაზე ზრუნავდეს. ამან აუდიტის გარიგების პარტნიორებს იმის საშუალება უნდა მისცეს, რომ დამკვეთის მსჯელობას და გადაწყვეტილებებს, საჭიროების შემთხვევაში, შეენიანა აღმდგომ ისე, რომ არ ეშინოდეთ დამკვეთის დაკარგვის შედეგად შემოსავლების დაკარგვით გამოწვეული უარყოფითი შედეგების/დასჯის. ამგვარად, ფირმის ყველა თანამშრომელი იღებს მხარდაჭერას, რათა თავიანთი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნები შეასრულონ ზედმეტი კომერციული ზეწოლის ან პირადი ინტერესების გარეშე, რაც არასათანადო გადაწყვეტილებების მიღებას გამოიწვევდა.

## საგამოცდო რჩევა

გამოცდაზე კანდიდატებს შეიძლება მოსთხოვონ მმართველობისა და ხელმძღვანელობის მნიშვნელობის ახსნა ხარისხის მართვის სისტემის მუშაობაში ან სცენარის მიხედვით ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა და შეფასება და ასევე გაუმჯობესების რეკომენდაციების შეთავაზებას ფირმისთვის.

### 3. სათანადო ეთიკური მოთხოვნები

ხარისხის მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს მიზნებსა და პოლიტიკას, რომელიც განკუთვნილია ეთიკური მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს პროცესებიც განსხვავდება ფირმის ზომისა და დამკვეთების პორტფელის მიხედვით. სტანდარტით გათვალისწინებული გრადაციის მიდგომის თანახმად ფირმებს დანერგილი უნდა ჰქონდეთ ფირმის გარემოებებისა და გარიგებების ხასიათის შესაბამისი ეთიკური რისკების შემცირების მექანიზმები და არა რაიმე ფიქსირებული ღონისძიება/ზომა მოცემულ რისკზე რეაგირებისთვის.

სტანდარტის თანახმად, ფირმამ უნდა უზრუნველყოს გარანტია, რომ მის მთელ პერსონალს გაცნობიერებული აქვს და ესმის სათანადო ეთიკური მოთხოვნები და ასრულებენ მათ, მაგალითად, პერსონალის პრაქტიკული სწავლებისა და ეთიკური დეკლარაციების მეშვეობით, როგორიც არის, მაგალითად, დამოუკიდებლობის დადასტურების ფორმები. გარდა ამისა, ფირმებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ჯგუფის ნებისმიერი კომპონენტის აუდიტორმა გაიცნობიეროს და გამოიყენოს ის ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება ჯგუფის აუდიტსა და ჯგუფის აუდიტში მონაწილე აუდიტორებს.

ფირმისთვის შესაფერისი ეთიკური მოთხოვნები დამოკიდებულია იმ იურისდიქციაზე, სადაც ის საქმიანობს. იურისდიქციის საკანონმდებლო მოთხოვნები შეიძლება გასცდეს ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსით (კოდექსი) დადგენილი მოთხოვნების ფარგლებს. ასევე, ბევრ ფირმას ექნება ეთიკური საფრთხეების შესუსტების/აღმოფხვრის ისეთი პოლიტიკა, რომელსაც არ ითვალისწინებს კოდექსი და იმ იურისდიქციის რეგულირების სისტემა, სადაც ფირმა ფუნქციონირებს: ხმს 1 ფირმებს ამ მოთხოვნების შესრულებასაც ავალდებულებს ხარისხის მართვის სისტემის მეშვეობით. მაგალითად, ბევრი ფირმა ან იურისდიქცია საერთოდ კრძალავს საჩუქრების მიღებას, თუნდაც ეს იყოს უმნიშვნელო ღირებულების. ფირმის პოლიტიკის შესრულებლობაც ხარისხის მართვის სისტემის წარუმატებლობად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ არ იწვევს კოდექსის მოთხოვნების დარღვევას.

გრადაცია ფირმებს მისი გარემოებებისა და გარიგებების ხასიათის შესაბამისი ეთიკური რისკების შემცირების საშუალებას აძლევს. მაგალითად, ფირმას, რომელიც დიდი ქსელის ნაწილია, უფრო დეტალური პროცესები დასჭირდება დამკვეთებს შორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოსავლენად, ვიდრე მცირე ფირმას.



## საგამოცდო რჩევა

კანდიდატებს შეიძლება მოსთხოვონ სცენარში წარმოქმნილი ეთიკური საფრთხეების შეფასება, ასევე იმის განხილვა, **მოცემული ფირმა შეესაბამება თუ არა ფირმის ხარისხის მართვის სისტემას**. ხარისხის მართვისა და ეთიკური საკითხები, თავისი არსით, ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია და ამიტომ შეიძლება საჭირო გახდეს ამგვარი საფრთხეების მნიშვნელობისა და შესაბამისი დამცავი ზომების არსებობის განხილვა მოცემული გარიგების, მთელი ფირმისა და ხარისხის მართვის სისტემის კონტექსტში, ასევე სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაციის. ეს კანდიდატებს, ტექნიკური ქულების გარდა, პროფესიული უნარებისთვის განკუთვნილი ქულების მოპოვების საშუალებასაც აძლევს.

ასევე, კანდიდატებს შეიძლება მოსთხოვონ ხარისხის მართვის სისტემაში არსებული ისეთი ნაკლოვანებების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება არ იწვევდეს კოდექსის დარღვევას, მაგრამ შეესაბამებოდეს კითხვაში აღწერილ სცენარს. ასეთ შემთხვევაში კანდიდატებმა უნდა განიხილონ ამ სიტუაციის გავლენა გარიგებაზე, ფირმაზე ან რეკომენდაციები წარმოადგინონ მომავალი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

## 4. დამკვეთებთან ურთიერთობაზე დათანხმება ან არსებული ურთიერთობების გაგრძელება

ხმს 1 დამატებით ყურადღებას ამახვილებს ისეთ პროცედურებზე, რომლებიც ეხება ახალი დამკვეთების აყვანას და არსებული საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებას. ფირმებმა უნდა შეაფასონ დამკვეთისა და მისი ხელმძღვანელობის პატიოსნება და მათი ეთიკური ღირებულებები, ასევე ფირმის შესაძლებლობა, გარიგება შეასრულოს საკანონმდებლო და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოს, რომ ფირმის ფინანსურმა და საოპერაციო პრიორიტეტებმა არ გამოიწვიოს არაადეკვატური შეფასებები, როდესაც ფირმა გადაწყვეტილებას იღებს იმის თაობაზე, უნდა დაეთანხმოს თუ არა ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას ან უნდა გააგრძელოს თუ არა არსებულ დამკვეთთან ურთიერთობა. ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარების ან არსებულთან ურთიერთობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს ფირმის შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს ხარისხიანი გარიგებების შესრულება.

არსებული საქმიანი ურთიერთობები ხელახლა უნდა შეფასდეს ყოველი ახალი წლის დასაწყისში, აუდიტორად ხელახლა დანიშვნამდე. ეს შეიძლება გულისხმობდეს პირადობის საიდენტიფიკაციო შემოწმების ხელახლა ჩატარებას, თანამშრომელთა მიერ დამოუკიდებლობის დამადასტურებელი განაცხადების ხელახლა შევსებას და ინტერესთა კონფლიქტის ან/და აუდიტის ჩატარების კომპეტენციის ხელახლა შეფასებას. გემოაღნიშნული პროცედურა ასევე მოიცავს იმის შეფასებას, ახალი ინფორმაცია გამოიწვევდა თუ არა დამკვეთის აყვანაზე უარის თქმას, თუ ეს ინფორმაცია ფირმისთვის ცნობილი იქნებოდა იმ მომენტში, როდესაც პირველად დაეთანხმა ამ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას. მაგალითად, დამკვეთი, რომელიც არღვევს კანონმდებლობას/მარეგულირებელ წესებს, შეიძლება შეუთავსებელი იყოს აუდიტორული ფირმის ღირებულებებთან.

## საგამოცდო რჩევა

კანდიდატებს შეიძლება მოუწიოთ „დათანხმებისა და გაგრძელების“ გადანაცვეტილების მნიშვნელობის განხილვა ან ხმს 1-ის მოთხოვნების გამოყენება ამ კუთხით, როდესაც შეაფასებენ, დაეთანხმონ თუ არა ახალ დამკვეთს, ან დაეთანხმონ თუ არა მუდმივ დამკვეთს აუდიტორად ხელახლა დანიშნაზე, ანდა როდესაც ჩაატარებენ დამატებით სამუშაოს არსებულ დამკვეთებთან მიმართებით. ხმს 1-ის ჩარჩო ამოსავალი ბაზაა სცენარის შესაფასებლად და ეს შეიძლება გავრცელდეს სხვა პროფესიულ და კომერციულ მოსაზრებებზეც. ახალი დამკვეთის გარიგების განხილვისას კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ სამართლებრივი, მარეგულირებელი და ეთიკური, ასევე პროფესიული მოსაზრებები და რესურსების ხელმისაწვდომობა.

კანდიდატებმა უნდა იცოდნენ, რომ იურიდიული და პროფესიული მოთხოვნების ფარგლებში გარიგების შესრულების უნარი მოიცავს სამართლებრივ, მარეგულირებელ და ეთიკურ მოსაზრებებს, მათ შორის რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებას ახალი დამკვეთის გარიგების განხილვისას. ამასთან, მოთხოვნები, რომლებიც ახალი დამკვეთის ან გარიგებაზე დათანხმებას ეხება, შეიძლება გავრცელდეს სხვა პროფესიულ და კომერციულ მოსაზრებებზეც.

ურთიერთობის გაგრძელებასთან დაკავშირებული გადანაცვეტილებების ციკლური ბუნება იმას ნიშნავს, რომ ხარისხის მართვის ამ ასპექტმა შეიძლება საგამოცდო კითხვებზე გავლენა მოახდინოს აუდიტის პროცესის ყველა ეტაპზე და დამკვეთის დათანხმებასთან დაკავშირებული მოსაზრებები, სავარაუდოდ, გავრცელდება როგორც აუდიტის, ისე სხვა გარიგებებზე.

## 5. გარიგების შესრულება

გარიგების გუნდებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფაზე. გარიგების გუნდის ნაკლებად გამოცდილი წევრების მუშაობაზე უნდა განხორციელდეს სათანადო ზედამხედველობა და სათანადოდ უნდა ტარდებოდეს მათი სამუშაოს მიმოხილვა. ხმს 1 კონკრეტულად მიუთითებს აუდიტის გარიგების პარტნიორის საკმარისი და ადეკვატური ჩართულობის აუცილებლობაზე აუდიტის პროცესში, აუდიტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

აუდიტის გუნდებმა უნდა იმოქმედონ პროფესიული სკეპტიციზმით და გადანაცვეტილებების მიღებისას დაეყრდნონ პროფესიულ განსჯას, საჭიროებისამებრ. ამის უზრუნველსაყოფად ფირმას დანერგილი უნდა ჰქონდეს სათანადო პროცესები. თუ აუდიტის გუნდს არ აქვს საკმარისი დრო საჭირო პროცედურების შესასრულებლად, ან გუნდის წევრებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება იმისთვის, რომ ხელმძღვანელობას შეედავოს, საჭიროებისამებრ, ან შეცდომები გამოავლინოს, მაშინ იზრდება რისკი იმისა, რომ უზუსტობები ვერ გამოვლინდება და აუდიტის ხარისხი დაზარალდება. იმისათვის, რომ აუდიტი ეფექტიანი იყოს და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა, ის იმგვარად უნდა ჩატარდეს, რომ გაცემული აუდიტორების დასკვნები კონკრეტული გარემოებების შესაფერისი იყოს და ფირმები და მათი პერსონალი ასრულებდნენ თავიანთ პასუხისმგებლობებს მოქმედი სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

ხარისხის მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ გუნდებს სადავო საკითხებთან დაკავშირებით აქვთ კონსულტაციების გავლის შესაძლებლობა; გარიგების გუნდში წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა განიხილება და გადაიჭრება და გარიგების ხარისხის მიმომხილველის მიერ შემდგომი განხილვისთვის დაყენებული ნებისმიერი საკითხის შესახებ ეცნობება ფირმას და საკითხი გადაიჭრება.

ამ ასპექტების შესახებ დამატებით დეტალებს განვიხილავთ მომდევნო სტატიაში, რომელიც ეხება ასს 220-ს (გადასინჯული), მათ შორის, განვიხილავთ მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხების ცოდნის შემოწმება გამოცდაზე.

## 6. რესურსები

ფირმამ დროულად უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რესურსებით თითოეული გარიგება. ეს მოიცავს თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ აუცილებელი კომპეტენცია, პრაქტიკული მომზადება და შესაძლებლობები შესაბამისი გარიგებების შესასრულებლად, რომლის შესრულებაში მონაწილეობაც დაევალებათ. ფირმებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფრო გამოცდილი პირები რთული სფეროების აუდიტს ატარებდნენ, რომლებიც საჭიროებს დამატებით განსჯას, გუნდის უფროსი წევრები სათანადოდ ატარებდნენ უმცროსი წევრების სამუშაოს მიმოხილვას ან გუნდის წევრებს ადეკვატური დრო ჰქონდეთ მიცემული საკმარისი ტესტირების ჩასატარებლად და საკითხების გასაანალიზებლად.

ფირმამ უნდა განიხილოს დამოუკიდებელი ექსპერტების გამოყენების აუცილებლობის საკითხი, თუ მას არ ჰყავს შესაბამისი პერსონალი, ან დამატებითი სპეციალიზებული ტექნოლოგიური რესურსები ესაჭიროება.

### საგამოცდო რჩევა

კანდიდატებს შეიძლება მოუწიოთ ისეთი სცენარების შეფასება, სადაც არაადეკვატური რესურსები გამოიყენებოდა აუდიტში და რეკომენდაციების გაცემა ფირმის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

## 7. ინფორმაცია და კომუნიკაცია

ინფორმაცია და კომუნიკაცია აუცილებელია ხარისხის მართვის სისტემის სხვა კომპონენტების ფუნქციონირებისთვის. ეს მოიცავს ინფორმაციის მოპოვებას, გენერირებას და გამოყენებას და გადაცემას ფირმის ფარგლებში, მაგალითად, პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება პერსონალისთვის, აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციის მიწოდება გარიგების ხარისხის მიმომხილველისთვის, ან ინფორმაციის გაცვლა ჯგუფისა და კომპონენტის აუდიტორებს შორის. იგი ასევე მოიცავს გარე მხარეებთან კომუნიკაციას, მაგალითად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან ან მარეგულირებელ ორგანოსთან.

ხმსს 1-ის მიხედვით ინფორმაცია და კომუნიკაცია ვრცელდება ხარისხის მართვის სისტემის ყველა კომპონენტზე, რადგან მის გარეშე სისტემა ვერ იმუშავებს. ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ასპექტების გამოყენების სრული სპექტრი საკმაოდ ვრცელია. ქვემოთ განხილულია მხოლოდ ხმსს 1-ის ზოგიერთი კომპონენტის შესაფერისი რამდენიმე მაგალითი კონტექსტისთვის.

## ეთიკური და პროფესიული მოთხოვნები

- ფირმის პოლიტიკა ეთიკის შესახებ
- სასწავლო მასალა
- ჩატარებული ტრენინგების რეესტრი
- შევსებული დამოუკიდებლობის განაცხადები

## ახალ დამკვეთთან ურთიერთობაზე დათანხმება და არსებულთან ურთიერთობის გაგრძელება

- რისკის შეფასება დოკუმენტირებულია
- დამკვეთის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები მოპოვებული და შენახულია
- გარიგების წერილები შედგენილია და გაგზავნილია

## გარიგების შესრულება

- აუდიტის პროგრამები შემუშავებულია
- როლური დავალებები დელეგირებული და დოკუმენტირებულია
- დამკვეთის შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია და შეყვანილია აუდიტის პროგრამებში
- აუდიტის ფაილში დოკუმენტირებულია აუდიტორების მიერ გამოტანილი დასკვნები
- ანგარიშები ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის

კომუნიკაცია დროულად უნდა განხორციელდეს ფირმის კულტურის შესაბამისად, რომელიც ეხება ინფორმაციის გაცვლას ფირმის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ეთიკური საფრთხის გამო არ შეიძლება გუნდის ამა თუ იმ წევრის კონკრეტულ დამკვეთთან გარიგების გუნდში დანიშვნა, მოსალოდნელია, რომ გუნდის წევრმა ამის შესახებ უნდა აცნობოს ფირმას.

ხმს 1-ში ასევე სპეციალურად მითითებულია გარე კომუნიკაციის აუცილებლობის შესახებ, რაც საჭიროა აუდიტის ხარისხის შესანარჩუნებლად. ეს მოიცავს კომუნიკაციას ფირმის ქსელის ფარგლებში და მომსახურების პროვაიდერებთან, ასევე კანონმდებლობით ან პროფესიული სტანდარტებით მოთხოვნილ კომუნიკაციას, მაგალითად, როდესაც არსებობს ინფორმირების კონკრეტული მოთხოვნა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის დამკვეთის მიერ გარკვეული კანონებისა თუ ნორმატიული აქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ.

## საგამოცდო რჩევა

კანდიდატებს შეიძლება მოუწიოთ სცენარების შეფასება ამ საკითხებთან დაკავშირებით და რეკომენდაციების გაცემა ამ სფეროში ფირმის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების შესახებ. კანდიდატებს უნდა ახსოვდეთ, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტი მონაწილეობს ხარისხის მართვის სისტემის ყველა ასპექტში და საგამოცდო კითხვებში შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს, როგორც იზოლირებული თემა.

## 8. მონიტორინგისა და რეგულირების პროცესი

ფირმებს დანერგილი უნდა ჰქონდეთ ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ხარვეზების დროულ გამოვლენას, რაც გამოსასწორებელი ზომების დროულად გატარების საშუალებას მისცემს ფირმას. ეს პროცესი არის უწყვეტი ციკლი, რომლის დანერგვა და ფუნქციონირება ფირმებს კონკრეტულად მოეთხოვებათ.

### საგამოცდო რჩევა

კანდიდატებს შეიძლება მოუწიოთ იმის ახსნა, თუ როგორ უწყობს ეს პროცესი ხელს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებას. გარდა ამისა, კანდიდატებს შეიძლება მოუწიოთ მიმოხილველის როლის შესრულება, რომელსაც ევალება პროცესის ამ ელემენტის შესრულება: გამოავლინოს ნაკლოვანებები და ფირმას მისცეს რეკომენდაციები მათი გამოსასწორებელი ზომების შესახებ.

## დასკვნა

ხმს 1 ყურადღებას ამახვილებს აუდიტის ხარისხზე და ხარისხთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესზე, რაც მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა ფირმისთვის ხარისხი წარმოადგენდეს პრიორიტეტს აუდიტისა და სხვა სახის მარწმუნებელი გარიგებების შესრულებისას. სტანდარტში გამოიყენება პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც მიმართულია გრადაციამ, მოქნილობასა და ხარისხის განუხრელ გაუმჯობესებაზე.

ხარისხის მართვა ნებისმიერი აუდიტის დედაარსია და სწორედ აუდიტის ხარისხისა და ხარისხის მართვის მნიშვნელობის სიღრმისეული გაცნობიერება უდევს საფუძვლად აუდიტის ჩატარებას. ხარისხი უმთავრესი ფაქტორია იმისთვის, რომ ჩატარებული აუდიტი შეესაბამებოდეს მიზანს და უზრუნველყოფდეს საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას. როგორც ასეთი, ხარისხი ყველა აუდიტისა და აუდიტის ყველა ეტაპისთვის საკვანძო ასპექტია და კანდიდატები უნდა მოელოდნენ, რომ ნებისმიერ საგამოცდო კითხვაში შემოწმდება აუდიტის ნებისმიერი ეტაპისთვის შესაფერისი ხარისხის მართვის გარკვეული ასპექტების ცოდნა.

*სტატია მოამზადა უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა*



ვებგვერდი, 24/02/2023  
სარეგისტრაციო კოდი  
200000000.05.001.020775

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-80 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ფიზიკური პირის, რომელიც სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან იღებს შემოსავალს, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია აზარტულ თამაშობაზე/თამაშობებზე მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.“

8. სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.“.

2. 81-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3<sup>1</sup>. ფიზიკური პირის მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 10 პროცენტით.“.

3. 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ძ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მოწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული შემოსავლისა;“.

4. 97-ე მუხლის მე-9 და 9<sup>1</sup> ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების შემთხვევაში ამ საქმიანობის ნაწილში განისაზღვრება ამ კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად.“

9<sup>1</sup>. სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზების ნაწილში პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.“.

5. 98-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირის მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი მოგება იბეგრება 10 პროცენტით.“.

6. 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მოწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზებიდან და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული მოგებისა) განაწილება;“.

7. 135-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირისთვის, რომელიც საშემოსავლო/მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნაწილში საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“

4. პირისთვის, რომელიც არის სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი, საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“.



8. 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ე<sup>1</sup>) პირი, რომელიც არის სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ორგანიზატორი და მოთამაშეზე სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გასცემს თანხას;“.

9. 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„კ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწოდებელი პირები – საქმიანობის ამ ნაწილში, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნაწილში განხორციელებული საქმიანობისა.“.

10. 309-ე მუხლის მე-16 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„16. სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და იმავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

9 თებერვალი 2023 წ.

N2590-XIმს-Xმპ

ვებგვერდი, 06/02/2023

სარეგისტრაციო კოდი

200090000.22.033.017655

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №34

2023 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996

ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **გბრძანებ:**

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 73<sup>3</sup> მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი გარემოების დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ:

ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღ-ის დეკლარაციაში ასახულია საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რომელშიც დღ-ის თანხა არასწორად არის მითითებული;

ბ) დღ-ის დეკლარაციაში არასწორად არის მითითებული დღ-ის თანხა;

გ) გამოწერილია დღგ-ის ანგარიშფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის მითითებული;

დ) უძრავი ნივთის მიწოდების ოპერაციაზე დღგ დარიცხულია საგადასახადო შემოწმების შედეგად, რომლის საფუძველზეც საგადასახადო ორგანომ განახორციელა პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა კორექტირდება ამ მუხლის მე-10- მე-11 პუნქტებით განსაზღვრული წესით.“;

ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დავამატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:

„10. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, დღგ-ის თანხის კორექტირების მიზნით, გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს №III-24<sup>1</sup> დანართით დადგენილი ფორმის დეკლარაციას, რომელშიც მონაცემები შეიტანება უჯრების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად;

ბ) თუ კორექტირების გამომწვევი გარემოება დადგა საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას, შემოწმებით მოცულ საანგარიშო პერიოდში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა კორექტირდება საგადასახადო ორგანოს მიერ.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციით მოთხოვნილი დღგ-ით დასაბეგრი თანხის კორექტირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანო, დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან ორი თვის ვადაში. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა. დღგ-ით დასაბეგრი თანხა დაკორექტირდება საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ამასთანავე, დღგ-ის თანხის კორექტირებაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.“.

**2. ინსტრუქციას დავამატოს თანდართული რედაქციის დანართი №III-24<sup>1</sup>.**

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

**ლავა ხუციშვილი**

დანართი №III-24<sup>1</sup>

|                                                                                                                                                      |                                                              |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|
| დეკლარაცია<br>უძრავი ნივთის მიწოდების დღგ-ით<br>დასაბეგრი თანხის კორექტირების<br>თაობაზე, რომელზეც დღგ დარიცხულია<br>საგადასახადო შემოწმების შედეგად |                                                              |
| გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი                                                                                                                   |                                                              |
| წარედგინა                                                                                                                                            |                                                              |
|                                                                                                                                                      | (საგადასახადო ორგანოს<br>დასახელება)                         |
| გადასახადის გადამხდელი                                                                                                                               |                                                              |
|                                                                                                                                                      | (სრული სახელი ან დასახელება)                                 |
| დეკლარაცია წარმოდგენილია:<br>ელექტრონულად                                                                                                            | პირადადფოსტით                                                |
| მოცემული დეკლარაცია შედგენილია                                                                                                                       | ფურცელზეთანდართული<br>დამადასტურებელი<br>დოკუმენტებიფურცელზე |
| წარმოდგენის თარიღი                                                                                                                                   |                                                              |
| რეგისტრაციის ნომერი                                                                                                                                  |                                                              |
| საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის                                                                                                                    |                                                              |
|                                                                                                                                                      | (ხელმოწერა)(სახელი, გვარი)                                   |

|                                                           |                                                      |
|-----------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
| კორექტირებას დაქვემდებარებული ოპერაციის მონაწილე მხარეები |                                                      |
| მიმწოდებელი                                               |                                                      |
|                                                           | (საიდენტიფიკაციო ნომერი და სრული სახელი/ დასახელება) |
| მიმღები                                                   |                                                      |
|                                                           | (საიდენტიფიკაციო ნომერი და სრული სახელი/ დასახელება) |

|                                                    |  |
|----------------------------------------------------|--|
| დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თარიღი          |  |
| კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის თარიღი |  |

| N | მიწოდებული უძრავი ნივთი | ანაზღაურების თანხა (დღგ-ის გარეშე) |
|---|-------------------------|------------------------------------|
| 1 |                         |                                    |
| 2 |                         |                                    |
| 3 |                         |                                    |

|                                                     |                                                                                                                                        |
|-----------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კორექტირების გამომწვევი გარემოება                   |                                                                                                                                        |
|                                                     | გაუქმდა დასაბეგრი ოპერაცია                                                                                                             |
|                                                     | შეიცვალა დასაბეგრი ოპერაციის სახე (მათ შორის, შეიცვალა დაბეგვრის რეჟიმი)                                                               |
|                                                     | მხარეთა შეთანხმებით, შეიცვალა დაბეგვრის მომენტში განსაზღვრული ანაზღაურების თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა |
|                                                     | საქონელი სრულად ან ნაწილობრივ უზრუნდება დღგ-ის გადამხდელს                                                                              |
| კორექტირების გამომწვევი გარემოების დეტალური აღწერა: |                                                                                                                                        |
|                                                     |                                                                                                                                        |

|                               |                    |              |
|-------------------------------|--------------------|--------------|
| დღგ-ის შესამცირებელი თანხა    |                    |              |
| საგადასახადო მოთხოვნის ნომერი | საანგარიშო პერიოდი | დღგ-ის თანხა |
|                               |                    |              |
|                               |                    |              |
|                               |                    |              |

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ საწარმოს ხელმძღვანელი/ინდ.მეწარმე (წარმომადგენელი) -----  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

თარიღი

ვებგვერდი, 14/02/2023  
სარეგისტრაციო კოდი  
200090000.22.033.017656

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №39  
2023 წლის 13 თებერვალი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულების წარმოშობისას ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის მიზნით მიმართოს შემოსავლების სამსახურს.“.

2. მე-3 მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1<sup>3</sup>. ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საგადასახადო აღრიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის ნაცვლად, შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთვის ვიდეოზარით მიმართვის საფუძველზე. საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე ფიზიკური პირის ვიდეოზარით მიმართვა ასევე წარმოადგენს ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის მოთხოვნას. ცალკეულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეოზარით მიმართვის ნაცვლად, პირს მოსთხოვოს №I-01 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

**ლაშა ხუციშვილი**

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №48  
2023 წლის 16 თებერვალი ქ. თბილისი**

**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანებით (ვებგვერდი, 15.09.2016, სარეგისტრაციო კოდი: 010320020.22.033.016898) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრა, წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურების დადგენა;

ვ) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელება;“;

ბ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შინაარსის „უ<sup>1</sup>“, „უ<sup>2</sup>“ და „უ<sup>3</sup>“ ქვეპუნქტები:

„უ<sup>1</sup>) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებულ პირთა ზედამხედველობა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა;

„უ<sup>2</sup>) შესაბამის რეესტრში რეგისტრირებული სერტიფიცირებული ბუღალტრების, პროფესიული მომსახურების გამწვევი ბუღალტრების, აუდიტორების, აუდიტორული (აუდიტური) და საბუღალტრო ფირმების მიერ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა;

„უ<sup>3</sup>) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებული პირის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შესასრულებლად, სახელმძღვანელო მითითებების გამოცემა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება;“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს. აგრეთვე, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის ფუნქციებს მისივე დავალებით ასრულებს ერთ-ერთი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.“.

3. მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„2. სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სამსახურის აპარატი;
- ბ) აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- დ) ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი.“;
- ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> და 2<sup>2</sup> პუნქტები:

„2<sup>1</sup>. სამსახურის აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საბჭოს სამართლებრივი მხარდაჭერის და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო;

ბ) ადმინისტრაციული მხარდაჭერის სამმართველო.

2<sup>2</sup>. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველო;
- ბ) ანგარიშგების ადმინისტრირების სამმართველო.“.

4. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. სამსახურის აპარატი**

სამსახურის აპარატის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს ახორციელებენ მასში შემავალი მეორადი სტრუქტურული ერთეულები (სამმართველოები).“.

5. მე-5 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup> მუხლები:

**„მუხლი 5<sup>1</sup>. საბჭოს სამართლებრივი მხარდაჭერისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო**

საბჭოს სამართლებრივი მხარდაჭერისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საბჭოში წარდგენილი საჩივრების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლა და საჭიროებისას, ხარვეზის დადგენა, მოსამზადებელი შეხვედრის ჩატარება ან/და დასკვნისათვის/ინფორმაციის მიღებისთვის სამსახურისადმი მიმართვა;

ბ) საბჭოში წარდგენილი საჩივრების რეესტრის წარმოება;

გ) შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით, საბჭოს წევრის მიერ წარდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის გაგზავნის უზრუნველყოფა;

დ) სამსახურის უფროსის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის კონსულტაციის გაწევისა და საბჭოს პოზიციის რეკომენდაციის სახით მიწოდების მიზნით, წარდგენილ კანდიდატთა შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება და საბჭოსთვის წარდგენა;

ე) საბჭოს სხდომის დაგეგმვა და ჩატარების ორგანიზება, მათ შორის, განხილვაში მონაწილე მხარეებთან კომუნიკაცია, სხდომის დღის წესრიგის და განსახილველი საკითხების შესახებ არსებული მასალების, ელექტრონული ან/და მატერიალური სახით, საბჭოსთვის მიწოდების უზრუნველყოფა, დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, დამსწრე პირთა უფლებამოსილებების შემოწმება, სხდომის რეგლამენტირებულად წარმართვის უზრუნველყოფა;

ვ) საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, რეკომენდაციების, შეტყობინებების, წერილების ან/და სხვა ტიპის მიწერილობის პროექტების მომზადება და ვიზირება/ხელმოწერის პროცესის კოორდინაცია;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საბჭოში შემოსული კორესპონდენციის დამუშავება, განხილვა, მათზე დასკვნების/წინადადებების მომზადება და საჭიროებისას, საპასუხო კორესპონდენციის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადებაზე კონტროლი;

თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის, შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მითითებების, დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

**მუხლი 5<sup>2</sup>. ადმინისტრაციული მხარდაჭერის სამმართველო**

ადმინისტრაციული მხარდაჭერის სამმართველოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სამსახურის სისტემაში საქმისწარმოების ორგანიზება, მათ შორის, საარქივო და საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, არქივში დაცული დოკუმენტების მოძიება და მოთხოვნის შემთხვევაში ასლების გაცემის უზრუნველყოფა, სამსახურის ბლანკებისა და



საქმისწარმოებისათვის საჭირო ბეჭდების აღრიცხვა-შენახვა და გამოყენებაზე კონტროლი;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველყოფა, მათ შორის:

ბ.ა) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათ შორის საჯარო მოხელედ დანიშვნის, მისი გადაყვანის, კარიერული განვითარების, გათავისუფლების, დროებითი ფუნქციების შესრულების დაკისრების, შვებულების, მივლინების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების (მოხსნის), სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების და სხვა სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით;

ბ.ბ) შრომითი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და თანმდევი პროცესების კოორდინაცია;

ბ.გ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა მონაცემების დამუშავება და თანმდევი პროცესის მართვა;

ბ.დ) სამსახურის თითოეული თანამდებობის სამუშაოს აღწერილობის შემუშავება;

ბ.ე) სამსახურის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მიზნით შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის და ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების ორგანიზება/ჩატარების უზრუნველყოფა;

ბ.ვ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა შრომითი მოტივაციის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა;

ბ.ზ) სამსახურის საჯარო მოხელეთა შეფასების სისტემის და თანმდევი პროცესების მართვის უზრუნველყოფა;

ბ.თ) სამსახურის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის დაგეგმვა, ანალიზი და მართვა;

ბ.ი) სამსახურში პრაქტიკისა ან/და სტაჟირების გავლის უზრუნველყოფა;

ბ.კ) სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, მათ შორის:

გ.ა) სამსახურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირებისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა და მათი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით, სამსახურსა და დაინტერესებულ პირებს შორის დიალოგის გამართვისათვის შეხვედრების ორგანიზების განხორციელება. ასევე, სამსახურის უფროსის საჯარო გამოსვლების უზრუნველყოფა;

გ.ბ) სამსახურის საინფორმაციო ბიულეტენის, საინფორმაციო ფურცლების, პრეს-რელიზისა და სხვა ინფორმაციული მასალების მომზადების ორგანიზება;

გ.გ) სამსახურის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა;

გ.დ) დაინტერესებული პირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ოპერატიულად ინფორმირება სამსახურში მიმდინარე პროცესების შესახებ;

გ.ე) პრესისა და სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებების ანალიზის მიხედვით უახლოეს პერიოდში გასატარებელი და გრძელვადიანი ღონისძიებების შემუშავება;

გ.ვ) სამსახურის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

გ.ზ) მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციების შეგროვება, მათი გადარჩევა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გასავრცელებლად მომზადება;

გ.თ) პრესის მიმოხილვის და ანალიზის მომზადება;

დ) სამსახურის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, შესაბამისი წერილობითი დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სისტემაში შემოსული კორესპონდენციის დამუშავება, განხილვა, მათზე დასკვნების/წინადადებების მომზადება და საჭიროებისას, საპასუხო კორესპონდენციის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადებაზე კონტროლი;

ვ) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ განსახორციელებელი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვა და უზრუნველყოფა;

ზ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

თ) სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ი) სამსახურის „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შემოსულ ზარებსა და სხვა და სხვა საშუალებებით მოწერილობებზე რეაგირება;

კ) დაწესებულების მიზნებთან სამსახურის თანამშრომელთა შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით, შემოწმების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, სამსახურში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების მოკვლევის მიზნით ინფორმაციის შესაბამისი დეპარტამენტისათვის მიწოდება;

ლ) მთარგმნელობითი პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა დოკუმენტების/სახელმძღვანელოების ბაზების (translation memory) შექმნა, არსებული ბაზების გამოყენებით შესაბამისი ანალოზისა და თარგმანის უზრუნველყოფა;

მ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის, შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მითითებებისა და დავალებების განხორციელება.“.

6. მე-6 მუხლის:

ა) „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის კანონით განსაზღვრულ ვადებში განხორციელება, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურების დაგეგმვა/განსაზღვრა, მათ შორის, სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების მიმართ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

ზ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვა და მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე სამსახურის უფროსისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადების უზრუნველყოფა;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის მომზადება, მონიტორინგის წინასწარი და საბოლოო შედეგების თაობაზე ანგარიშის პროექტის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა და წინასწარი შედეგების განხილვაში მონაწილეობის მიღება, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე სამსახურის უფროსისათვის წინადადებათა შემუშავება;“;

გ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISQM) სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული პროცესების უზრუნველყოფა (მათ შორის, მესამე პირების მეშვეობით);“;

დ) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა საბჭოში/სასამართლოში;“;

ე) „ჩ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი**

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს ახორციელებენ მასში შემავალი მეორადი სტრუქტურული ერთეულები (სამმართველოები).“.

8. მე-7 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7<sup>1</sup>, 7<sup>2</sup> და მე-8 მუხლები:

**„მუხლი 7<sup>1</sup>. ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველო**

ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების კანონით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარდგენილი ანგარიშგებების მიმოხილვის პროცესის რისკზე დაფუძნებული მიდგომით უზრუნველყოფა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეაგირება, მათ შორის სუბიექტებთან და სხვა მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობა;

ბ) მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, საჭიროებისას, შესაბამისი ცვლილების პროექტის მომზადება და წარდგენა სამსახურის უფროსისთვის;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, საჭიროებისას, შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება და წარდგენა სამსახურის უფროსისთვის;

დ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და გამოცემული სრული სტანდარტების, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IAS), ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ მიღებული ინტერპრეტაციების და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული პროცესების უზრუნველყოფა (მათ შორის, მესამე პირების მეშვეობით);

ე) ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების პროექტის შემუშავება და დეპარტამენტის უფროსისთვის წარდგენა;

ვ) სამსახურის მიერ შემუშავებული ანგარიშგების სტანდარტებისა და წესების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტებების გაცემა;

ზ) სამმართველოს კომპეტენციით მიკუთვნებულ საკითხებზე კანონით განსაზღვრულ პროფესიულ ორგანიზაციებთან, აუდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

თ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა საბჭოში/სასამართლოში;

ი) ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, დინამიური აპროქსიმაციის მიზნებისთვის - ევროკავშირის დირექტივების განახლებული მოთხოვნების კანონმდებლობაში ასახვა, კერძოდ, ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ცვლილების პროექტის შემუშავება და დეპარტამენტის უფროსისათვის წარდგენა;

კ) სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათ შორის, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების მიღებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და სამსახურთან არსებული საბჭოს მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

მ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სისტემაში შემოსული კორესპონდენციის დამუშავება, განხილვა, მათზე დასკვნების/წინადადებების მომზადება და საჭიროებისას, საპასუხო კორესპონდენციის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადება;

ნ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის ან/და შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მითითებების, დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

## მუხლი 7<sup>2</sup>. ანგარიშგებების ადმინისტრირების სამმართველო

ანგარიშგებების ადმინისტრირების სამმართველოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ფინანსური, მმართველობის და სახელმწიფოსათვის გადახდილი თანხების შესახებ ანგარიშგებების ვებ-გვერდთან დაკავშირებული ტექნიკური და სამართლებრივი პროცესების გამართულობა - წესების მომზადება, მართვა და საჯაროობის უზრუნველყოფა;

ბ) ანგარიშგებების ერთიანი სისტემის შესაქმნელად და განსავითარებლად შესაბამისი უწყებებთან/ორგანოებთან თანამშრომლობა;

გ) სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შემუშავება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სუბიექტებთან და სხვა მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობა;



დ) სუბიექტების მიერ ანგარიშგებების მომზადების, შედგენის, წარდგენისა და გამოქვეყნების პროცესში გამოვლენილ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ან აღმოფხვრისათვის შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვის მიზნით, სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსისათვის მიწოდება;

ე) კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და სხვა მოთხოვნების დარღვევის - სუბიექტების მიერ ანგარიშგებების წარუდგენლობის, ანგარიშგებების მომზადების, წარდგენისა და გამოქვეყნების პროცესში გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირება, კერძოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საჭიროებისამებრ, სააღსრულებო ფურცლის პროექტების მომზადება და წარდგენა სამსახურის უფროსისათვის;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში კანონით განსაზღვრულ პროფესიულ ორგანიზაციებთან, აუდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა საბჭოში/სასამართლოში;

თ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათ შორის, კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მიღებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და სამსახურთან არსებული საბჭოს მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სისტემაში შემოსული კორესპონდენციის დამუშავება, განხილვა, მათზე დასკვნების/წინადადებების მომზადება და საჭიროებისას, საპასუხო კორესპონდენციის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადება;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის ან/და შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მითითებების, დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

#### **მუხლი 8. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი**

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისთვის პროფესიული მომსახურების განმახორციელებელი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრების მართვა. რეესტრების მართვასთან დაკავშირებული ბიზნესპროცესების და წესების მომზადება;

ბ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებული პირის მიერ ამ კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულების საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებებისა და რეკომენდაციების პროექტების შემუშავება, საუკეთესო პრაქტიკის განზოგადება, სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება;

გ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებულ პირთა ზედამხედველობა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დისტანციური ან/და ადგილზე შემოწმება;

დ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნის დარღვევისას ანგარიშვალდებული პირის მიმართ სათანადო საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელება. შემოწმების შედეგად, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირებთან დაკავშირებით გამოვლენილ დარღვევებზე, ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე სათანადო გადაწყვეტილებების მომზადება. შემოწმების შედეგად

დაწესებული სავალდებულო ან/და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

ე) სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამსახურთან არსებული საბჭოს მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

ვ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათ შორის, კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მიღებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა;

ზ) კანონით განსაზღვრულ პროფესიულ ორგანიზაციებთან, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებულ პირებთან, მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

თ) ნებისმიერი ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული იმ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღება/დამუშავება, გაანალიზება, რაც აუცილებელია დეპარტამენტის ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად;

ი) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა საბჭოში/სასამართლოში;

კ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სამსახურის უფროსის მითითებებისა და დავალებებისა და სხვა ფუნქციების განხორციელება.“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2023 წლის 2 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 17/02/2023  
სარეგისტრაციო კოდი  
010240080.64.076.016117

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და  
აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის  
ბრძანება №ნ-1**

**2023 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი**

**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო  
მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018  
წლის 20 ივლისის №ნ-22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის  
შესაბამისად, **გბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის  
სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“  
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსის 2018 წლის 20 ივლისის №ნ-22 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,  
ვებგვერდი – 24/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.64.076.016052) დამტკიცებულ  
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის  
მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> მუხლები:

**„მუხლი 1<sup>1</sup>. მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საბჭოს სამართლებრივი მხარდა-  
ჭერისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო) ხელმძღვანელი**

ა) უმაღლესი განათლება სამართლის სფეროში;

ბ) იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება (მათ შორის,  
საჯარო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი და დავების განხილვის  
მიმართულებით/სასამართლოებთან ურთიერთობის მიმართულებით/ადვოკატად მუშაობის  
არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული  
საპროცესო კოდექსის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა  
და აუდიტის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223  
ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის  
სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017  
წლის 8 ივნისის №188 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის  
საბჭოს დებულებისა და საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“  
ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel,  
Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ე) ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა.

**მუხლი 1<sup>2</sup>. მეორადი სტრუქტურული ერთეულის (ადმინისტრაციული მხარდაჭერის  
სამმართველო) ხელმძღვანელი**

ა) უმაღლესი განათლება სამართლის სფეროში ან/და ბიზნესის ადმინისტრირების ან/და  
საჯარო მმართველობის მიმართულებით;

ბ) იურიდიულ ან/და საფინანსო სფეროში მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება  
(სასურველია საჯარო დაწესებულებაში ან/და საჯარო ფინანსების მართვის სფეროში  
არანაკლებ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის  
სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის



„საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ე) ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა.“.

2. 11<sup>1</sup> მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. მე-13 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13<sup>1</sup> და 13<sup>2</sup> მუხლები:

**„მუხლი 13<sup>1</sup>. მეორადი სტრუქტურული ერთეულის (ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველო) ხელმძღვანელი**

ა) უმაღლესი განათლება ეკონომიკის ან/და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების სფეროში ან/და აუდიტის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა;

ე) სასურველია სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის (CFA) ან/და პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) სერტიფიკატის ფლობა;

ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ზ) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.

**მუხლი 13<sup>2</sup>. მეორადი სტრუქტურული ერთეულის (ანგარიშგებების ადმინისტრირების სამმართველო) ხელმძღვანელი**

ა) უმაღლესი განათლება ეკონომიკის ან/და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების სფეროში ან/და აუდიტის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №6-ბრძანების „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა;

დ) სასურველია მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;

ე) სასურველია სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის (CFA) ან/და პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) სერტიფიკატის ფლობა;

ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ზ) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.“.

4. მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის IV თავი:

**„თავი IV. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი**  
**მუხლი 17. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**

ა) უმაღლესი განათლება სამართლის ან/და ეკონომიკის ან/და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) იურიდიულ ან/და საფინანსო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანების „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 აპრილის №6-4 ბრძანების „სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანების „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანების „პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ე) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;

ვ) სასურველია ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ სერტიფიცირებულ სპეციალისტთა ასოციაციის (ACAMS) სერტიფიკატის ფლობა;

ზ) სასურველია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) 40 რეკომენდაციის ცოდნა.

### **მუხლი 18. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მეთოდოლოგიის, ბაზებისა და რეესტრის წარმოების მიმართულება)**

ა) უმაღლესი განათლება სამართლის ან/და ეკონომიკის ან/და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საკითხებზე ან/და იურიდიულ ან/და საფინანსო სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანების „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 აპრილის №6-4 ბრძანების „სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანების „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანების „პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ე) ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა;

ვ) სასურველია ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ სერტიფიცირებულ სპეციალისტთა ასოციაციის (ACAMS) სერტიფიკატის ფლობა;

ზ) სასურველია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) 40 რეკომენდაციის ცოდნა.

**მუხლი 19. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ინსპექტორი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით)**

ა) უმაღლესი განათლება სამართლის ან/და ეკონომიკის ან/და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საკითხებზე ან/და იურიდიულ ან/და საფინანსო სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანების „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 აპრილის №ნ-4 ბრძანების „სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანების „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანების „პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

ე) ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა;

ვ) სასურველია ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ სერტიფიცირებულ სპეციალისტთა ასოციაციის (ACAMS) სერტიფიკატის ფლობა;

ზ) სასურველია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) 40 რეკომენდაციის ცოდნა.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 2 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით მჭედლიძე

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა  
გაფის საგადასახადო კომიტეტმა

## კითხვა:

*შპს-ს სასარგებლოდ ჩავრიცხეთ ავანსი (პროდუქცია + მომსახურების ღირებულება) მაგრამ მომსახურე კომპანია ვერ ასრულებს ვალდებულებას. ამ პირობებში, ავანსი დღგ-ს თანხით შესაბამისად დაბეგრილია. გთხოვთ განგვიმართოთ, როგორ შეიძლება თანხის დაბრუნება და გადახდილი ავანსის უკან მიღება?*

## პასუხი:

ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდილი თანხის დაბრუნების, აგრეთვე პირგასამტეხლოს ან სხვა სახის სანქციების დაკისრების პირობები ხელშეკრულებაში უნდა გქონდეთ აღწერილი, ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნის თანხის ამოსაღებად უნდა მიმართოთ სასამართლოს ან მიმართოთ შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტს.

რაც შეეხება დღგ-ით დაბეგვრის საკითხს, იმ შემთხვევაში თუ აღინიშნული თანხა დაბრუნდება უკან უნდა მოხდეს დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება, რომლის დროსაც პროდუქტის გამყიდველთან უქმდება დღგ-ით დაბეგვრა, ხოლო მყიდველთან - ჩათვლა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, თუ ავანსის დასაბეგრი ოპერაციის დროს გამოწერილი იყო ანგარიშ-ფაქტურა, ოპერაციის გაუქმებისას იწერება კორექტირების ანგარიშ-ფაქტურა. ხოლო თუ ანგარიშ-ფაქტურა არ იყო გამოწერილი (შესაბამისად, მყიდველს ჩათვლა არ მიუღია), მაშინ გამყიდველთან კორექტირება ხდება დეკლარაციით.

ოპერაციის კორექტირების შედეგები აისახება იმ საანგარიშო პერიოდში, როცა მოხდა კორექტირება.

## კითხვა:

*2023 წლის იანვარში შპს-მ ჩავგირიცხა საქონლის თანხა, ორივე შპს ვართ დღგ-ს გადამხდელი. დღეს მიაქვთ საქონელი და უნდა გავუგზავნოთ ზედნადები, შემდეგ მივაბათ ანგარიშ-ფაქტურას, რომელიც თებერვლის გამოვა, მაგრამ ჩარიცხული თანხა ხომ იანვარშია და რომელი თვის დეკლარაციაში უნდა დავბეგროთ?*

## პასუხი:

თუ წინასწარ ჩარიცხული თანხა აკმაყოფილებდა დღგ-ით დასაბეგრი ავანსის პირობებს (ანუ წინასწარ იყო ცნობილი მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ღირებულება და ის, რომ აღნიშნული საქონელი იბეგრება 18 %-იანი განაკვეთით), მაშინ მიღებული ავანსი უნდა დაბეგრილიყო და შესაბამის თანხაზე ანგარიშ-ფაქტურა უნდა გამოწერილიყო იანვარში. თებერვალში მოხდება საბოლოო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და დაბეგვრა (სხვაობის თანხაზე - იმ შემთხვევაში თუ ავანსის სახით თანხა სრულად არ იყო ჩარიცხული). მასვე მიემატება სასაქონლო ზედნადებიც.



**კითხვა:**

მაინტერესებს, მცირე მეწარმის შემთხვევაში, 100 000 ლარიანი შემოსავალი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის შუალედით ითვლება თუ ბოლო უწყვეტი 12-თვიანი პერიოდით?

**პასუხი:**

თუ დღ-ით დაბეგვრის მიზნებზეა საუბარი, მაშინ 100>000-ლარიანი ზღვარი განისაზღვრება ბოლო უწყვეტი 12-თვიანი პერიოდით, მომავალში ყოველთვიურად უნდა მოხდეს ყოველი ასეთი უწყვეტი 12-კალენდარულთვიანი პერიოდის გადამოწმება.

ამასთან, მცირე ბიზნესის 500'000-ლარიანი ზღვრის დათვლა ხდება კალენდარული წლის ჭრილობი.

**კითხვა:**

შპს-ს, დოკუმენტების მიხედვით, სალაროში აქვს ბევრად მეტი თანხა ვიდრე ფაქტიურად, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი (გაურკვეველი მიზეზით) ზედმეტად არტყამდა ჩეკებს და მერე აგდებდა. ვინაიდან წინა პერიოდებზეა საუბარი და თან შესაბამისი ჩეკებიც არ გვაქვს აღნიშნული ფაქტის შესახებ, ამიტომ აქტს ვერ ვადგენთ. გვაქვს 2 გამოსავალი: 1 - დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალის გატანა დავაფიქსიროთ ან/და დივიდენდის გატანა და ამით გავასწოროთ სალარო, თუნდაც გადასახადის გადახდით; 2 - არ მივაქციოთ ყურადღება სალარო აპარატის ფისკალურ მაჩვენებლებს და ბუღალტრულად პროგრამაში გავატაროთ როგორც რეალურად შემოვიდა თანხები სალაროში. მე-2 ვარიანტის შემთხვევაში აუდიტი რომ შემოვა აუცილებლად სალარო აპარატის ფისკალური მაჩვენებლების მიხედვით დაითვლის სალაროში შემოსულ თანხებს? თუ ასე დაითვალა და ნახა, რომ დავუშვათ, 5 ათასი ლარის ნაცვლად სალაროში უნდა იყოს 25 ათასი ლარი, ამ სხვაობას, 20 ათას ლარს, დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალის გატანად ჩაგვითვლის თუ დივიდენდის გატანად? თუ რა სახის დარღვევაზე დაგვაჯარიმებს?

**პასუხი:**

ამ კითხვაზე პასუხი არ არის ერთმნიშვნელოვანი და დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორსა თუ გარემოებაზე.

ზოგადად, სალაროში ფულის დანაკლისი ჩაითვლება პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შემოსავლად და დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, დაბეგვრა, აგრეთვე, შეიძლება მოხდეს, როგორც მოგების, ისე საშემოსავლო გადასახადით - იმის მიხედვით, თუ როგორ დაკვალიფიცირდება ოპერაცია. გარდა ამისა, გადასახადის დარიცხვას მოჰყვება დაჯარიმება შესაბამისი პერიოდის დეკლარაციებში გადასახადის შემცირებისთვის. სალაროში ფულის დანაკლისად ჩაითვლება სხვაობის თანხა აღრიცხვის მიხედვით ფულის ნაშთსა და ფაქტობრივ ნაშთს შორის, ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია შესაბამისი მტკიცებულებები სსა-ში ნაჩვენებ შემოსავლებზე ჩეკი არასწორად ამოტყმასთან დაკავშირებით (შესაბამითი აქტი, არასწორად ამორტყმული ჩეკი და ა.შ.). აღნიშნული დანაკლისის თანხები სხვადასხვა სიტუაციაში შესაძლოა განსხვავებულად დაიბეგროს, მ.შ. იმის მიხედვით, რა კვალიფიკაციას აძლევს თავად კომპანია ამ ოპერაციას (ეს

დამოკიდებულია მ.შ. იმაზე, თუ როგორ წარუდგენთ აღნიშნულ საკითხს საგადასახადო შემოწმებლებებს):

1. თანხები შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ხელფასად (თუ, მაგალითად, ბუღალტრული ნაშთი მოჰყვება შემოწმებამდე, მაგრამ თანხები ფაქტობრივად არ არის).
2. თანხები შეიძლება დაიბეგროს დირექტორზე გაცემულ უპროცენტო სესხად (ზოგადი მიდგომა - საშემოსავლო, მოგება).
3. თანხები შეიძლება დაიბეგროს დირექტორზე გაცემულ 20%-იან სესხად (მოგება).

თუმცა ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენ მიერ შემოწმების პროცესის წარმართვის სისწორიდან გამომდინარე, შესაძლოა, ეს თანხები საერთოდ არ დაიბეგროს, თუ კომპანიას აქვს ე.წ. შესამცირებელი კაპიტალი და აქვს ამის მტკიცებულებები. იმისათვის, რომ საგადასახადო შემოწმებისას სალაროს დანაკლისი არ დაიბეგროს, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიას დაზღვეული ჰქონდეს შემდეგი რისკ-ფაქტორები:

1. შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა მოითხოვოს კაპიტალის გაზრდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. მოითხოვოს შესაბამისი ბუღალტრული გატარება წლების წინ, როდესაც მოხდა კაპიტალის გაზრდა.
3. შემოსავლების სამსახური მოითხოვს კაპიტალის გაზრდისა და შემცირების კრების ოქმებს.
4. შემოსავლების სამსახური, დიდი ალბათობით, მოითხოვს იმის დადასტურებას, რომ წლების წინ გაზრდილი კაპიტალი უკვე არ არის გატანილი მიმდინარე პერიოდამდე და ამ თანხების გატანა არ ხდება მეორედ.
5. შემოსავლების სამსახური გადაამოწმებს, დაცულია თუ არა მეწარმეთა კანონის სხვა მოთხოვნები, მაგალითად, შეტანილია თუ არა თანხები ბანკში (თუ შეტანის მომენტისთვის მოქმედებდა ასეთი საკანონმდებლო ნორმა).

ზემოთ ხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისას, საგადასახადო შემოწმების პროცესის სწორად წარმართვის პირობებში შესაძლებელია მიაღწიოთ იმას, რომ შემოწმების დროს თანხები არ დაიბეგროს და ჩათვლილი იქნეს კაპიტალის შემცირებად.

რაც შეეხება სხვა ჯარიმებს - პრობლემურია საქონლის რეალიზაციის საკითხიც: სავარაუდოდ, ინვენტარიზაციისას თქვენ აღმოგაჩნდებათ საქონლის ზედმეტობა (რადგან, ფაქტობრივად, თქვენ გაყიდეთ იმაზე ნაკლები საქონელი, ვიდრე სალარო აპარატში დააფიქსირეთ), რაც, თავის მხრივ, ასევე დაჯარიმების საფუძველია.

### კითხვა:

**ფიზიკური პირი აქირავებს ფართს შპს-ზე და არის დღგ-ს გადამხდელი. რომელმა უნდა გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი, ფიზიკურმა პირმა თუ იურიდიულმა?**

### პასუხი:

თუ დღგ-ის გადამხდელი არის ფიზიკური პირი, მაშინ საშემოსავლო გადასახადიც მანვე უნდა გადაიხადოს, ვინაიდან სსკ-ის 154.1-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ასეთ დროს შპს-ს გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება არ აქვს.



**კითხვა:**

ორმაგ დაბეგვრასთან მაქვს კითხვა, კერძოდ, ჩინეთის კომპანია გაგვინწევს საჰაერო გზით სატრანსპორტო მომსახურებას, გავეცანი საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლს, ასევე საქართველოს მიერ გაფორმებულ ორმაგ დაბეგვრის ხელშეკრულებაც წავიკითხე და მაინც მაქვს კითხვა: 1. უნდა მოვითხოვო არარეზიდენტობის ცნობა ქართულ ენაზეც რომ იყოს? 2. ასატვირთი იქნება შემოსავლების სამსახურის პორტალზე (rs)? 3. ამ შემთხვევაში არის გადასახდელი საშემოსავლო 10% + უკუდაბეგვრის დღგ?

**პასუხი:**

თქვენ მიერ დასმული კითხვა შეიცავს გარკვეულ ორაზროვნებას, თუმცა ამის მიუხედავად ვეცდებით, მაინც გიპასუხოთ.

უცხოეთში გადახდილი გადაზიდვის მომსახურების თანხები შესაძლოა საერთოდ არ დაიბეგროს ყოველგვარი რეზიდენტობის ცნობის გარეშეც, თუ, მაგალითისთვის, გადაზიდვა ხდება ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში (დავუშვათ, საქართველოს ტერიტორიაზე გავლის გარეშე), ვინაიდან აღნიშნული თანხები არ ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად სსკ-ის 104-ე მუხლით და არ იბეგრება სსკ-ის 134-ე მუხლის მიხედვით.

თუ საუბარია ისეთ გადაზიდვაზე, სადაც ტრანსპორტირების დაწყების ან/და დასრულების ადგილი არის საქართველო, ეს თანხები, ზოგადად, ექვემდებარება დაბეგვრას 10%-იანი განაკვეთით გადახდის წყაროსთან, თუმცა ამ დროს გადათვალისწინებელია შემდეგი:

1. საეჭვოა, რომ ჩინეთის სახელმწიფო ორგანომ ასეთი ცნობა ქართულად გასცეს. სავარაუდოა, რომ ეს ცნობა გაიცემა ჩინურ ან/და ინგლისურ ენაზე. თუ ეს ცნობა გაუგებარი იქნება შემოსავლების სამსახურისთვის, მას შეუძლია მისი თარგმნის მოთხოვნა თქვენთვის. თარგმანის ხარჯების გაწევა კი სახელშეკრულებო საკითხია.
2. ამ ცნობის დაუყოვნებლად ატვირთვა შემოსავლების სამსახურის პორტალზე სავალდებულოა ე.წ. ფორმა 1-ის განაცხადთან ერთად (არ ატვირთვის შემთხვევაში შესაძლოა გავრცელდეს შედარებით უფრო მცირე თანხით, მაგრამ მაინც, დაჯარიმება შემოსავლების სამსახურის მხრიდან, მაგ. 100 ლარით), მაგრამ ატვირთვა არ არის აუცილებელი 10%-იანი გადასახადისგან თავის არიდების მიზნით. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში თქვენ ეს ცნობა უნდა უნდა გქონდეთ და ზემოთ ხსენებული ყველა პირობის დაკმაყოფილებისას 10%-იანი განაკვეთით დაბეგვრა არ მოხდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ცნობა ატვირთული არ არის.
3. ცნობის არსებობის შემთხვევაში თქვენ არ დააკავებთ საშემოსავლო გადასახადს, მაგრამ შეიძლება მოგიწიოთ უკუდაბეგვრის დღგ-ის გადახდა, თუ თქვენ არ ხართ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ან რაიმე სხვა ფორმით შეზღუდული გაქვთ დღგ-ის ჩათვლა. უკუდაბეგვრის დღგ-ით არ დაბეგვრის წინაპირობები მოცემულია ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 112-ე მუხლში და ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, შესულია თუ არა გადაზიდვის მომსახურების თანხა იმპორტიორის საბაჟო ღირებულებაში.

**კითხვა:**

საქართველოში რეგისტრირებულ შპს-ს ჰყავს უცხოელი დამფუძნებელი, მას ჩამოყავს სხვა უცხოელი სპეციალისტი და ბილეთის თანხას ჩვენი კომპანია იხდის. გვანტერესებს ბილეთის თანხები დასაბეგრია თუ არა და რა გადასახადებით?

**პასუხი:**

კითხვიდან არ ჩანს, რის სპეციალისტი ჩამოდიხ, რა მიზნით და რამდენად არის მისი ჩამოსვლა კავშირში თქვენი კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან.

თუ სპეციალისტის ჩამოსვლა უკავშირდება კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას, აღნიშნული შესაძლოა, არ დაიბეგროს კიდევ, თუ სრულდება კანონის შესაბამისი მოთხოვნები (მაგალითად მოგების გადასახადით დაბეგვრა არ მოხდება, თუ წარმომადგენლობითი ხარჯია და „ეტევა“ კანონით განსაზღვრულ ე.წ. 1%-იან ბლვარში).

თუ არარეზიდენტი უცხოელი სპეციალისტი შინაარსით გვინვს მომსახურებას, ბილეთის თანხა შესაძლოა, განხილულ იქნეს მომსახურების ანაზღაურებად და დაიბეგროს ე.წ. „არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით“ - თუ დაკმაყოფილებულია არარეზიდენტის წყაროსთან დაბეგვრისთვის აუცილებელი 3 წინაპირობა (შემოსავლის წყარო, მუდმივი დაწესებულების არ არსებობა და ორმაგი დაბეგვრისგან თავიდან აცილების ხელშეკრულების ფაქტორი). უკუდაბეგვრის დღგ-ით დაბეგვრაზე პასუხის გასაცემად კი გვჭირდება უფრო მეტი წვრილმანი ამ დანახარჯის შესახებ.

**კითხვა:**

ვარ რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე და მაინტერესებს, როცა დაქირავებული მუდმივი თანამშრომელია მაშინ საშემოსავლო გადასახადს და საპენსიოს (თუ ეკუთვნის) ვუკავებთ და თუ მხოლოდ მომსახურებას გვინვს და არ არის მუდმივი თანამშრომელი, მაშინ ვალდებულია მასზე გადადის?

**პასუხი:**

დიახ, ასეა, თუ მომსახურების გამწვევი ფიზიკური პირი არის ინდივიდუალური მეწარმე და/ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი. თუ ეს ფიზიკური პირი ვერ აკმაყოფილებს ამ პირობებს, მაშინ ისევ თქვენ მოგიწევთ საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო ანარიცხების დაკავება.

**კითხვა:**

საქართველოში რეგისტრირებულმა კომპანიამ საზღვარგარეთ შეიძინა საქონელი და პირდაპირ იქედანვე გაყიდა ისევ არარეზიდენტზე ისე, რომ საქართველოში არ შემოუტანია საქონელი. როგორ უნდა დაიბეგროს რეალიზაციის თანხა, როცა არ არის საბაჟო დეკლარაცია და არის მხოლოდ გამყიდველის მიერ გამოწერილი ინვოისი?

**პასუხი:**

დღგ-ით ეს ოპერაცია არ დაიბეგრება, ვინაიდან ეს არ არის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაცია.

რაც შეეხება მოგების გადასახადს (ესტონური მოდელი), დაბეგვრა მოხდება შესაბამისი დასაბეგრი ოპერაციის არსებობისას (დივიდენდის გაცემა, ავანსის გადარიცხვა ოფშორზე და ა.შ.).

### კითხვა:

*შპს ახორციელებს პროდუქციის იმპორტს და საცალოდ ყიდის ინტერნეტ-მაღაზიით. რეალიზაცია ხდება ბანკის საშუალებით, ვალდებულია თუ არა შპს თითოეულ ფიზიკურ პირს (კლიენტს) აუტვირთოს ზედნადები?*

### პასუხი:

კითხვა არის ზოგადი.

ზოგადად, ე.წ. მიწოდების ზედნადების გამოწერა არ არის სავალდებულო თუ მყოფელი არ ითხოვს აღნიშნული ზედნადების გამოწერას.

თუმცა თუ მიწოდება ხდება ტრანსპორტირებით (მაგალითად, საკურიერო მომსახურებით მიწოდება), სავალდებულოა ამ საქონლის „ბორტზე“ მიწოდებისა და „ბორტიდან“ რეალიზაციის ზედნადების გამოწერა.

### კითხვა:

*ერთი შპს მეორესგან ყიდულობს ტრაილერს (საერთაშორისო გადაზიდვებზე უნდა იმუშაოს), რამოდენიმე თვეში გადახდის პირობით. როცა დაასრულებს თანხის სრულად გადახდას გადმოაფორმებს მაშინ. მანამდე პერიოდში აღებული აქვს იჯარით და გაწეული ხარჯების და საწვავის გამოქვითვა ხომ შეუძლია და აქ გვაქვს პრობლემა, რადგან საზღვარგარეთიდან ვერ მოგვაქვს საწვავის შეძენის საბუთი და გავქვს ჩეკები. გთხოვთ დაგვხმაროთ და აგვიხსნათ როგორ დავიბეგრებით თუ მხოლოდ ჩეკების საფუძველზე გავატარებთ ხარჯებში?*

### პასუხი:

ამ ჩეკებით გადახდილი თანხების ხარჯად აღიარება შესაძლებელია, თუ დაადასტურებთ ამ დანახარჯების კავშირს თქვენს ეკონომიკურ საქმიანობასთან და საწვავი ჩამოწერილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ანუ, მაგალითად, თუ ასეთი საწვავის ხარჯების გაწევისას გექნებათ ე.წ. „რეისი“ და საწვავი იქნება განვლილი მანძილის შესაბამისი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის თებერვალში

| თარიღი   | ბულგარული<br>ლემი | დანიური კრონა | ევრო   | ფუნტი<br>სტერლინგი | ისლანდური<br>კრონა | სერბული დინარი | ნორვეგიული<br>კრონა | პოლონური<br>გლთი | რუმინული ლეი | უნგრული<br>ფორინტი | შვედური კრონა | შვეიცარული<br>ფრანკი | ჩეხური კრონა | ამერიკული<br>დოლარი |
|----------|-------------------|---------------|--------|--------------------|--------------------|----------------|---------------------|------------------|--------------|--------------------|---------------|----------------------|--------------|---------------------|
|          | 1                 | 10            | 1      | 1                  | 100                | 100            | 10                  | 10               | 10           | 100                | 10            | 1                    | 10           | 1                   |
| 01.02.23 | 1,4680            | 3,8599        | 2,8711 | 3,2673             | 1,8754             | 2,4463         | 2,6316              | 6,0964           | 5,8331       | 0,7372             | 2,5339        | 2,8585               | 1,2048       | 2,6518              |
| 02.02.23 | 1,4781            | 3,8864        | 2,8912 | 3,2720             | 1,8858             | 2,4634         | 2,6681              | 6,1410           | 5,8823       | 0,7413             | 2,5488        | 2,8977               | 1,2161       | 2,6552              |
| 03.02.23 | 1,4876            | 3,9098        | 2,9087 | 3,2605             | 1,8948             | 2,4780         | 2,6548              | 6,1809           | 5,9335       | 0,7499             | 2,5604        | 2,9092               | 1,2226       | 2,6474              |
| 04.02.23 | 1,4776            | 3,8836        | 2,8913 | 3,2411             | 1,8813             | 2,4637         | 2,6392              | 6,1648           | 5,9003       | 0,7504             | 2,5530        | 2,8954               | 1,2170       | 2,6441              |
| 05.02.23 | 1,4776            | 3,8836        | 2,8913 | 3,2411             | 1,8813             | 2,4637         | 2,6392              | 6,1648           | 5,9003       | 0,7504             | 2,5530        | 2,8954               | 1,2170       | 2,6441              |
| 06.02.23 | 1,4776            | 3,8836        | 2,8913 | 3,2411             | 1,8813             | 2,4637         | 2,6392              | 6,1648           | 5,9003       | 0,7504             | 2,5530        | 2,8954               | 1,2170       | 2,6441              |
| 07.02.23 | 1,4542            | 3,8194        | 2,8432 | 3,1778             | 1,8548             | 2,4230         | 2,5683              | 6,0219           | 5,7993       | 0,7288             | 2,4914        | 2,8520               | 1,1929       | 2,6424              |
| 08.02.23 | 1,4504            | 3,8117        | 2,8364 | 3,1746             | 1,8574             | 2,4174         | 2,5552              | 5,9720           | 5,7853       | 0,7219             | 2,4919        | 2,8592               | 1,1909       | 2,6459              |
| 09.02.23 | 1,4591            | 3,8337        | 2,8537 | 3,2106             | 1,8862             | 2,4323         | 2,5930              | 6,0321           | 5,8286       | 0,7339             | 2,5212        | 2,8886               | 1,2001       | 2,6558              |
| 10.02.23 | 1,4699            | 3,8644        | 2,8758 | 3,2430             | 1,8981             | 2,4513         | 2,6335              | 6,0671           | 5,8823       | 0,7468             | 2,5776        | 2,9084               | 1,2124       | 2,6702              |
| 11.02.23 | 1,4601            | 3,8349        | 2,8550 | 3,2292             | 1,8845             | 2,4338         | 2,6190              | 5,9867           | 5,8216       | 0,7317             | 2,5641        | 2,8911               | 1,2042       | 2,6670              |
| 12.02.23 | 1,4601            | 3,8349        | 2,8550 | 3,2292             | 1,8845             | 2,4338         | 2,6190              | 5,9867           | 5,8216       | 0,7317             | 2,5641        | 2,8911               | 1,2042       | 2,6670              |
| 13.02.23 | 1,4601            | 3,8349        | 2,8550 | 3,2292             | 1,8845             | 2,4338         | 2,6190              | 5,9867           | 5,8216       | 0,7317             | 2,5641        | 2,8911               | 1,2042       | 2,6670              |
| 14.02.23 | 1,4536            | 3,8161        | 2,8429 | 3,2044             | 1,8593             | 2,4228         | 2,6200              | 5,9376           | 5,7976       | 0,7339             | 2,5483        | 2,8837               | 1,1982       | 2,6619              |
| 15.02.23 | 1,4613            | 3,8360        | 2,8585 | 3,2410             | 1,8646             | 2,4362         | 2,6323              | 5,9748           | 5,8320       | 0,7477             | 2,5782        | 2,8923               | 1,2031       | 2,6583              |
| 16.02.23 | 1,4544            | 3,8155        | 2,8434 | 3,2032             | 1,8524             | 2,4237         | 2,6074              | 5,9753           | 5,8038       | 0,7493             | 2,5563        | 2,8770               | 1,1999       | 2,6532              |
| 17.02.23 | 1,4471            | 3,7989        | 2,8308 | 3,1879             | 1,8391             | 2,4125         | 2,5912              | 5,9281           | 5,7768       | 0,7396             | 2,5434        | 2,8677               | 1,1957       | 2,6434              |
| 18.02.23 | 1,4355            | 3,7702        | 2,8077 | 3,1513             | 1,8196             | 2,3929         | 2,5521              | 5,8784           | 5,7249       | 0,7283             | 2,5066        | 2,8293               | 1,1836       | 2,6386              |
| 19.02.23 | 1,4355            | 3,7702        | 2,8077 | 3,1513             | 1,8196             | 2,3929         | 2,5521              | 5,8784           | 5,7249       | 0,7283             | 2,5066        | 2,8293               | 1,1836       | 2,6386              |
| 20.02.23 | 1,4355            | 3,7702        | 2,8077 | 3,1513             | 1,8196             | 2,3929         | 2,5521              | 5,8784           | 5,7249       | 0,7283             | 2,5066        | 2,8293               | 1,1836       | 2,6386              |
| 21.02.23 | 1,4415            | 3,7865        | 2,8198 | 3,1736             | 1,8252             | 2,4030         | 2,5696              | 5,9378           | 5,7321       | 0,7374             | 2,5441        | 2,8583               | 1,1895       | 2,6385              |
| 22.02.23 | 1,4362            | 3,7715        | 2,8087 | 3,1875             | 1,8248             | 2,3945         | 2,5631              | 5,9169           | 5,7100       | 0,7322             | 2,5529        | 2,8493               | 1,1828       | 2,6365              |
| 23.02.23 | 1,4357            | 3,7703        | 2,8072 | 3,1897             | 1,8217             | 2,3931         | 2,5565              | 5,9044           | 5,7005       | 0,7310             | 2,5448        | 2,8453               | 1,1843       | 2,6396              |
| 24.02.23 | 1,4282            | 3,7522        | 2,7929 | 3,1708             | 1,8289             | 2,3802         | 2,5469              | 5,8782           | 5,6860       | 0,7328             | 2,5221        | 2,8271               | 1,1785       | 2,6351              |
| 25.02.23 | 1,4257            | 3,7462        | 2,7889 | 3,1629             | 1,8263             | 2,3770         | 2,5541              | 5,9045           | 5,6720       | 0,7336             | 2,5294        | 2,8167               | 1,1791       | 2,6325              |
| 26.02.23 | 1,4257            | 3,7462        | 2,7889 | 3,1629             | 1,8263             | 2,3770         | 2,5541              | 5,9045           | 5,6720       | 0,7336             | 2,5294        | 2,8167               | 1,1791       | 2,6325              |
| 27.02.23 | 1,4257            | 3,7462        | 2,7889 | 3,1629             | 1,8263             | 2,3770         | 2,5541              | 5,9045           | 5,6720       | 0,7336             | 2,5294        | 2,8167               | 1,1791       | 2,6325              |
| 28.02.23 | 1,4183            | 3,7287        | 2,7751 | 3,1471             | 1,8219             | 2,3645         | 2,5333              | 5,8800           | 5,6421       | 0,7296             | 2,5077        | 2,7922               | 1,1744       | 2,6272              |

| თარიღი   | კანადური<br>დოლარი | ავსტრალიური<br>დოლარი | ევროპული<br>დოლარი | თურქული<br>ლირა | იაპონური იენი | აზს დირჰამი | ირანული რიალი | ისრაელის შიკელი | სინგაპური<br>დოლარი | შვეიცარიული<br>ფრანკი | ჩინური იუანი | ჰონგკონგური<br>დოლარი | ინდური რუპია | ახალგადაიწყო<br>დოლარი |
|----------|--------------------|-----------------------|--------------------|-----------------|---------------|-------------|---------------|-----------------|---------------------|-----------------------|--------------|-----------------------|--------------|------------------------|
|          | 1                  | 1                     | 10                 | 1               | 100           | 10          | 10000         | 10              | 1                   | 1                     | 10           | 10                    | 100          | 1                      |
| 01.02.23 | 1,9710             | 1,8557                | 0,8773             | 0,1410          | 2,0341        | 7,2197      | 0,6314        | 7,6291          | 2,0124              | 8,6830                | 3,9240       | 3,3837                | 3,2369       | 1,7025                 |
| 02.02.23 | 1,9949             | 1,8791                | 0,8785             | 0,1411          | 2,0447        | 7,2290      | 0,6322        | 7,7045          | 2,0227              | 8,6970                | 3,9394       | 3,3856                | 3,2408       | 1,7113                 |
| 03.02.23 | 1,9914             | 1,8847                | 0,8776             | 0,1407          | 2,0534        | 7,2083      | 0,6303        | 7,7357          | 2,0259              | 8,6828                | 3,9361       | 3,3756                | 3,2214       | 1,7229                 |
| 04.02.23 | 1,9809             | 1,8678                | 0,8730             | 0,1405          | 2,0585        | 7,1987      | 0,6295        | 7,7633          | 2,0179              | 8,6692                | 3,9230       | 3,3700                | 3,2310       | 1,7134                 |
| 05.02.23 | 1,9809             | 1,8678                | 0,8730             | 0,1405          | 2,0585        | 7,1987      | 0,6295        | 7,7633          | 2,0179              | 8,6692                | 3,9230       | 3,3700                | 3,2310       | 1,7134                 |
| 06.02.23 | 1,9809             | 1,8678                | 0,8730             | 0,1405          | 2,0585        | 7,1987      | 0,6295        | 7,7633          | 2,0179              | 8,6692                | 3,9230       | 3,3700                | 3,2310       | 1,7134                 |
| 07.02.23 | 1,9658             | 1,8214                | 0,8727             | 0,1403          | 1,9983        | 7,1947      | 0,6291        | 7,6222          | 1,9938              | 8,6409                | 3,8943       | 3,3669                | 3,1937       | 1,6634                 |
| 08.02.23 | 1,9725             | 1,8349                | 0,8725             | 0,1405          | 2,0060        | 7,2036      | 0,6300        | 7,6257          | 1,9960              | 8,6524                | 3,8999       | 3,3712                | 3,1994       | 1,6730                 |
| 09.02.23 | 1,9853             | 1,8527                | 0,8733             | 0,1410          | 2,0295        | 7,2306      | 0,6323        | 7,6538          | 2,0063              | 8,6904                | 3,9145       | 3,3834                | 3,2193       | 1,6827                 |
| 10.02.23 | 1,9927             | 1,8625                | 0,8764             | 0,1418          | 2,0408        | 7,2698      | 0,6358        | 7,6554          | 2,0200              | 8,7376                | 3,9395       | 3,4016                | 3,2359       | 1,6998                 |
| 11.02.23 | 1,9841             | 1,8485                | 0,8773             | 0,1416          | 2,0371        | 7,2617      | 0,6350        | 7,5855          | 2,0087              | 8,7242                | 3,9178       | 3,3975                | 3,2326       | 1,6858                 |
| 12.02.23 | 1,9841             | 1,8485                | 0,8773             | 0,1416          | 2,0371        | 7,2617      | 0,6350        | 7,5855          | 2,0087              | 8,7242                | 3,9178       | 3,3975                | 3,2326       | 1,6858                 |
| 13.02.23 | 1,9841             | 1,8485                | 0,8773             | 0,1416          | 2,0371        | 7,2617      | 0,6350        | 7,5855          | 2,0087              | 8,7242                | 3,9178       | 3,3975                | 3,2326       | 1,6858                 |
| 14.02.23 | 1,9918             | 1,8423                | 0,8756             | 0,1413          | 2,0079        | 7,2478      | 0,6338        | 7,5085          | 1,9975              | 8,6933                | 3,8992       | 3,3910                | 3,2177       | 1,6850                 |
| 15.02.23 | 1,9924             | 1,8510                | 0,8687             | 0,1410          | 2,0096        | 7,2374      | 0,6329        | 7,5899          | 2,0029              | 8,6901                | 3,9005       | 3,3865                | 3,2119       | 1,6835                 |
| 16.02.23 | 1,9794             | 1,8302                | 0,8693             | 0,1408          | 1,9894        | 7,2241      | 0,6317        | 7,5489          | 1,9888              | 8,6621                | 3,8799       | 3,3805                | 3,2043       | 1,6657                 |
| 17.02.23 | 1,9759             | 1,8298                | 0,8638             | 0,1402          | 1,9747        | 7,1968      | 0,6294        | 7,4725          | 1,9825              | 8,6301                | 3,8564       | 3,3677                | 3,1956       | 1,6651                 |
| 18.02.23 | 1,9526             | 1,8001                | 0,8645             | 0,1399          | 1,9561        | 7,1838      | 0,6282        | 7,4105          | 1,9690              | 8,6032                | 3,8343       | 3,3628                | 3,1855       | 1,6362                 |
| 19.02.23 | 1,9526             | 1,8001                | 0,8645             | 0,1399          | 1,9561        | 7,1838      | 0,6282        | 7,4105          | 1,9690              | 8,6032                | 3,8343       | 3,3628                | 3,1855       | 1,6362                 |
| 20.02.23 | 1,9526             | 1,8001                | 0,8645             | 0,1399          | 1,9561        | 7,1838      | 0,6282        | 7,4105          | 1,9690              | 8,6032                | 3,8343       | 3,3628                | 3,1855       | 1,6362                 |
| 21.02.23 | 1,9603             | 1,8211                | 0,8636             | 0,1398          | 1,9679        | 7,1835      | 0,6282        | 7,4207          | 1,9755              | 8,6113                | 3,8462       | 3,3689                | 3,1891       | 1,6454                 |
| 22.02.23 | 1,9580             | 1,8142                | 0,8635             | 0,1397          | 1,9582        | 7,1781      | 0,6277        | 7,2763          | 1,9699              | 8,5992                | 3,8333       | 3,3617                | 3,1842       | 1,6441                 |
| 23.02.23 | 1,9472             | 1,8010                | 0,8636             | 0,1398          | 1,9570        | 7,1865      | 0,6285        | 7,2314          | 1,9703              | 8,6093                | 3,8280       | 3,3637                | 3,1858       | 1,6421                 |
| 24.02.23 | 1,9472             | 1,7971                | 0,8604             | 0,1396          | 1,9532        | 7,1744      | 0,6274        | 7,2992          | 1,9621              | 8,5862                | 3,8198       | 3,3584                | 3,1846       | 1,6425                 |
| 25.02.23 | 1,9394             | 1,7856                | 0,8596             | 0,1394          | 1,9481        | 7,1674      | 0,6268        | 7,1922          | 1,9584              | 8,5777                | 3,7941       | 3,3544                | 3,1813       | 1,6361                 |
| 26.02.23 | 1,9394             | 1,7856                | 0,8596             | 0,1394          | 1,9481        | 7,1674      | 0,6268        | 7,1922          | 1,9584              | 8,5777                | 3,7941       | 3,3544                | 3,1813       | 1,6361                 |
| 27.02.23 | 1,9394             | 1,7856                | 0,8596             | 0,1394          | 1,9481        | 7,1674      | 0,6268        | 7,1922          | 1,9584              | 8,5777                | 3,7941       | 3,3544                | 3,1813       | 1,6361                 |
| 28.02.23 | 1,9320             | 1,7644                | 0,8563             | 0,1391          | 1,9268        | 7,1529      | 0,6255        | 7,1768          | 1,9469              | 8,5521                | 3,7777       | 3,3485                | 3,1712       | 1,6168                 |

| თარიღი   | რუსული რუბლი | ამერიკანული<br>მანეთი | ბელორუსული<br>რუბლი | თურქმენული მანეთი | მოლდავური ლეი | სომხური დრამი | ტაჯიკური სომონი | უზბეკური სუმი | უკრაინული გრივნა | ყაზახური თენგე | ყირგიზული სომი | სამხრეთ აფრიკული<br>რანდი | ბრაზილიური რიალი |
|----------|--------------|-----------------------|---------------------|-------------------|---------------|---------------|-----------------|---------------|------------------|----------------|----------------|---------------------------|------------------|
|          | 100          | 1                     | 10000               | 10                | 10            | 1000          | 10              | 1000          | 10               | 100            | 100            | 10                        | 1                |
| 01.02.23 | 3,7543       | 1,5630                | 1,0531              | 7,5766            | 1,4132        | 6,7134        | 2,5840          | 0,2341        | 0,7181           | 0,5759         | 3,0797         | 1,5177                    | 0,5178           |
| 02.02.23 | 3,7851       | 1,5619                | 1,0544              | 7,5863            | 1,4105        | 6,7144        | 2,5871          | 0,2349        | 0,7190           | 0,5765         | 3,1028         | 1,5303                    | 0,5231           |
| 03.02.23 | 3,7793       | 1,5603                | 1,0464              | 7,5640            | 1,4082        | 6,6963        | 2,5677          | 0,2348        | 0,7171           | 0,5770         | 3,0734         | 1,5493                    | 0,5240           |
| 04.02.23 | 3,7492       | 1,5584                | 1,0500              | 7,5546            | 1,4083        | 6,6790        | 2,5645          | 0,2345        | 0,7162           | 0,5774         | 3,0795         | 1,5432                    | 0,5242           |
| 05.02.23 | 3,7492       | 1,5584                | 1,0500              | 7,5546            | 1,4083        | 6,6790        | 2,5645          | 0,2345        | 0,7162           | 0,5774         | 3,0795         | 1,5432                    | 0,5242           |
| 06.02.23 | 3,7492       | 1,5584                | 1,0500              | 7,5546            | 1,4083        | 6,6790        | 2,5645          | 0,2345        | 0,7162           | 0,5774         | 3,0795         | 1,5432                    | 0,5242           |
| 07.02.23 | 3,7348       | 1,5544                | 1,0494              | 7,5497            | 1,4070        | 6,6714        | 2,5727          | 0,2335        | 0,7158           | 0,5775         | 3,0860         | 1,4996                    | 0,5148           |
| 08.02.23 | 3,7305       | 1,5564                | 1,0508              | 7,5597            | 1,4065        | 6,6917        | 2,5747          | 0,2339        | 0,7164           | 0,5793         | 3,0695         | 1,5016                    | 0,5137           |
| 09.02.23 | 3,7055       | 1,5622                | 1,0547              | 7,5880            | 1,4098        | 6,7094        | 2,5859          | 0,2345        | 0,7193           | 0,5825         | 3,0749         | 1,5151                    | 0,5102           |
| 10.02.23 | 3,6662       | 1,5707                | 1,0604              | 7,6291            | 1,4198        | 6,7540        | 2,6007          | 0,2357        | 0,7231           | 0,5906         | 3,0790         | 1,5101                    | 0,5134           |
| 11.02.23 | 3,6540       | 1,5688                | 1,0591              | 7,6200            | 1,4194        | 6,7558        | 2,5979          | 0,2355        | 0,7226           | 0,5916         | 3,0752         | 1,4954                    | 0,5056           |
| 12.02.23 | 3,6540       | 1,5688                | 1,0591              | 7,6200            | 1,4194        | 6,7558        | 2,5979          | 0,2355        | 0,7226           | 0,5916         | 3,0752         | 1,4954                    | 0,5056           |
| 13.02.23 | 3,6540       | 1,5688                | 1,0591              | 7,6200            | 1,4194        | 6,7558        | 2,5979          | 0,2355        | 0,7226           | 0,5916         | 3,0752         | 1,4954                    | 0,5056           |
| 14.02.23 | 3,6128       | 1,5658                | 1,0571              | 7,6054            | 1,4184        | 6,7467        | 2,5933          | 0,2348        | 0,7210           | 0,5891         | 3,0695         | 1,4816                    | 0,5105           |
| 15.02.23 | 3,6025       | 1,5637                | 1,0557              | 7,5951            | 1,4189        | 6,7470        | 2,5897          | 0,2346        | 0,7200           | 0,5912         | 3,0862         | 1,4893                    | 0,5141           |
| 16.02.23 | 3,5551       | 1,5607                | 1,0537              | 7,5806            | 1,4163        | 6,7340        | 2,5848          | 0,2340        | 0,7198           | 0,5933         | 3,0558         | 1,4770                    | 0,5114           |
| 17.02.23 | 3,5327       | 1,5549                | 1,0498              | 7,5526            | 1,4117        | 6,7262        | 2,5753          | 0,2328        | 0,7171           | 0,5959         | 3,0410         | 1,4642                    | 0,5067           |
| 18.02.23 | 3,5400       | 1,5521                | 1,0479              | 7,5389            | 1,4081        | 6,7118        | 2,5706          | 0,2325        | 0,7177           | 0,5888         | 3,0340         | 1,4462                    | 0,5055           |
| 19.02.23 | 3,5400       | 1,5521                | 1,0479              | 7,5389            | 1,4081        | 6,7118        | 2,5706          | 0,2325        | 0,7177           | 0,5888         | 3,0340         | 1,4462                    | 0,5055           |
| 20.02.23 | 3,5400       | 1,5521                | 1,0479              | 7,5389            | 1,4081        | 6,7118        | 2,5706          | 0,2325        | 0,7177           | 0,5888         | 3,0340         | 1,4462                    | 0,5055           |
| 21.02.23 | 3,5576       | 1,5521                | 1,0478              | 7,5386            | 1,4059        | 6,7309        | 2,5705          | 0,2326        | 0,7163           | 0,5905         | 3,0349         | 1,4559                    | 0,5111           |
| 22.02.23 | 3,5208       | 1,5509                | 1,0470              | 7,5329            | 1,4035        | 6,7559        | 2,5686          | 0,2325        | 0,7156           | 0,5893         | 3,0459         | 1,4461                    | 0,5107           |
| 23.02.23 | 3,5159       | 1,5527                | 1,0483              | 7,5417            | 1,4040        | 6,7616        | 2,5739          | 0,2335        | 0,7157           | 0,5878         | 3,0210         | 1,4425                    | 0,5113           |
| 24.02.23 | 3,5057       | 1,5501                | 1,0465              | 7,5289            | 1,4011        | 6,7394        | 2,5686          | 0,2328        | 0,7137           | 0,5874         | 3,0143         | 1,4367                    | 0,5107           |
| 25.02.23 | 3,4760       | 1,5508                | 1,0454              | 7,5214            | 1,3971        | 6,7651        | 2,5660          | 0,2324        | 0,7141           | 0,5868         | 3,0131         | 1,4357                    | 0,5130           |
| 26.02.23 | 3,4760       | 1,5508                | 1,0454              | 7,5214            | 1,3971        | 6,7651        | 2,5660          | 0,2324        | 0,7141           | 0,5868         | 3,0131         | 1,4357                    | 0,5130           |
| 27.02.23 | 3,4760       | 1,5508                | 1,0454              | 7,5214            | 1,3971        | 6,7651        | 2,5660          | 0,2324        | 0,7141           | 0,5868         | 3,0131         | 1,4357                    | 0,5130           |
| 28.02.23 | 3,4940       | 1,5454                | 1,0433              | 7,5063            | 1,3901        | 6,7278        | 2,5607          | 0,2316        | 0,7147           | 0,5872         | 3,0053         | 1,4248                    | 0,5052           |



# ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანაცვლებების კომპრომენტირება.

